# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა,
4 თებერვალი,
2001 წელი.

№28
(3769)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

ფასი 50 თეთრი.

სახელმწიფო მინისტრი

## „ხადორჰესი": ახალი მისამართი საქართველოს ენერგეტიკის რუკაზე

4 თებერვალს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ახმეტის რაიონში ხადორის 24-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის გენერალური მშენებლობა დაიწყება. ამ მოვლენას, ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ენერგოკრიზისის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ხადორის ჰიდროელექტროსადგურის საინვესტიციო ღირებულება 27 მილიონი ამერიკული დოლარია, რომელსაც მთლიანად ჩინეთის მხარე გაიღებს. საპროექტო ორგანიზაციაა შპს „აღმოსაელეთის ენერგოკორპორაცია" (გენერალური დირექტორი ჰუ ვეი). პროექტის სპონსორები არიან „სიჩუანის ელექტროენერგეტიკული კორპორაცია" (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) და შპს „ფერი" (საქართველო).

3 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა მიიღო ჩინეთის სიჩუანის პროვინციის დელეგაცია.

იხ. მე-2 გვ.

ფიქრი და განსჯა

## დინოზავრიდან დიზაინამდე

### „...უმალ მასვე დაამიწებს!"

გაზეთ „ახალი თაობის" 2000 წლის 25 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ აკაკი ასათიანის ინტერვიუ „ზვიად გამსახურდიას თანამედროვე ზვიადისტები რომ ენახა, საფლავში ამოტრიალდებოდა".

ერთგან პატივცემული ინტერვიუერი მეც მეხება და, თუმცა ახსენებს სიტყვა „პატივისცემას", მეპყრობა უპატივცემულოდ — ეტყობა, მანაც გაიგო, იუმორის გრძნობა რომ არა მაქვს, და მექცევა აგდებულად და დაუფარავი ირონიით:

„1992 წელს რომ ჩამოვიდა (ედუარდ შევარდნაძეზეა საუბარი. ტ.ჭ.), თქვა — საქართველო ორ წელიწადში აყვავებული ქვეყანა იქნებაო. 1995 წელს კი განაცხადა — ტარიელ ჭანტურიამ მითხრა, სამ წელიწადში კრიზისს დავძლევთო. მე პატივს ვცემ ტარიელ ჭანტურიას, როგორც პოეტს, მაგრამ აბსოლუტურად არ მაინტერესებს მისი აზრი, როგორც პოლიტიკოსის. მე მაშინვე მივხვდი, რომ ცუდად იყო საქმე. შევარდნაძეს ახასიათებს ასეთი რალაცეები — დრო გაჰყავს".

იხ. მე-10 გვ.

თეატრი

## მიეძღვნა დიდი მაესტროს ხსოვნას

ამ დღეებში ქართული თეატრის მეტრს, დიდ ქართველ რეჟისორს მიხეილ თუმანიშვილს 80 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ ღირსეულ მამულიშვილსა და ხელოვანს მიუძღვნეს მარჯანიშვილელებმა სპექტაკლი „ანტიგონე". ამ ერთმოქმედებიანი ტრაგედიის დადგმა განახორციელა მიხეილ თუმანიშვილის მოწაფემ, რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ.

3 თებერვალს მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს „ანტიგონეს" დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ქალბატონი ნანული შევარდნაძე.

— ასეთი მაღალი დონის სპექტაკლი ნებისმიერ სცენას დაამშვენებდა. მე თეატრის ყველა მოყვარულს ვურჩევდი ენახა ეს ბრწყინვალე დადგმა,– აღნიშნა სპექტაკლის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და წარმატება მიულოცა სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორსა და მონაწილე მსახიობებს — გია ბურჯანაძეს, ნატა მურვანიძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, ნიკა თავაძეს, ქეთევან გეგეშიძეს, გურანდა გაბუნიას, დავით დვალიშვილს, დიმიტრი ტატიშვილს, ვასილ ძოწენიძეს, ალეკო მახარობლიშვილსა და ნანი ჩიქვინიძეს.

საქინფორმი.

გამარჯობათ!

## ვის გინდათ 30 ვერცხლი — არარსებული ერთი დოლარი?

უპატრონო გზით ფულის შოვნა რომ გაემართლებინა, იმპერატორმა ვესპასიანემ შთამომავლობას ფრთიანი გამოთქმა დაუტოვა — ფულს სუნი არა აქვსო.

მოხერხებული და ბრძენი რომაელისადმი ჩემი გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, მისი სიტყვების უტყუარობაში ეჭვი უნდა შევიტანო.

სუნი როგორ არა აქვს, აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სუნს მხოლოდ ის ვერ გრძნობს, ვინც იმ სუნიან ფულს შოულობს, თორემ სხვა დანარჩენი, ახლობელი თუ შორებელი, ლამის ცხვირპირაკრული მიდი-მოდის მის გარშემო...

მით უფრო დღეს, როცა ფულიც ყარს, მისი გამცემიც და მიმღებიც.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

### ი. დიდმანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ოზურგეთის რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და საგზაო-საკომუნიკაციო ობიექტების მშენებლობის დროს გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ლვაწლმოსილი ინჟინერ-მშენებელი **ივანე დიდმანიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თებერვალი დადგაო...
ზურაბ ზენზიურის ფოტო. „ომეგა" №2

პოზიცია

## თენგიზ ასანიძე – პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი თუ მიზეზი?

არა და არ ცხრება ბათუმის უშიშროების იზოლატორში დამწყვდეული თენგიზ ასანიძის საქმის ირგვლივ ატეხილი ხმაური. არჩევნების პერიოდში ასანიძე პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ „საშუალებად" გვევლინებოდა. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, თვით იგი გახდა დაძაბულობის მიზეზი. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ არჩევნების შემდეგ მმართველ პარტიასა და „აღორძინებას" შორის ერთგვარი [illegible] მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ საკმარისია, ცენტრში, ანუ თბილისში ასანიძის თემა გააქტიურდეს, რომ ამ პოლიტიკურ თანაცხოვრებას საფრთხე ექმნება. და იწყება იმის მტკიცება, რომ ეს ყველაფერი აჭარის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილ, შორსმიმავალ გეგმებს ემსახურება.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

## ნიკა — პაპის პირველი შვილიშვილი



ოჯახი ღედისერთა რუსუდანს შეპხაროდა. მას მეუღლე კა-[illegible]ოგი ძეხვდა. კოტე ბახუტაშვილმა მთელ მის სანათესაოს შეაყვარა თავი. ახალგაზრდა ოჯახი 5 წე-[illegible]ადი ელოდა შვილს. პაპა-ბებიას თი-[illegible]რათ. მაგრამ მათ ღმერთქოს იმედი გად[illegible]ხის სირთმა მოხედა და 21-ე საუკუნე ოჯ[illegible]ხარულით დაიწყო. რუსუდანს ვაჟი შეეძინა. გაიხარა პაპამ ნიკა აფციაურმა, ბიჭს მისი სახელი — ნიკა რომ დაარქვეს.

— ჯერ ნიკა იყოს, გაიზრდება და ნიკოლოზი გახდება. უფალს ვევედრებ მის ჯანმრთელობას და გაზრდას, ამბობს პაპა და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ დაილია მის ოჯახში პირველი შვილიშვილის სადღეგრძელო.

ვულოცავთ!

ჩვენი ტელეფონებია:
93-34-04; 99-73-24.

უკანასკნელ საათს

პრემიერ-მინისტრის არჩევნებამდე 3 დღით ადრე ისრაელის არმიამ ალყაში მოაქცია ღაზის სექტორის ყველა ქალაქი.

უკრაინის მთავრობის ვიცე-პრემიერს იულია ტიმოშენკოს პროკურატურამ ბრალი წაუყენა 1 მილიარდი დოლარის გათეთრებაში.

### დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 2 თებერვალი ქ.თბილისი

ე. ოქროპირიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხალხური შემოქმედების სამმართველოს ღვაწლმოსილი მუშაკი **ეთერ ოქროპირიძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

### პერსპექტივა

## ცემენტის ქარხანა მუშაობას განაახლებს

კასპის ცემენტის ქარხანა, ამჟამად სააქციო საზოგადოება „კასპიცემენტი“, გაზაფხულზე მუშაობას განაახლებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მშენებლობისა და სამშენებლო მასალების სამმართველოს უფროსმა ზაურ ხომერიკმა აცნობა, წელიწადში 930 ათასი ტონა ცემენტის საპროექტო სიმძლავრის საწარმო რამდენიმე წელიწადი უმოქმედოდაა. მისი თქმით, კასპში ამჟამად არსებული სიმძლავრეების სრულად ამოქმედება ვერ მოხერხდება, მაგრამ არსებობს წელიწადში 800 ათას ტონამდე ცემენტის წარმოების იმედი.

პრაიმ-ნიუსი.

### სახელმწიფო მინისტრი

## „ხადორჰესი“: ახალი მისამართი საქართველოს ენერგეტიკის რუკაზე

**(პირველი გვერდიდან)**

როგორც გიორგი არსენიშვილმა აღნიშნა, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ახალ იმპულსს მისცემს ორი ქვეყნის ნაყოფიერ კავშირურთიერთობას.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრისა და ჩინეთის დელეგაციის წევრების აზრი მომავალი მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ ერთმანეთს დაემთხვა. კერძოდ, მხარეებმა აღნიშნეს, რომ არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობით. მათი აზრით, მნიშვნელოვანია სამრეწველო და ტელეკომუნიკაციების სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელება.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, უნდა შეიქმნას მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგში ითანამშრომლებს. ჩინეთის მზარდი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორში ამ ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

– პანკისის ხეობაში „ხადორჰესის“ მშენებლობის დაწყებას საზეიმო ცერემონია მიეძღვნება და ეს იქნება ენერგეტიკის სექტორში ახალი ეტაპის დასაწყისი, – განაცხადა გიორგი არსენიშვილმა.

მნიშვნელოვანია, რომ გენერალურ სამშენებლო სამუშაოებს ძირითადად განახორციელებენ საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებსაც შეარჩევენ უკვე მიმდინარე სატენდერო პროცედურის საშუალებით.

საქინფორმი.

### გამარჯობათ!

## ვის გინდათ 30 ვერცხლი – არარსებული ერთი დოლარი?

**(პირველი გვერდიდან)**

ერთი სიტყვით, ისეთი სიტუაციაა შექმნილი, როცა მოქალაქეთა ყველაზე უსაფრთხო და ბუნებრივი მდგომარეობა აირწინაღით ყოფნაა.

...ამოვედი იმ დღეს მეტროდან, ახალგაზრდა კაცი რაღაც ფურცელს მაჩეჩებს.

რა არის-მეთქი ეს, ვეკითხები, ირაკლი წერეთლის პროკლამაცია მგონია – არიქა, მილიონიან მიტინგზე შევიკრიბოთ დედაწულიანადო, ან იელოველთა აჯა – მკალავიშვილის მრევლმა დაგვარბია და მოგვეხმარეთ, თქვე ტოლერანტულებოო...

ფული გინდა? – მეუბნება პასუხად.

გულუბრყვილო შეკითხვა იყო სწორედ. მიხვდა ამას და, რაც მანდ სწერია ისე გააკეთე და გაკეთდები შავი დედალივითო, ჩამიპაჭუნა თვალი.

ჩავბღუჯე ხელში მოულოდნელად ჩავარდნილი ბედნიერების ვექსილი და ხალხის ნაკადისგან საგულდაგულოდ რომ გავენაპირდი, ხარბად ჩავათვალიერე ხელისგულისოდენა მოცისფრო ფურცელი.

**„ვის უნდა გადარჩენა და თან ფული?“** – პირდაპირ ტყვიასავით გვხვდება პირველივე მსხვილად აწყობილი წინადადება.

გადარჩენაც ყველას გვინდა და ფულიც, ძვირფასო უცნობო, კეთილშობილო მკითხველებო!

ჰოდა, რომ გადარჩე და თან ფული იშოვო: **„შეაგროვე ხელმოწერები „სიცოცხლის წიგნისათვის“ და ყოველ 1 ხელმოწერაში მიიღებ 1 დოლარს, ანუ 2 ლარს (კურსის გაუთვალისწინებლად).**

**გაუწიე ხელმძღვანელობა ათა[illegible]ლებზე: უბნებში, [illegible] კორპუსებში, ორგანიზაციებში, დაბა-სოფლებში, პატარა ქალაქებში ხელმოწერების შეგროვებას და ყოველი 1 ათას ხელმოწერაზე მიიღებ 200 დოლარს, ანუ 400 ლარს!**

**გაუწიე ხელმძღვანელობა რაიონს, მხარეს, დიდ ქალაქს და ყოველ 10 ათას ხელმოწერაზე მიიღებ 500 დოლარს, ანუ 1000 ლარს!**

**ერთდროულად, ყველა ხელმძღვანელს შეუძლია უშუალოდ შეაგროვოს ხელმოწერები და დამატებით ამ თანხასაც მიიღებს...“**

პირდაპირ საარაკო შესაძლებლობაა.

დარაზმე უბნები, კორპუსები, ორგანიზაციები, დაბა-სოფლები, პატარა ქალაქები და ხვეტე და ხვეტე დოლარები, ანუ ორმაგი რაოდენობის ლარები (კურსის გაუთვალისწინებლად!).

ოღონდ, ნეტავ რა წიგნია ეს „სიცოცხლის წიგნი“, რომელზე ხელმოწერაშიც ფულს კი არ გახდევინებენ, პირიქით, აქეთ გიხდიან?

თანაც მის გამოსაცემად საჭიროა, გინდა თუ არა: **2001 წლის 1 მარტისათვის – 1 მილიონი, ხოლო 2001 წლის 9 აპრილისათვის – 1,5-1,6 მილიონი ხელმოწერა მაინც საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისაგან, რომელიც არჩევნებში იღებს მონაწილეობას.**

**დამატებით: ხელი შეიძლება მოვაწეროთ, ვისაც ჯერ 18 წელი არ შესრულებია, ან იმყოფება ციხეში. ყველა ამ ხელმოწერაზე გაიცემა თანხები ახალ სისტემაში, 2001 წლის 9 აპრილიდან 4 თვის შუალედში...**

**არ შეშინდეთ, ნუ შეუშინდებით ვინმეს! ხელმოწერების შეგროვება კანონიერია, მოცემული გვაქვს უფლება კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით... გვაქვს უკვე ასიათასობით ასი[illegible] ხელმოწერა. ერი არის მზად, გელოდებით თქვენ!“**

მოკლედ, გეძლევა ფულის შოვნის ნაღდი შანსი – აწერ ხელს „სიცოცხლის წიგნზე“, იღებ ფულს და მიდიხარ შენთვის. მოდი და ნუ მოაწერ: „ერი არის მზად და გელოდებათ თქვენ“.

ოღონდ, მაინც სერიოზული დაფიქრებაა საჭირო, ჩემო დოლარის პოტენციურად მშოვნელო ძმაო, რაზე აწერ ხელს და რაში გპირდებიან ფულს.

აქ რომ მართლა წიგნი („სიცოცხლის წიგნი“!) არ იგულისხმება, სულაპი უნდა იყო, ვერ მიხვდე.

სწორედ ამიტომ ამშვიდებენ სავარაუდო დოლაროსნებს, კანონიერად ვაგროვებთ ხელმოწერებს, კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გვაქვს უფლება მოცემულიო.

ოღონდ, მართლა ასე კონსტიტუციურ-კანონიერია ეს კამპანია?

ეჭვი მეპარება და აი, რატომ: ტექსტში შეფარვით, ვითომ არაარსებითად, მაგრამ მაინც არის ნათქვამი მთელი ამ წამოწყების ანი და ჰაე: **„ამ ხელმოწერების რაოდენობაზე არის და იქნება დამოკიდებული პრეზიდენტის ნებით შეცვლა, ფულის სისტემის ახალი სისტემის შექმნა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გადავრჩებით და გაწეული შრომისთვის კუთვნილ თანხებსაც მივიღებთ“.**

დიახ, ამა თუ იმ საკითხზე, თუნდაც პრეზიდენტის „ნებით შეცვლაზე“ ხელმოწერების შეგროვება კონსტიტუციურად აკრძალული არ არის. მაგრამ აკრძალულია გააბრიყვო და „სიცოცხლის წიგნზე“ ხელმოწერების ნიღბით „პრეზიდენტის შეცვლაზე“ მოაწერინო ხელი, ანუ მოატყუო ხელმომწერი. თანაც მოატყუო ორმაგად: დღეისთვის შეპირებული გასამრჯელო [illegible] „ახალ სისტემაში“, ე. ი. „პრეზიდენტის შეცვლის“ შემდეგ.

რაც მთავარია, აკრძალულია მოისყიდო ხელმომწერი!

მაშ ასე: 2001 წლის 9 აპრილისთვის თურმე სახელმწიფო გადატრიალება – „პრეზიდენტის ნებით შეცვლა“ მზადდება!

ამ მრავალმხრივად საინტერესო „მოწოდებას“ ხელს პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“ აწერს.

მე არ ვიცი რა ფინანსური შესაძლებლობები აქვს მას, მაგრამ მაინც ძალზე საეჭვოა იმდენი ჰქონდეს, რომ 1,5-1,6 მილიონი ხელმოწერისთვის შეპირებული 1,5-1,6 მილიონი დოლარი, პლუს ხელმოწერის კამპანიის ორგანიზატორებისთვის დაახლოებით 100 ათასამდე დოლარი (ყოველ 10 ათასზე 500) გადაიხადოს.

ერთობ საეჭვოა, თუნდაც იმიტომ, რომ „მძლეველი“ ჯერჯერობით საქართველოს პოლიტიკურ კაბადონზე ისე სუსტად კიაფობს, რამდენიმე წინასწარ გაფრთხილებულ კაცს თუ ექნება შემჩნეული.

თუ იგი საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მონაწილე ბლოკის „მძლეველი საქართველო – ღვთის ტაძარი“ შემადგენელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, შეგვიძლია მოჭრით ვთქვათ, რომ იქ არაფრით გამოუჩენია თავი, მხოლოდ 4275 ხმა მიიღო (0,20 პროცენტი), არც შემდეგ შეუძრავს მთები და ველები.

ამდენად, საზოგადოებრიობა რატომ შეიძლება ენდოს მის მიერ შემოთავაზებულ „სიცოცხლის წიგნზე“ ხელმოწერის ერთობ საეჭვო პირობებს?

დიახ, „მძლეველს“ არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი 2 მილიონი დოლარი.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაშინვე კი არ ისტუმრებს ხელმომწერებს, მხოლოდ ჰპირდება, „ახალი სისტემა“ რომ დამკვიდრდება, მერე გაგისტუმრებთო.

ამ „ახალ სისტემაში“, ანუ გამარჯვების შემდეგ, ვინ გადაიხდის ამ თანხას (ან, როგორც უტყუარად სავარაუდოა, თუ „პრეზიდენტის ნებით შეცვლა“ და „ახალი სისტემის შექმნა“ არ მოხდა, რა ეშველება მოღორებულ 1,6 მილიონ კაცს?)?

სავარაუდოა, რომ ეს თანხა დაიდება „შიგნიდან“ ან „გარედან“: „მძლეველის“ [illegible] მოქმედი „მძლავრების“ ან საზღვარგარეთელი „კეთილისმყოფელების“ მიერ.

ორივე შემთხვევაში ეს მყრალი ფული იქნება!

და ამ მყრალი ფულით აპირებენ ხელმომწერის მოსყიდვას.

სამწუხაროდ: მოტყუება, მოსყიდვა, გაუცუცურაკება ჩვენი დღევანდელი სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრების მტკიცედ დამკვიდრებული რეალობაა!

ვის გინდათ 30 ვერცხლი – არარსებული ერთი დოლარი?

მორიგე რედაქტორი.

### ეკონომიკური ბიულეტენი

### ახალი ეტაპი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში

საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება. დაიწყო დიდი ობიექტების იჯარით გადაცემისა და განსახელმწიფოებრიობის ჯერი ისეთ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში, როგორიც არის ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, წყალსადენ-საკანალიზაციო სისტემები და სხვა, შეიტყო საქინფორმმა ქვეყნის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში.

### სცდიან საბორნე გადაზიდვების შესაძლებლობებს

40 კონტეინერს, საქართველოსთვის განკუთვნილი სხვადასხვა ჰუმანიტარული ტვირთით, ბორნით შემოიტანს ილიჩევსკიდან ფოთში გერმანული ფირმა „Polzug“ .

როგორც პრაიმ-ნიუსს უკრაინის გემთმფლობელთა ასოციაციის პრესმდივანმა ალექსანდრე ფეოდოროვმა უთხრა, შეთანხმებას ჰამბურგიდან ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში კონტეინერების ბორნით გადაზიდვების შესახებ, ქართულ-უკრაინულ-გერმანულმა მხარეებმა შარშან ნოემბერში მიაღწიეს ლაიფციგში გამართული საერთაშორისო გამოფენისას, სახელწოდებით „ტრანსპორტი და ლოგისტიკა“.

### „ინტერ-ლითონპროდუქტი“ უცხოეთის ბაზარზე გავიდა

ქართულ საწარმო „ინტერ-ლითონპროდუქტში“ უნიკალური მეთოდით დამზადებული 1200 ტონაზე მეტი სამშენებლო არმატურა გაიგზავნა ბოლო ოთხი თვის მანძილზე სომხეთში.

როგორც შპს „ინტერ-ლითონპროდუქტის“ ვიცე-პრეზიდენტმა ვახტანგ ჭეიშვილმა პარასკევს თბილისში სამშენებლო მასალების წარმოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა, საწარმოში საფუძვლად აიღეს ძველი სარკინიგზო ლიანდაგებიდან არმატურის წარმოების მეთოდი, რომელიც პირველად გერმანიაში დაინერგა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში.

ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს და დააპატენტეს ლიანდაგებისა და დიდი დიამეტრის ამორტიზირებული მილების სწრაფი ჭრის სპეციალური გილიოტინები.

საწარმო, სადაც 100 ადამიანია დასაქმებული, სამი წლის წინათ შეიქმნა და წელიწადში 40 ათასი ტონა არმატურის წარმოებაზეა გათვლილი.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელჩი

# ჯან იუნსიუანი: ჩინეთი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ახალ ისტორიულ პირობებში ძველი „აბრეშუმის გზის“ ყველა შესაძლებლობის ასამოქმედებლად

**დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი ჯან იუნსიუანი.**

— ეკონომიკური საოცრების მისაღწევად ჩემმა ქვეყანამ განვლო ძნელი ძიების გზა და საბოლოოდ დაადგა განვითარების იმ გეზს, რომელიც ქვეყნის რეალიებს მიესადაგება. ეს არის ჩინური სპეციფიკით სოციალიზმის მშენებლობის გზა და ეკონომიკური რეფორმებისა და მსოფლიოსათვის ჩინეთის კარგახსნილობის კურსის განუხრელი განხორციელება.

ჩვენ ვესწრაფვით შევქმნათ სოციალისტური საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რათა ბაზარმა შეასრულოს საბაზისო როლი რესურსების განთავსებაში სახელმწიფოს მიერ მაკრორეგულირებისა და მაკროკონტროლის განხორციელების პროცესში, თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის ერთობლივი განვითარების ძირითადი ეკონომიკური სისტემა საზოგადოებრივი საკუთრების დომინირების პირობით, ხოლო სახელმწიფო საწარმოებში — თანამედროვე საწარმოთა რეჟიმი, რომელიც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს და ითვალისწინებს საკუთრების, უფლებების და პასუხისმგებლობის, მთავრობისა და საწარმოს ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნას, აგრეთვე, მეცნიერულად დასაბუთებულ მართვას.

ამჟამად ყალიბდება სოციალიტური საბაზრო ეკონომიკა: მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზრის საბაზისო როლი რესურსების განთავსებაში, ჩამოყალიბდა მაკრორეგულირებისა და მაკროკონტროლის საწყისი სისტემა, ამასთანავე, ეკონომიკის ზრდა ექსტენსიურიდან ინტენსიურზე გადადის. 2020 წლისათვის შეიქმნება სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის უფრო სრულყოფილი სისტემა. ამავე დროს, უცხოური ინვესტიციების ფართომასშტაბიანმა მოზიდვამ აამაღლა სახალხო მეურნეობის ხარისხი. საშინაო ბაზრის უცხოურთან შეხამებამ მძლავრი ზემოქმედება მოახდინა ჩინეთის საწარმოებზე, აიძულა შეეცნოთ ბაზრისა და კონკურენციის რაობა მისი ყველა შემადგენლით. შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმოებული საქონლის ნაწილი თანდათანობით უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. არსებობის 51 წლის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბევრ სხვა სფეროში, რაც მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. ქვეყნის ყველა ერის შეკავშირებისა და თავდადებული საქმიანობის მეოხებით სახალხო მეურნეობა ინარჩუნებს სწრაფი განვითარების ტენდენციას და წარმატებით ახორციელებს ეკონომიკის სტრუქტურის სტრატეგიულ რეგულირებას. ინტენსიურად იწყება ჩინეთის დასავლეთი ნაწილის ათვისება. სულ უფრო მტკიცდება სულიერი კულტურის შექმნა და დემოკრატიისა და მართლწესრიგის ფორმირება. ჩინეთი უკვე იწყებს განვითარების ახალ ეტაპს. — შეძლებული საზოგადოების განუხრელი მშენებლობისა და დაჩქარებული სოციალისტური მოდერნიზაციის ეტაპს.

ახალ საუკუნეში ჩინელი ხალხი ძირითად ამოცანად ისახავს: მოდერნიზაციის შემდგომ განვრძობას, სამშობლოს გაერთიანების საქმის დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის ზრუნვას და ერთობლივი განვითარების დაჩქარებას.

**ახალ საუკუნეში ჩინელი ხალხი ძირითად ამოცანად ისახავს: მოდერნიზაციის შემდგომ განგრძობას, სამშობლოს გაერთიანების საქმის დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის ზრუნვას და ერთობლივი განვითარების დაჩქარებას.**

მტკიცედ და განუხრელად ხელს უწყობს რა კარგახსნილობის რეფორმებსა და ეკონომიკურ თანამშრომლობას, ატარებს რა „მშვიდობიანი გაერთიანების, ერთი სახელმწიფო და ორი სისტემის“ კურსს და ახორციელებს რა დამოუკიდებელ საკუთარ და მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, ჩინელი ხალხი მთელი შემართებით იბრძვის ჩინური სპეციფიკით სოციალიზმის განუხრელად მშენებლობისათვის, სამშობლოს საბოლოოდ სრული გაერთიანებისათვის, ჩინელი ერის დიდი აღორძინებისათვის და ამით თავისი ახალი წვლილი შეაქვს კაცობრიობის საქმეში.

**— როგორ აფასებს ჩინეთი მოვლენათა განვითარებას მსოფლიოში გლობალიზაციის გარდუვალი პროცესის (რომელმაც ჩვენი პლანეტის კონტინენტები მოიცვა), თვალთახედვით?**

— ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო ვითარების პოლარიზაცია და ეკონომიკური გლობალიზაცია. ეპოქის ლაიტმოტივად კვლავ მშვიდობა და განვითარება რჩება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახალი საუკუნე ყველა ხალხისთვის საყოველთაო მშვიდობის საუკუნე გახდება. ჩინელი ხალხი მზად არის მტკიცედ იბრძოლოს მსოფლიოში მრავალპოლუსიანობის დასაჩქარებლად, მშვიდობიანი და სტაბილური, სამართლიანი და რაციონალური პოლიტიკური და ეკონომიკური მსოფლწესრიგისათვის. იმედი გვაქვს, რომ ახალი საუკუნე გადაიქცევა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთობლივი განვითარების საუკუნედ. XX საუკუნეში შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია მსოფლიოში საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ. ახალი იმპულსი, რომელსაც ეკონომიკური გლობალიზაცია საწარმოო ძალების განვითარებას აძლევს, მეცნიერებისა და ტექნიკის უსწრაფესი განვითარების ახალი მიღწევები უნდა წარიმართოს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების დაჩქარებული განვითარებისათვის, ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რათა მათ დამოუკიდებლად განვითარების საშუალება მიიღონ. ამ საქმეში ჩინელი ხალხი განუხრელად შეიტანს თავის წვლილს.

**— როგორ ესახება ჩინეთს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში სიღარიბესთან და შიმშილთან ბრძოლის გზები, იმ დროს, როცა კიდევ უფრო მდიდრდება ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული სახელმწიფოები ჩვენს პლანეტაზე?**

— ჩინეთის მოსახლეობის საბაზისო ციფრები გვიჩვენებს, რომ იგი მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მეტია, ამდენად, სიღარიბის საკითხებს და მის ლიკვიდაციას ჩინეთში უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. რეფორმებისა და კარგახსნილობის შემდგომ 20 წელიწადში ღარიბთა წილი ჩინეთში მსოფლიოში ღარიბთა საერთო რიცხვის 25 პროცენტიდან 70-იანი წლების ბოლოს 5 პროცენტამდე შემცირდა, რაც ისტორიული მნიშვნელობის მიღწევაა.

ამას მივაღწიეთ იმით, რომ **პირველი**, დიდად გაძლიერდა ჩინეთის ეკონომიკა; **მეორე**, მთავრობამ, (რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს) მიიღო ეფექტიანი ღონისძიებები სიღარიბის სალიკვიდაციოდ; **მესამე**, განხორციელდა დახმარებიდან განვითარებისაკენ მიმართული კურსი.. ახალი პროგრამები მიმართულია იმისაკენ, რომ ღარიბთა რაიონებმა გაზარდონ დამოუკიდებელი დაგროვებისა და განვითარების შესაძლებლობები (სახელმწიფოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევის გზით) ადგილობრივი რესურსების ასათვისებლად, სასაქონლო წარმოების განსავითარებლად და მისთვის პირობების გასაუმჯობესებლად. ამის მეოხებით 250 მილიონმა ღარიბმა ადამიანმა (1978 წ.) ძირითადად გადაწყვიტა მეოცე საუკუნის ბოლოს, ტანსაცმლისა და კვების საკითხი.

**— „დიდი აბრეშუმის გზა“, საქართველო და ჩინეთი, როგორ გესახებათ ამ ტრიადის ურთიერთკავშირი?**

— საქართველო, რომელიც მდებარეობს აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე, „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩინეთს იმედი აქვს, რომ დაინტერესებული ქვეყნები განამტკიცებენ ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობას და გამოძებნიან ისეთ სფეროებსა და მათში მონაწილეობის ფორმებს, რომლებიც ყველა ქვეყნისათვის იქნება სასარგებლო. ჩინეთი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ახალ ისტორიულ პირობებში ძველი „აბრეშუმის გზის“ ყველა შესაძლებლობის ასამოქმედებლად“.

**— თქვენ უკვე რამდენიმე წელიწადი იმყოფებით საქართველოში და, ბუნებრივია, კარგად გაეცანით ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობებს, მის კულტურას და ხალხის ცხოვრებას. რას უსურვებდით ქართველ ხალხს მესამე ათასწლეულის დამდეგს?**

— საქართველოში ჩემი ყოფნის მანძილზე მე ღრმად დავრწმუნდი, რომ იგი უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურული ტრადიციების ქვეყანაა. ამჟამად იგი ეკონომიკის აღმავლობისა და განვითარების ისტორიულ ეტაპზე იმყოფება. უკავია რა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, ჰყავს რა შრომისმოყვარე და ბრძენი ხალხი, საქართველოს განვითარების უზარმაზარ პოტენციალი აქვს. თქვენ ქვეყანას მინდა ვუსურვო აყვავება და ძლიერება, ხოლო ხალხს ბედნიერი ცხოვრება ახალ ათასწლეულში.

ესაუბრა
**ირაკლი ჯაფარიძე.**

---

პოზიცია

# თენგიზ ასანიძე - პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი თუ მიზეზი?

(პირველი გვერდიდან)

**ამ ლოგიკით, ბუნებრივია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამასწინანდელი გადაწყვეტილებაც, რომლის მიხედვით ასანიძე აჭარის ხელისუფლების მიერ წარდგენილ ბრალდებებში უდანაშაულოდ სცნეს, პოლიტიკურ სარჩულს უდებენ. ისინი აცხადებენ, რომ ასანიძე ტერორისტია და ცენტრს მისი ციხიდან გამოშვება სწორედ იმიტომ სურს, რომ ეს კაცი კვლავ აჭარის წინააღმდეგ გამოიყენოს. ანუ, ყველაფერთან ერთად, „აღორძინების“ ლიდერებს, რეფორმის „წნეხში“ გატარებულ უზენაესი სასამართლოს ობიექტურობაზეც ეპარებათ ეჭვი და მისი თავმჯდომარე, ლადო ჭანტურიას ნაცვლად, საქართველოს პრეზიდენტი ჰგონიათ. ყოველ შემთხვევაში, „აღორძინების“ ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე ამ საქმეში სწორედ პირადად პრეზიდენტის უხილავ ხელს ხედავს. იგივე საკითხზე რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეს ზია მეზარიშვილს.**

— ამ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და ის უნდა აღსრულდეს. ამ საკითხის პოლიტიკური დრამატიზება არ შეიძლება. არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა აღსრულდეს. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლოს გადაწყვეტილება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვაკრიტიკებთ მას თუ არა (ესეც ჩვენი უფლებაა), ყველა შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოს და, საერთოდ, სასამართლო ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე, არც ერთ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირს, არა აქვს უფლება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ მოახდინოს. ასეთია ჩემი პოზიცია.

**— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ის მოსაზრება, რომ უზენაესი სასამართლო პრეზიდენტზე ან ხელისუფლების სხვა რომელიმე შტოს წარმომადგენელზე არის დამოკიდებული და მართლმსაჯულების ეს უმაღლესი ორგანო რეფორმის შემდეგაც, ისევ მმართველი პოლიტიკური ძალის დიქტატს ექვემდებარება და შესაბამისად, გადაწყვეტილებებსაც მათი ზეწოლის შედეგად იღებს.**

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მოგვწონდეს და შეიძლება — არა, შეიძლება ზოგისათვის იგი მისაღები იყოს, ხოლო ზოგისთვისაც — მიუღებელი. ჩვენ-ჩვენი აზრის გამოთქმის უფლება გვაქვს, მით უმეტეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება უკვე ქვეყნდება. ასე რომ, ეს კონკრეტული გადაწყვეტილებაც გამოქვეყნებული იქნება, და, ალბათ, სულ უმოკლეს პერიოდში.

ახლა, რაც შეეხება თვითონ საკითხს, ვიმეორებ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, ეს არის კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა.

**— და პირადად თქვენ რამდენად რეალურად გეჩვენებათ უზენაესი სასამართლოს ამ კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულება და ასანიძის პატიმრობიდან გათავისუფლება. მით უმეტეს, პრეზიდენტის შეწყალებამ ვერაფერი უშველა ამ საქმეს, ზოგიერთი სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელს ამ საკითხზე უკვე ხელიც აქვს ჩაქნეული და, აბა, ვიღაცამ ის კაცი ციხიდან ხომ უნდა გამოიყვანოს?**

— ამ გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა. თუ არ მოხდება ამ სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულება, მაშინ დადგება შათანადო პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. რაც ასევე მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

**— რაც შეეხება „აღორძინების“ ბლოკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პარლამენტარ ჯემალ გოგიტიძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ასანიძის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინასწარ ცნობილი იყო, რადგან იგი ხელისუფლების და, კერძოდ, პრეზიდენტის ინტერესში შედის. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ, ამ საქმესთან დაკავშირებით, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს პრეზიდენტს?**

— ვიმეორებ, ამ საკითხის პოლიტიკური დრამატიზება არ შეიძლება, განა კონკრეტული ფაქტი აქვს ვინმეს, რომელიც დაადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობას ამ საქმეში? მე ამის შესაძლებლობასაც კი გამოვრიცხავ. აქვე დავძენ, ძალიან კარგად ვიცნობ უზენაესი სასამართლოს დღევანდელ შემადგენლობასა და მის თავმჯდომარეს და მე მათზე რამენაირი ზეწოლის შესაძლებლობასაც კი არ გავიფიქრებ, და ისიც საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. მოდით, გავანებოთ თავი ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას.

**რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, ეს არის კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა.**

საერთოდ კი უნდა გითხრათ, რომ ასანიძის საქმე საკმაოდ გახმაურებული საქმეა. მას უკვე თანდათან ეძლევა პოლიტიკური ელფერი, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული. ეს ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმეა. ძალიან საწყენია, რომ მას პოლიტიკური დატვირთვა მიეცა.

ამიტომაც, უმჯობესია, სიტუაციას ნუ დავძაბავთ და თუ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, — იგი აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ნუ მოვიჭრით თავს და ნუ გავხდებით მთელი მსოფლიოს სასაცილო.

ესაუბრა
**ბექა ჭედია.**

## ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

# საქართველო გზის გასაყარზე

საქართველოს ბევრი რამ აქვს დღეს ასარჩევი და გადასაწყვეტი. ერთ-ერთი გზაჯვარედინზე გზის არჩევაა, აი, უფლისწული რომ ლოდზე კითხულობდა: მარცხნივ წახვალ თავს მოგკვეთენ, მარჯვნივ წახვალ უფსკრულში გადაიჩეხები, პირდაპირ წახვალ, ვეღარ მობრუნდები. უფლისწულისაგან განსხვავებით საქართველოს არჩევანი გარკვეულწილად განპირობებულია იმ ძალთა თანაფარდობით, რომელიც ჩვენს რეგიონში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი თანამემამულე, მათ შორის ისეთიც, ვის სიტყვასაც გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, რბილად რომ ვთქვათ, ნაჩქარევი ნააზრევით თავგზას უბნევს საზოგადოებას და ისედაც რთულ პოლიტიკურ ვითარებას, კიდევ უფრო ართულებს. ასეთი პოლიტიკოსები თუ ჟურნალისტები ორ არათანაბარ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფის წევრები ვიღაცის დაკვეთას (რუსეთი, თურქეთი, სპარსეთი, დასავლეთი თუ სხვა) ასრულებენ. ცხადია, ყველაზე მეტი საშუალება ამ მხრივ რუსეთს გააჩნია იმიტომ, რომ მისი აგენტურა საქართველოში არ გადაშენებულა და განსაკუთრებით ერთგულები (თუ რატომ, ეს სხვა საკითხია) მონდომებით ასრულებენ მის დავალებებს. ამ პირების ამოცნობა რთულია თუნდაც იმიტომ, რომ მათ შორის არიან ნაციონალურ მოძრაობაში აღრეულად შეგზავნილებიც.

ცხადია, თავისი ხალხი ჰყავს სხვა სამსახურებსაც. ზოგნი, ალბათ, იდეურ საფუძველზე თანამშრომლობენ მათთან, ზოგნი ანგარების მიზნით. ამის გამო ვერც ერთ უცხოურ სპეცსამსახურს ვერ დავემდურებით, ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. ის კი არა, პრეზიდენტმა ბუშმა უკვე განაცხადა — დაზვერვა მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ. გვაქვს ერთი გამოსავალი — კრიტიკულად აღვიქვათ წაკითხული თუ გაგონილი და მეტად ვენდოთ იმ ლიდერებს, ვინც დაამტკიცა ლიდერობის უფლება.

მეორე, ვიმედოვნებ ბევრად უფრო დიდი ჯგუფი ჩვენი პოლიტიკოსებისა იმიტომ არის გულადი, „რომ არ უწყის, რასა იქმს“. ყველას გვახსოვს ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეუჩერებლად გაჰკიოდნენ — საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას მარტო ბორჯომის წყალი და საქართველოში მოწეული ხილი ეყოფაო. ეს ხალხი სადღაც აორთქლდა, მაგრამ შედეგი კი დარჩა — ანუ ის ადამიანები, ვინაც ერთხელ ირწმუნა ეს აბსურდი და დღესაც პოზიცია ვერ შეუცვლია. ბოროტება კი ის არის, რომ ამ ადამიანებს გულწრფელად სწამთ — მთავრობაში ის პოპულისტები რომ მოვიდნენ, საქართველოს ააყვავებენ, ამ „მორწმუნეთა“ დიდ ნაწილს კი სწორედ ის ჩვენი თანამემამულენი შეადგენენ, ვინც დაკარგა გავლენა, შემოსავალი, ან არც ერთი მათგანი არ ჰქონია, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ეროვნული მოძრაობის ტალღას აყოლილი მოიპოვებდა.

დავუბრუნდეთ გზაჯვარედინს, რომელთანაც დგას საქართველო.

ერთ მხარეს — რუსეთი, მეორე მხარეს — თურქეთ-სპარსეთი, მესამე მხარეს — დასავლეთი — ამერიკა+ევროპა. რუსეთ-თურქეთ-სპარსეთის (დღეს ნაკლებ როლს თამაშობს) დაპირისპირებას საერთოდ და კავკასიაში კერძოდ, მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. რუსეთის იმპერია გეგმაზომიერად აყიწროვებდა თურქებს, წაართვა ასტრახანის სახანო, ყირიმი და მიადგა კავკასიას, სადაც მას ერთმანეთის მოქიშპე, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ორი ძალა დახვდა — სპარსეთი და თურქეთი. ეს ცნობილი ფაქტები იმიტომ მომყავს, რომ გეოპოლიტიკური გენერალური მიმართულებები დღეს ისეთივეა, როგორც იყო XVII საუკუნეში ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით — საქმეში ჩაერთო დასავლეთი. ყველას გვახსოვს ისტორიიდან საქართველოს მცდელობა ქრისტიანული ევროპიდან ვინმე დახმარებოდა ისლამურ სახელმწიფოებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ამაოდ. დღეს ვითარება შეიცვალა, და თუ 1921 წელს ევროპის ქვეყნებმა პრაქტიკულად უბრძოლველად დაუთმეს სამხრეთი კავკასია რუსეთს, ამჯერად ისინი მზად არიან გადადგან გარკვეული (!), ხაზს ვუსვამ — გარკვეული ნაბიჯები გავლენის მოპოვების მიზნით. თუ რა მასშტაბის ნაბიჯები — ეს დამოკიდებულია იმ მოგებაზე (მორალურ თუ მატერიალურზე), რომელსაც ამით მიიღებენ.

დღეს ქართველთა უმრავლესობა გეორგიევსკის ტრაქტატს უარყოფითად აფასებს, მაგრამ რამდენად მართალნი ვართ, ეს არცთუ იოლი გასარკვევია, ამიტომ მოდით, ჩვენი წინაპრების აზრიც გავითვალისწინოთ.

1850 წლის 25 სექტემბერს თბილისს ეწვია რუსეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე რომანოვი, ტახტის მემკვიდრის თბილისს შემოსვლა ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა — წერდა გაზეთი „რუსკი ინვალიდ“. მთელი მოსახლეობა გამოეგება მუსიკითა და სიმღერით, ხალხი მწვანე ტოტების რხევით (ხომ არ გაგახსენდათ ქრისტეს შებრძანება იერუსალიმში?) და დროშებით ესალმებოდა. საპატიო ყარაული ორასი დიდგვაროვანი თავადისგან შედგებოდა. წმინდა სისხლის ბედაურებზე ამხედრებული, უზადო სილამაზის ვაჟკაცები, გამოწყობილი ხავერდსა და ქიშმირში, მოოქროვილ და პატიოსანი თვლებით გაწყობილ ქამარ-ხანჯლით საუცხოო სანახაობას წარმოადგენდნენ... დღე და ღამე არ იშლებოდა ხალხი მოედანზე. ტახტის მემკვიდრის ყველა გამოჩენას ყიჟინითა და თოფების სროლით ხვდებოდნენ... სახლების ბანები მთების ტერასებზე მორთული იყო ხალიჩებით... ასე გრძელდებოდა სამი დღე და ღამე, ვიდრე უფლისწული ქუთაისს არ ეწვია. იქ ტახტის მემკვიდრეს ეახლნენ სვანეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს მთავრები. შემდეგ უფლისწულმა თურქების მიერ მიტაცებული და ცოტა ხნის წინათ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად დაბრუნებული ახალციხის ციხე-სიმაგრე მოინახულა.

100-წლიანი კავკასიის ომი კი გრძელდებოდა. აი, რას წერდა მეფისნაცვალი და კავკასიის ჯარის მხედართმთავარი ბარატინსკი იმპერატორს, „ჩერქეზთა ტომები არ ექვემდებარებიან საზოგადო წესებს. მათთვის მთავარი და ერთადერთია პირადი თავისუფლება, ღირსება და სიმამაცე, ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ მათი განდევნა ზღვის ნაპირიდან მთების სიღრმეში, შემდგომ კი თურქეთში, ხოლო მათი მიწების დაჩქარებული კოლონიზაცია“. იგივე ბარატინსკის აზრით, გადარჩენილ მთიელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო შემდეგი ზომები: 1. ქალების ალზრდა (ასეა წერილის დედანში — გ. ლ.); 2. შარიათის მოსპობა; 3. ქრისტიანობის აღდგენა; 4. გზების მშენებლობა; 5. სარწყავი სისტემის მშენებლობა და ისევ და ისევ — მიწების კოლონიზაცია ყუბანელი კაზაკებით. „თქვენი იმპერატორობის უდიდებულესობისათვის საამაყო ხვედრია საბოლოო დარტყმა მიაყენოთ კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგობას. თქვენ გააბედნიერებთ მთელ მხარეს მშვიდობისა და განათლების მინიჭებით. თხუთმეტსაუკუნოვან ტანჯვას (ასეა დედანში — გ. ლ.), 60-წლიან ომს, შეცვლის გაფურჩქვნის და მაღალმოქალაქეობრივი განვითარების ეპოქა“.

ვფიქრობ, ყველამ ვიცით, რომ ქართველები დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ რუსეთის კავკასიელთა წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში და იქ მიღებული ჩინ-მედლებით ამაყობდნენ კიდეც! თითქოს პარადოქსია — ქვეყნის ელიტა ეხმარება თავისი ქვეყნის დამპყრობლებს მეზობელი ხალხების დარბევაში?! მაგრამ გეოპოლიტიკური სიტუაცია კარნახობდა ჩვენს გონიერ წინაპარს, რომ იმ ვითარებაში რუსეთთან მეგობრობა უკეთესი გამოსავალი იყო შექმნილი მდგომარეობიდან. მე პირადად მგონია, რომ თუ არა რუსეთი, ჩვენ იმ ქართველებივით ვიქნებოდით დღეს, თურქეთის ტერიტორიაზე რომ ცხოვრობენ. იქნებ ჩვენზე უკეთესად ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენნაირი ქართველები აღარ არიან.

მაშინაც, როგორც დღეს, რუსეთი არ აკლდებოდა ძალისხმევას კავკასიაში დასამკვიდრებლად. ეს გასაგებიც არის. ჩერჩილი ხშირად იმეორებდა — ბრიტანეთის იმპერიას (ალბათ რუსეთისაც) არა ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას აქვს მუდმივი ინტერესები. მაგრამ დღეს სიტუაცია ერთგვარად შეცვლილია. აი, რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი დროის ერთ-ერთი უცნობილესი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბზეჟინსკი: ... „დღეს რუსეთი ძალიან სუსტია პოლიტიკურად, რათა მთლიანად დახუროს რეგიონი გარე ძალებისათვის და ძალიან ღარიბი, რომ საკუთარი ძალებით იმოქმედოს ამ რეგიონში... ამგვარად, რუსეთის იმპერიის აღდგენის საკითხი აღარ დგას... რუსეთი ცდილობს შექმნას ურთიერთობათა ახალი სისტემა, რომელიც მას ახალ სახელმწიფოთა თავის გავლენის ქვეშ მოქცევის, მათზე დომინირების საშუალებას მისცემს. ამისათვის, — განაგრძობს ბზეჟინსკი, — რუსეთმა მოხერხებულად გამოიყენა სეპარატისტული მოძრაობების კარტი საქართველოსა და სომხეთში, განახორციელა ფინანსური დაწოლა ყაზახეთზე, გამოიყენა სამოქალაქო ომი ტაჯიკეთში“.

მხოლოდ ერთი კომენტარი — სომხეთი, რომელიც ბოლშევიკების დროს რუსებს სომხეთში არ აჭაჭანებდა, დღეს ყარაბახის გამო (რუსეთის ტანკები, თვითმფრინავები, სხვა შეიარაღება და ა. შ.) რუსეთს სამუდამო ძმობას ეფიცება და ლამის რუსეთ-ბელორუსიის კავშირს შეუერთდეს. სომხეთი ამაზე მიდის მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში პოლიტიკური მნიშვნელობით უაღრესად ავტორიტეტული დიასპორა (მაშასადამე, დამცველი) ჰყავს.

ასევე, ძალაში რჩება თურქეთის დაპირისპირება რუსეთთან. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სპარსეთისაც. მაგრამ იმის გამო, რომ სპარსეთ-ამერიკის ურთიერთობები ძალიან დაიძაბა, რუსეთი ცდილობს სპარსეთთან მოძებნოს საერთო ენა კასპიის ზღვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით. ამიტომ საქართველოსათვის თურქეთის პოზიცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, ჩვენსა და თურქეთს შორის ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთობები დამყარდა და თურქეთი ბევრ რამეში გვეხმარება, ეს კიდევ უფრო გამოიკვეთა საქართველოს პრეზიდენტის იანვრის ვიზიტისას თურქეთში.

მაგრამ გეოპოლიტიკური ინტერესების ვექტორი, რომელიც გადის საქართველოზე, თურქეთს მიმართული აქვს თურქულენოვანი დიასპორის გასაძლიერებლად (სიმფეროპოლი, ასტრახანი, ჩრდილოეთ კავკასია). ამიტომ თურქეთი რბილად, მაგრამ დაჟინებით ითხოვს ე.წ. თურქი მესხების დაბრუნებას საქართველოში. თურქეთს ვერ დავემდურებით იმის გამო, რომ მას თურქები ურჩევნია ქართველებს და თანაც მიზნად ისახავს რუსეთის გავლენის შესუსტებას. დასავლეთი, ევროპის საბჭოც მხარს უჭერს ე.წ. თურქი მესხების დაბრუნებას საქართველოში, თუმცა, მასაც მშვენივრად ესმის, რომ მათი საქართველოში დასახლება საქართველოს გადაგვარების ტოლფასია, მაგრამ ევროპის საბჭო სამართლიანობის პრინციპს იცავს. დავემდურებით? ვერ დავემდურებით! ამავე დროს, როდესაც დასჭირდა იგივე ევროპას, სულ იოლად დაეთანხმა სტალინს რამდენიმე მილიონი გერმანელის პრუსიიდან და პოლონეთის მიმდებარე სილეზიის ტერიტორიებიდან გერმანიაში გასახლებაზე. პოლონელების გასახლებაზე უკრაინისათვის გადაცემული პოლონური ტერიტორიებიდან, ხოლო ფინელების რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიებიდან.

ისევ ზბიგნევ ბზეჟინსკი მოვიშველიოთ. „თუმცა არც თურქეთს და არც ირანს არ ძალუძს აღმოფხვრან რუსეთის გავლენა ამ რეგიონზე (იგულისხმება სამხრეთ კავკასია), მაგრამ თურქეთი და (ნაკლებად) ირანი ეხმარებიან ახალ სახელმწიფოებს, წინააღმდეგობა გაუწიონ თავის ყოფილ პარტნიორსა და ჩრდილოეთ მეზობელს, მოახდინოს მათი რეინტეგრაცია, ეს კი უდავოდ ხელს უწყობს რეგიონის გეოპოლიტიკური მომავლის თავისუფლებას... ამერიკა ზედმიწევნით შორს არის ევრაზიიდან, რათა შეძლოს ამ რეგიონში დომინირება, მაგრამ ზედმიწევნით ძლიერია, რომ არ ჩაერთოს ამ პრობლემების გადაწყვეტაში. ამერიკის ინტერესი ის არის, რომ არ დაუშვას არც ერთი სახელმწიფოს დომინირება ამ რეგიონში... რეგიონი გეოპოლიტიკურად სტაბილურია მაშინ, როდესაც დაუკავშირდება ნავთობის, ბუნებრივი გაზის მიღებითა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით მსოფლიოს მსხვილ ეკონომიკურ ცენტრებს“.

ამიტომ ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის დაჟინებული მცდელობა, დაუყოვნებლივ შეაჩეჩოს ამერიკის სასიძოს ქართული პატარძალი, ამაოა. სასიძოს თვალსაზრისით პატარძალი მისი მოთხოვნილების პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ ჯერჯერობით პლატონურ ურთიერთობებს ამჯობინებს, სხვა საქმეა მეზობელი კოლუმბია, რომელსაც ამას წინათ ცხრა მილიარდი დოლარი უფეშქაშა, ოღონდ კოკაინის წარმოებას შეეშვითო. ან, მაგალითად, კუვეიტი, ასეთი მდიდარი პატარძლისათვის უდაბნოში ქარიშხლის ატეხვასაც არ მოერიდა. შეიძლება ეს გვეწყინოს? რასაკვირველია — არა! პირიქით, დასავლეთი ბევრად იმაზე მეტს გვიკეთებს ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტით, ვიდრე მას პირადად სჭირდება დღეს, მაგრამ ხვალაც კი, როდესაც საქართველო მოექცევა ევრაზიის სტაბილიზებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (თუ მანამდე ერთმანეთი არ შევჭამეთ), ჩვენ დიდი ხარკის გადახდა დაგვჭირდება, რომ იქ ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ. პოლიტიკა გარიგების სფეროა: თუ არაფერს იხდი, არაფერს იძენ!

ქართველებს, დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ წონასთან შედარებით გადაჭარბებული ამბიციები გვაწუხებს. ეტყობა ამის გამოძახილი იყო გერმანიის აწ უკვე ყოფილი კანცლერის ჰელმუტ კოლის დაახლოებით ასეთი პასუხი ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე — პატარა ქვეყნები, რომლებიც გიგანტების გვერდით იმყოფებიან, ისე უნდა იქცეოდნენ, როგორც მელიები, თუ უნდათ, რომ გადარჩნენ. ძალიან არ მსიამოვნებს საქართველოსთვის ამ გულსატკენი ჭეშმარიტების შეხსენება, განსაკუთრებით ჩვენი „გულადი“ პოლიტიკოსებისათვის, მაგრამ, რას იზამ, ასეთია ჩვენი ხვედრი.

ჩერჩილის მემუარების მიხედვით იალტაში სტალინს ჰკითხეს, ხომ არ აპირებს ფინეთის ჩაყლაპვას? სტალინმა უპასუხა — თუ არ მაიძულებენ ფინელები, არ ვაპირებო. დაახლოებით ასეთივე პასუხი გასცა მან ჩერჩილს — პოლონეთის ხელის ხლებას არ ვაპირებ, მაგრამ გერმანიის ტერიტორიას კი მოვკბიჩავო (ასეა ტექსტში. — გ. ლ.). ჩერჩილმა, სტალინმა და რუზველტმა ცოტა ივაჭრეს. საქმე ის არის, რომ ჩერჩილს სურდა ბავარია-ავსტრია-უნგრეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რუზველტი კი გერმანიის ხუთ ნაწილად დაყოფას უჭერდა მხარს. ერთი შეხედვით, კეთილშობილი ჟესტიც გააკეთეს, გაითვალისწინეს საფრანგეთის სწრაფვა, და იგი გერმანიის მაოკუპირებელ ოთხეულში შეიყვანეს. სინამდვილეში ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩერჩილმა განაცხადა, მარტო ინგლისი გერმანიას ვერ მოერევა და, იქნებ, საფრანგეთი მომახმაროთო. ის, რომ სტალინის მოთხოვნის მიხედვით რუსეთს პრუსია გადაეცა (ამჟამად კალინინგრადის ოლქი), მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ სამაგიეროდ მან რუზველტის თხოვნით პოლონეთის ზოგიერთი ტერიტორიული პრეტენზია დააკმაყოფილა, არამედ იმითაც, რომ ჩერჩილს ძალიან ეშინოდა გერმანიის სწრაფი რეაბილიტაციისა და რევანშის.

მოკლედ, როდესაც პოლიტიკოსები ვიწრო წრეში საუბრობენ, მათი საუბარი გარკვეულ კანონზომიერებათა გახმოვანებაა, ხოლო პოპულისტური სამკაული მეორე პლანზე გადადის და რეალურ მამოძრავებელ ფაქტორებს უთმობს ადგილს. თუ როგორ აფორმებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს ხალხისთვის გასაცნობად, ეს თითოეული მათგანის პრეროგატივაა. მაგალითად, ვინ წარმოიდგენდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საბჭოთა პრესა ლანძღვას არ აკლებდა მოკავშირეების, ინგლისისა და აშშ ლიდერებს, სტალინი ჩერჩილის სადღეგრძელოს იალტაში ასე დაიწყებდა: — მე მინდა წარმოვთქვა ბრიტანეთის იმპერიის ლიდერის, მსოფლიოში ყველაზე მამაცი პრემიერ-მინისტრის სადღეგრძელო... და ასე დაამთავრებს: „იმ ადამიანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, რომელიც საუკუნეში ერთხელ შეიძლება დაიბადოს და რომელმაც აღმართა დიდი ბრიტანეთის დროშა. მე ვთქვი, რასაც განვიცდი, ის, რაც გულის სიღრმეში მაქვს და ის, რაშიც მე ვარ დარწმუნებული“.

ახლა ჩერჩილის სადღეგრძელო: „მე არც ფერადოვან კომპლიმენტებს და არც გადაჭარბებებს არ მივმართავ, როდესაც ვამბობ, რომ მარშალ სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინის სიცოცხლე ჩვენი იმედების და ჩვენი გულების უძვირფასეს განძად მიგვაჩნია... მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ბუმბერაზ ადამიანთან ახლობლური ურთიერთობა მაქვს, ადამიანთან, რომლის დიდება გასცდა რუსეთს და მოეფინა მთელ მსოფლიოს“.

არ დაგავიწყდეთ, ამ დროს რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი დახვრეტილი ან გადასახლებულია ისეთი პოლიტიკური დანაშაულისათვის, რომელიც უმრავლესობა მათგანს არ ჩაუდენია და რომელიც დასავლეთში არ ითვლება დანაშაულად. ჩერჩილმა ეს მშვენივრად იცის, თანაც რუზველტთან ერთად მსოფლიოში დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების ბურჯად მიიჩნევს თავს.

ეს ციტატები იმიტომ მომყავს, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი — პოლიტიკა „მე რომ მგონია ის არ არის, შენ რომ გგონია არც ისაა“ და ამიტომ პოლიტიკური შარადების ამოხსნა პოლიტიკოსებს უნდა დავაცადოთ. მაგრამ პოლიტიკოსები ხალხის მხარდაჭერის გარეშე ფიტულებია, რომელთა გადაწყვეტილებების ფასი არ სცილდება იმ ქაღალდის ფასს, რომელზეც ეს გადაწყვეტილებებია დაწერილი.

არა მგონია, რომელიმე ქართველს უფრო აწუხებდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სიტუაცია ისე, როგორც ჩვენს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. მაგრამ, არა მგონია, საქართველოში ვინმე ისე აწონილად უდგებოდეს მის გადაწყვეტას, როგორც პრეზიდენტი. არა მგონია, ვინმე უფრო გაწბილებული იყოს აფხაზეთის გამო ჩვენი ახლო და არცთუ ახლო მეზობლებისაგან, მაგრამ პრეზიდენტის ემოციების გამომზეურება ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა საქართველოსთვის... დიპლომატებისათვის ღმერთს ენა ხომ იმიტომ მიუცია, რომ ჭეშმარიტი ზრახვები დამალონ!

ბუნებრივია, კარგად მესმის ყველა ქართველის გულისტკივილი. ვფიქრობ, აფხაზეთის და ოსეთის სატკივარი ყველა ჩვენს დღევანდელ უბედურებაზე დიდი უბედურებაა. მოტყუებულებიც ვართ, შეურაცხყოფილებიც და ნაცემებიც. მართალია, მარცხი გოლიათთან მოგვიხდა, მაგრამ ეს ტკივილს არ ანელებს. ამავე დროს, დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ ედუარდ შევარდნაძეს დავაცლით, დავიბრუნებთ აფხაზეთსაც და ოსეთსაც, მაგრამ პოლიტიკა ხომ შესაძლებელის ხელოვნებაა! შეუძლებელი, რომ შესაძლებელი გახდეს, საჭიროა დრო და შეუპოვარი, ზოგჯერ ძნელად დასანახი მუშაობა.

და ბოლოს, გვსურს თუ არა, საქართველო დღეს პატარა, ეკონომიკურად სუსტი, სამხედრო თვალსაზრისით დაუცველი ქვეყანაა და თანაც ისეთ გეოგრაფიულ სივრცეშია მოქცეული, რომ მასზე გავლენის მოპოვება (ამა თუ იმ გზით) მისწრებაა ნებისმიერი დიდი სახელმწიფოსათვის. გველეშაპივით დადგება ვიწროში და აზიიდან ევროპისაკენ ერთ გრამ ნავთს თუ ბამბას არ გაატარებინებს, თუ არ სურს. სამწუხაროდ, საქართველო გარდა იმისა, რომ სუსტია, „ობოლიც“ არის. არსად მსოფლიოში ჩვენი მონათესავე ხალხი არ მოიპოვება. თვით საქართველოს შესახებ მსოფლიოს უბრალო ადამიანებმა იციან იმის გამო, რომ ის შევარდნაძის სამშობლოა, (ადრე სტალინის გამო იცოდნენ). გამოსავალი? გამოსავალი ვართ ჩვენ, ქართველები! გზის გასაყარი კი საქართველოშია — ან შევძლებთ ეროვნული გამაერთიანებელი მიზნის ირგვლივ ერის დარაზმვას, რომელიც ერთნაირად მიმზიდველი იქნება ჭეშმარიტ პატრიოტ გამსახურდიას, აბაშიძის, ჟვანიას, რჩეულიშვილის და სხვათა და სხვათა მიმდევართათვის, ან უნდა დავთმოთ ისტორიული სარბიელი.

**გელა ლეჟავა,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## პოლემიკა

# საეკლესიო სიძველენი ერის საკუთრებაა

„საკონსტიტუციო ხელშეკრულების“ პროექტმა, რომლის დადება განზრახულია საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, აზრთა სხვადასხვაობა და დებატები გამოიწვია. პრობლემა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა და კონფესიათა წარმომადგენლებმა რამდენიმე კონფერენციაზე განიხილეს. ტექსტი სამგზის თუ მეტგზის შეიცვალა, დაიხვეწა, გაუმჯობესდა, მაგრამ გაურკვეველი და სადავო პუნქტები მაინც დარჩა.

შევეხები 36-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წერილობითი ძეგლების მესაკუთრედ საპატრიარქო უნდა გამოცხადდეს:

„სახელმწიფო აღიარებს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებას სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებსა და საცავებში არსებულ საეკლესიო საგანძურზე.

საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს ყველა ის ხელნაწერი თუ დოკუმენტი, რომელიც ისტორიულად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს და დაცულია სხვადასხვა სახელმწიფო არქივში, მუზეუმში და წიგნთსაცავში და კერძო მფლობელობაში“.

გაუგებარია: თუკი ხელნაწერი, საბუთი თუ ნივთი ფაქტობრივად და რეალურად „კერძო მფლობელობაშია“, ანუ მოქცეულია კერძო პირის, ოჯახისა თუ ორგანიზაციის საკუთრებაში, როგორღა წარმოადგენს იგი სხვა კერძო თუ იურიდიული პირის, თუნდაც საპატრიარქოს, ან სახელმწიფოს საკუთრებას?

საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებად ცხადდება ყველაფერი, რაც „ისტორიულად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს“, ანუ შექმნილია მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მისი სულიერი შვილების ჯაფით და ღვაწლით. მთელი კულტურა, რასაც ქართული ქრისტიანული კულტურა ჰქვია, რითაც ვამაყობთ და, ჭეშმარიტად ვამაყობთ, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშია შექმნილი. ყველა წერილობითი ძეგლი, რაც ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეაქვს, ან ერში, ან ბერში შექმნილა და გადანუსხულა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან შუასაუკუნეებში კულტურას მხოლოდ მორწმუნეები, ეკლესიის წევრები ქმნიდნენ. ისინი არა მარტო საეკლესიო-სასულიერო წიგნებს წერდნენ და გადაწერდნენ, არამედ — საეროსაც. მათი ნაშრომ-ნაამაგარი შემდეგ სხვადასხვა წოდების საერო თუ სასულიერო პირთა საკუთრება ხდებოდა. ამის გამო გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ რაც „ისტორიულად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს“, მათ შორის, სალვთისმსახურო კრებულებიც, მუზეუმებში როგორც საეკლესიო და სამონასტრო კოლექციებიდან, ისე კერძო პირთა, სასულიერო თუ საერო მოღვაწეთა ხელითაც შევიდა.

ჩვენს უნიკალურ ხელნაწერებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მიქაელ მოდრეკილის იადგარს, ანუ სადღესასწაულოს, რომელიც შედგენილ-გადაწერილია 978-988 წლებს შორის შატბერდის სავანეში. იგი ლიტურგიკული ძეგლია და, ცხადია, მონასტრის საკუთრება იყო. არავინ იცის, რა გზით მოხვდა იგი სამეგრელოს მთავართა ბიბლიოთეკაში, მაგრამ ცნობილია, რომ ეს ხელნაწერი მისმა უკანასკნელმა კერძო მფლობელმა ნიკო დადიანმა დანარჩენ 169 ძვირფას ხელნაწერთან ერთად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა 1885 წელს ილია ჭავჭავაძისა და სხვა მამულიშვილთა შეგონებით.

ეს არ არის გამონაკლისი. მოგვეპოვება მარგალიტითა და იაგუნდის თვლებით შემკული სახარებანი, რომელთაგან ერთი აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა, მეორე — ალექსანდრე ყაზბეგს, მესამე — გრიგოლ გურიელს და ასე შემდეგ. მათ წინაპართა ეს საუნჯენი საკუთარი ნებით და შეგნებით დაუთმეს საეკლესიო თუ სხვა იმდროინდელ სიძველეთსაცავებს. თუკი ამ დოკუმენტების ადრინდელი მფლობელებისადმი დაბრუნების საკითხი დადგება, მიქაელ მოდრეკილის იადგარის მიმართ სამეგრელოს მთავართა შთამომავლებს პრეტენზიის გამოცხადების ისეთივე (და მეტი) საფუძველი ექნებათ, როგორც ეკლესიის მესვეურებს. წარმოვიდგინოთ, რა გაუგებრობათა წინაშე დაგვაყენებს ამ ერთი პრეცედენტის დაშვებაც კი.

ჩვენს ფონდებში დაცული ხელნაწერებისა და დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა მუზეუმებს რევოლუციამდე, გასაბჭოებამდე, ანტირელიგიური კამპანიის გაჩაღებამდე გადაეცათ და ეს მუზეუმებიც ძირითადად საეკლესიო სიძველეთა დაცვისათვის შეიქმნა, რაც იმ კულტურულ-სამეცნიერო მოძრაობის შედეგი გახლდათ, რომელიც ჩვენში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და რომლის ინიციატორებად, სხვათა შორის, წმინდანები — გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსანდრე ეპისკოპოსი და ილია ჭავჭავაძე მოგვევლინენ. გავითვალისწინოთ, რომ ევროპასა და რუსეთში სიძველეთა მიმართ ინტერესი სწორედ აღნიშნულ პერიოდში გაცხოველდა და არქეოგრაფიული კვლევა-ძიების მასშტაბი გაფართოვდა, რამაც სიძველეთსაცავების გამდიდრება განაპირობა.

საქართველო არ დარჩენილა საერთაშორისო პროცესების მიღმა, რასაც ცხადყოფს საქართველო-იმერეთის უწმიდესი სინოდის 1876 წლის 30 ივნისის №2586 დადგენილება ეკლესიებიდან და მონასტრებიდან წიგნებისა და „ყოველივე ისტორიული სახსოვარის“ გამოტანის შესახებ. წინამძღვრებს მიუთითეს, აღენუსხათ ყველა ხელნაწერი, ძველნაბეჭდი წიგნი და ნივთი, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აღარ ჰქონდა, მაგრამ ისტორიისათვის ფასეულობას წარმოადგენდა, ჩამოეტანათ თბილისში და ჩაებარებინათ სემინარიაში. პროცესი დაიწყო. იგი ნელი ტემპით, ეჭვებით, უნდობლობით, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, რასაც ილია მართლის თანადგომაც განაპირობებდა. მის თანამოსაგრეთაგან წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძეს) და დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძეს დავასახელებ.

ასე ჩაეყარა საფუძველი ხელნაწერთა ფონდების გაერთიანების პროცესს, რაც ჩვენს ქვეყანაში სიძველეთა ნაციონალიზაციის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. მისი აღმავლობა არა მარტო საერო მოღვაწეთა — დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა დამსახურებაა, არამედ (და შეიძლება აღმატებულადაც) ღირსი სასულიერო პირების მოქალაქეობრივი და კულტურული ცნობიერებისა. მათი რიცხვი დიდია. მარტო კათალიკოს-პატრიარქების — კირიონის, ლეონიდეს, წმ. ამბროსისა და კალისტრატეს დასახელებაც იკმარებს.

მკაფიოდ და თამამად უნდა ითქვას, რომ საეკლესიო-არქეოლოგიურ ფასეულობათა, კერძოდ, ხელნაწერთა გასახელმწიფოებრიობის, ანუ ნაციონალიზაციის, საერთო-სახალხო საკუთრებად ქცევის იდეა არც საქართველოში და არც სხვაგან ეკლესიისათვის თავზე არავის მოუხვევია. იგი მის წიაღში აღმოცენდა მეცნიერულ-ეკლესიოლოგიური ინტერესების დახვეწის კვალდაკვალ. ვგულისხმობ ფაქტს, რომლის თანახმადაც საეკლესიო-საკულტო ნაგებობებმა ახალ ეპოქაში კულტურული ღირებულებები შეიძინეს და მეცნიერულ ინტერესთა ობიექტებად იქცნენ. ცივილიზებულ ქვეყნებში სწავლულები და, ცხადია, ეკლესიის განათლებული მსახურები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: 1) წიგნი თუ სხვა ნივთი, რომელიც დაძველდა, საგანგებო პირობებში დაცვას საჭიროებს; 2) მეცნიერული მიმოქცევისათვის სასურველია მათი გაერთიანება გლობალურ ფონდებში და 3) მთავარი და ყველაზე არსებითი, რასაც მეცნიერული, ე. ი. საზოგადო ღირებულება აქვს — არაა მიზანშეწონილი, დარჩეს რომელიმე უწყების, ამ შემთხვევაში, ეკლესიის საკუთრებად.

რაც „ისტორიულად ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს“, ანუ შექმნილია ეკლესიაში, გნებავთ, სინაგოგაში, მეჩეთში, სამეფო კარზე, ფეოდალის ციხე-დარბაზსა თუ გლეხის ქოხში მხოლოდ ეკლესიის, მხოლოდ სამეფო დინასტიის, მხოლოდ საგვარეულოს საკუთრება როდია. თითოეული ისტორიული ძეგლი ეროვნული განძია და ეროვნული განძის განკარგვა ანუ მოვლა-პატრონობა უმაღლესი ეროვნული ინსტანციის — სახელმწიფოს პრეროგატივაა, რადგან სახელმწიფო, თანამედროვე პრინციპით, აღმსარებლობათა მიმართ ნეიტრალურია. კანონის წინაშე იგი ყველას ათანაბრებს, მოქალაქეებს რელიგიური ნიშნით არ ახარისხებს და იგულისხმება, რომ მის ქონებას თითოეული საკუთარ ქონებად [illegible] ძველეთა მფლობელი ყველგან სახელმწიფოა, რაც განსახილველი დოკუმენტიდანაც ჩანს. 32-ე მუხლის თანახმად, საზღვარგარეთ განფენილი ქართული ტაძრების, ხატებისა თუ ხელნაწერების საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებად ცნობისა და დაბრუნების შესახებ მოლაპარაკება საქართველოს მთავრობამ (და არა საპატრიარქომ) უნდა აწარმოოს იმ ქვეყანათა მთავრობებთან (და არა საპატრიარქოებთან), სადაც თითოეული მათგანი მდებარეობს. სხვანაირად შეუძლებელია, ვინაიდან ისტორიული განძის რეალური და იურიდიული მფლობელი, ვთქვათ, ისრაელში, რუსეთში თუ საფრანგეთში არის სახელმწიფო. ნაგებობებსა თუ ნივთებს, რომელთაც საკულტო-სალვთისმსახურო დანიშნულება აქვს და მათი კონსერვაცია აუცილებელი არაა, იგი ეკლესიას უტოვებს მუდმივი სარგებლობისათვის.

ასეთია სახელმწიფოთა მოწყობის თანამედროვე პრინციპი, რომლის თანახმადაც გარდასულ ეპოქებსა და თაობებში შექმნილი ფასეულობანი ჯერ ერის, შემდეგ კი კაცობრიობის საკუთრებაა. შესანახად და საპატრონოდ ისინი სახელმწიფოებს აბარიათ და პასუხისმგებლობაც მათ კისერზეა. ერში აქ სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა იგულისხმება ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიისადმი კუთვნილების განურჩევლად. რაც ჩვენს წინაპრებს, ეთნიკურად ქართველებსა თუ არაქართველებს, შეუქმნიათ — ოდიშის ოთხთავი, ლაილაშის ებრაული ბიბლია თუ კორიდეთის ბერძნული სახარება — საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრებაა — მართლმადიდებლისაც, იუდეველისაც, მუსლიმანისაც და ათეისტისაც.

და თუ მაინც დაისმის კითხვა, ვის ეკუთვნის, მაგალითად, იგივე იადგარი, გელათის ოთხთავი, ქართლის მოქცევის ჭელიშური ხელნაწერი, შატბერდის კრებული თუ სხვანი და სხვანი, ვუპასუხებთ: უწინარეს ყოვლისა, — მართლმადიდებლებს. პავლე მოციქულის სიტყვები რომ გავითვალისწინოთ (რომ. 3,2-3), დიდია მათი უპირატესობა ყველანაირად, რადგან ღვთის სიტყვის ქადაგება ჩვენს ქვეყანაში მათ სულიერ წინაპრებს ჰქონდათ მინდობილი. მათ მიერვეა შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი, მაგრამ დღეს მთელი ეს კულტურული მემკვიდრეობანი, ვიმეორებთ, ეკუთვნის არა მხოლოდ მორწმუნე მართლმადიდებლებს, არამედ ერს განურჩევლად ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილებისა.

**ნუგზარ პაპუაშვილი,**
**კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 28. კვირა. 4 თებერვალი, 2000 წელი

## იუბილე

# გამოჩენილი ქართველი მეცნიერი—აღმოსავლეთმცოდნე

80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთელს.

სემიტოლოგიის ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე წერეთელი 55 წელია თავდადებულად, უანგაროდ ემსახურება მეცნიერებას. მისმა შრომებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი სემიტოლოგიის ქართულ სკოლას, რომელსაც საფუძველი აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ჩაუყარა. სასიქადულო მეცნიერის ღირსეული მოწაფე დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს და მაგალითის მიმცემია მეცნიერთა ახალი თაობისათვის.

კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ცოცხალ არამეულ დიალექტებს. სწორედ არამეული დიალექტოლოგიის საკვანძო პრობლემებს მიეძღვნა მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. კონსტანტინე წერეთლის პირველმა მონოგრაფიამ „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“ (1958 წ.) გამოსვლისთანავე მიიპყრო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნეების იოჰან ფრიდრიხისა და ფრანც ალტჰაიმის ყურადღება. პირველმა გამოაქვეყნა რეცენზია, სადაც იგი ავტორს გულწრფელ მადლობას მოახსენებს ამ შრომისათვის და სინანულს გამოთქვამს, რომ ეს წიგნი არ არის დაწერილი ევროპელთათვის ხელმისაწვდომ ენაზე. აქვე დასძენს, რომ ასეთი თარგმანით ავტორი დიდ სამსახურს გაუწევდა მრავალ მეცნიერს (**OLZ**, 1961 წ., გვ. 64). მეორე მეცნიერმა ფრანც ალტჰაიმმა გერმანულად თარგმნა ვრცელი რეზიუმე შრომისა, რომელსაც მან არამეულ დიალექტოლოგიაში ფუძემდებელი გამოკვლევა უწოდა („ჰუნების ისტორია“, 6. III, ბერლინი 1961 წ.). იუბილარი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტების გამოცემას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „მასალები არამეული დიალექტოლოგიისა“ (თბ. 1965 წ.), სადაც ტექსტებთან მოცემულია მათი თარგმანი და კომენტარები. აღნიშნულ დიალექტებთან ერთად შესწავლილი და გამოქვეყნებულია სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე დაცული არამეული დიალექტები. ამ პუბლიკაციებს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალა. 1968 წელს გამოქვეყნდა კონსტანტინე წერეთლის ფუნდამენტური ნაშრომი „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“, რომელმაც იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. წიგნში ცოცხალი არამეული დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით წარმოდგენილია თანამედროვე ასურული ენის სტრუქტურა. სამეცნიერო წრეებში წიგნისადმი ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ ამ ხასიათის ნაშრომი გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში (თ. ნელდეკეს „ახალსირიულის გრამატიკა“) და მას შემდეგ ამ ტიპის გამოკვლევა არ გამოქვეყნებულა. ჯერ კიდევ 1964 წელს მოსკოვში რუსულად გამოდის კ. წერეთლის „თანამედროვე ასურული ენა“, რომლის ინგლისური, გერმანული და იტალიური თარგმანებიც მომდევნო წლებში ნეაპოლში, ლაიფციგში და მოსკოვში გამოქვეყნდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონსტანტინე წერეთლის შრომებმა არამეულ დიალექტოლოგიაში საფუძველი ჩაუყარა ამ სამეცნიერო დარგის პრობლემათა ფართო კვლევას და ბიძგი მისცა მსოფლიო ორიენტალისტიკაში მის ინტენსიურ განვითარებას. დღეს ცოცხალი არამეული დიალექტების კვლევის თვალსაზრისით საინტერესო მუშაობა მიდის გერმანიასა და იტალიაში, აშშ-სა და ისრაელში, იაპონიასა და ინგლისში. ბატონი კოტე სამართლიანად ითვლება არამეული დიალექტოლოგიის მამათავრად, ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი რეცენზია და გამონათქვამი მის ნაშრომებზე და მათ ავტორზე. ძნელია ნახო რაიმე შრომა ამ დარგში და იქ ჩვენი იუბილარის შრომები არ იყოს მოხსენიებული. ამასთან დაკავშირებით, დაეიდ ლანგი წერდა: „პროფესორმა წერეთელმა თავისი ფუძემდებელი გამოკვლევებით თანამედროვე არამეული დიალექტების შესახებ მსოფლიო რეპუტაცია მოიპოვა“. ცნობილი ჩეხი სემიტოლოგი კარელ პეტრაჩეკი შენიშნავს: „კონსტანტინე წერეთელი მიეკუთვნება უმნიშვნელოვანეს ლინგვისტებს ახალარამეულის დარგში, როგორც ამას მისი მრავალი შრომა ცხადყოფს“. სტანისლავ სეგერტი (აშშ) აღნიშნავს, რომ კონსტანტინე წერეთლის შრომა „თანამედროვე ასურული ენა“ იძლევა საიმედო საფუძველს შემდგომი მუშაობისათვის“. ასეთი შეფასებანი მრავალადაა.

ცოცხალი არამეული დიალექტების შემდეგ იუბილარი ხელს ჰკიდებს კლასიკური სირიული ენის შესწავლას. მისი ნაშრომი „სირიული ენა“, რომელიც 1970 წელს გამოიცა მოსკოვში, კ. წერეთლის მნიშვნელოვან გამოკვლევათა რიცხვს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ მანამდე ამგვარი ნაშრომი არც ქართულ და არც რუსულ ენაზე არ არსებობდა. „სირიული ენა“ სემიტოლოგთა სამაგიდო წიგნად იქცა. 1980 წელს კონსტანტინე წერეთელს ნაშრომისათვის „სირიული ენა“ მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

არამეული ენის ისტორიული გრამატიკისადმი არის მიძღვნილი კ. წერეთლის მონოგრაფია „არამეული ენა“ (თბ. 1982 წ.). მასში, არამეისტიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე, მოცემულია არამეული ენის სტრუქტურის დახასიათება სამი ათასი წლის მანძილზე, უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლებიდან დაწყებული დღეს არსებულ ცოცხალ დიალექტებამდე. ასეთი განზოგადებული აღწერა არამეული ენის გრამატიკული სტრუქტურისა, რომელიც მოიცავდეს ამ ენის მთელ ფიქსირებულ ისტორიას, პირველი ცდაა სემიტოლოგიაში. ნაშრომები დაბეჭდილია ქართულად და რუსულად თბილისში, ხოლო მისი იტალიური თარგმანი გამოვიდა ტურინში (იტალია) სახელწოდებით „არამეული ენის ზოგადი გრამატიკა“. 1989 წელს ამ ნაშრომისათვის მის ავტორს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გიორგი წერეთლის პრემია მიანიჭა. კონსტანტინე წერეთელი გიორგი წერეთლის პრემიის პირველი ლაურეატია.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე კონსტანტინე წერეთლის კვლევის ძირითადი ობიექტი ებრაულ-არამეული ეპიგრაფიკაა. განუზომელია ამ დარგის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. საკმარისია გავიხსენოთ არმაზული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა აღმოჩენა გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გახდა ქართული არქეოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და სათავე დაუდო საქართველოს არამეული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას. კონსტანტინე წერეთელმა არაერთი გამოკვლევა უძღვნა საქართველოში აღმოჩენილ არამეულ წარწერებს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უფლისციხის წარწერა, რამდენადაც ეს არის უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლი, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე – ძვ. წ. აღ. III (თუ II) საუკუნისაა. 1992 წელს გამოქვეყნდა კონსტანტინე წერეთლის უაღრესად საყურადღებო შრომა „შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე“ ქართულად და რუსულად. აკად. გ. წერეთლის მიერ 1941 წელს არმაზის ბილინგვისადმი მიძღვნილი კლასიკური ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ აკად. კონსტანტინე წერეთელი კვლავ დაუბრუნდა საქართველოში წინაქრისტიანული ხანის კულტურულ-ისტორიული ვითარების კვლევისათვის ამ მნიშვნელოვან არამეულ წარწერას. ნაშრომში გათვალისწინებულია განვლილი ხნის განმავლობაში გამოქვეყნებული მოსაზრებანი და შენიშვნები ხსენებული ტექსტის მიმართ; ამასთანავე, ახალი ეპიგრაფიკული მასალაც. 1998 წელს კ. წერეთელს ნაშრომთა ციკლისათვის „საქართველოს არამეული წარწერები“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. არამეული დამწერლობით შესრულებულ არამეულენოვან წარწერებთან ერთად საქართველოში გვხვდება ებრაული გრაფიკით გაკეთებული არამეულენოვანი წარწერებიც. ეს არის ამულეტი და ეპიტაფიები მცხეთიდან. მათი წაკითხვისა და შესწავლის შედეგად მეცნიერმა გაარკვია „ქართველის“ აღმნიშვნელი ტერმინის არსებობა – „გურგ“, რითაც დადასტურდა, რომ ებრაელებს „ქართველის“ აღმნიშვნელი საკუთარი ტერმინი ჰქონდათ (დღემდე ცნობილი იყო თურქული და რუსული ტერმინები). დღეს ეს ტერმინი V საუკუნის ებრაული ეპიტაფიის საფუძველზე აღდგენილია და თანდათან ებრაელთა მეტყველებაშიც მკვიდრდება.

კონსტანტინე წერეთელი წარმატებით მუშაობს ებრაისტიკაშიც. მისი გამოკვლევები ეძღვნება ბიბლიის ებრაული ენის სტრუქტურას და ქართულ-ებრაულ ენობრივ ურთიერთობებს. უნდა აღინიშნოს მისი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ბიბლიის ებრაული ენა“, რომელიც მოიცავს ამ ენის გრამატიკას, ბიბლიურ ტექსტებს და ლექსიკონს ამ ტექსტებისათვის (წიგნი იბეჭდება).

კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქართულ-არამეული და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, რომლებიც სათავეს წინაქრისტიანულ ხანაში იღებენ. ამდენად, მათ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის კვლევაში. აქ შეიძლება დავასახელოთ კონსტანტინე წერეთლის შრომები: „არამეული ენა საქართველოში“, „საქართველოს არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა“, „არმაზული დამწერლობა“, „ასურელები ერეკლე II-ის კორესპონდენციაში“, „ქართულ-ებრაული ენობრივი ურთიერთობა“, „ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის“, „პარანომაზია ქართულ ბიბლიურ ტექსტებში“ და სხვა. აღნიშნული შრომები გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. გასულ წელს მეცნიერმა გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“, რომელშიც მოცემულია აღნიშნული ტერმინების გავრცელების არე და დრო, ქართულში შემოსვლის გზები და, ხშირ შემთხვევაში, ეტიმოლოგიაც. ამ მიზნით ავტორს ქართულ წერილობით წყაროებთან ერთად განხილული აქვს ბიბლიის ებრაული, ბერძნული, სომხური და სირიული ტექსტები. ამასთან დაკავშირებით, გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია და ალექსი ლეკიაშვილი წერდნენ: „სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი მისი (კონსტანტინე წერეთლის) დამსახურება ქართველ და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ენობრივი და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების სფეროში. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ვრცელი გამოკვლევა „პარანომაზია ქართულში“ (1954 წ.). ნაშრომი გვიშლის ახალ ფურცელს ბიბლიის ქართული ტექსტის შესწავლის ისტორიაში. ამასთანავე, იგი საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული ენის ისტორიისათვის“.

კონსტანტინე წერეთლის მეცნიერული მუშაობის დახასიათებისას მისი მასწავლებელი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ასკვნის: „ბრწყინვალე შედეგები, რასაც მკვლევარმა მიაღწია მეცნიერულ მუშაობაში, განაპირობა მისმა იშვიათმა ენათმეცნიერულმა ალღომ და შრომისმოყვარეობამ“.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კონსტანტინე წერეთლის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც 1944 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა კურსებს არაბულში, ებრაულში, არამეულში, სემიტურ ენათა შესწავლის შესავალსა და შედარებით გრამატიკაში. ამჟამად ლექციებს კითხულობს ძველ ებრაულში, არამეულ დიალექტოლოგიასა და სემიტურ ენათა შედარებით გრამატიკაში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი).

ბატონი კონსტანტინე წერეთელი ქართველი ინტელიგენტის და მამულიშვილის ჭეშმარიტი განსახიერებაა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული გულისხმიერებით თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და კოლეგებისადმი, თავდადებული მოღვაწეობით მშობლიური მეცნიერებისა და კულტურის საკეთილდღეოდ.

იუბილარი ქართველ სემიტოლოგთა მთელი თაობების აღმზრდელია. მან მრავალ სემიტოლოგს დაულოცა გზა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მათ შორის უცხოელებსაც, რომლებიც ასპირანტურას მისი ხელმძღვანელობით გადიოდნენ. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწეობენ აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის მიერ მომზადებული სპეციალისტები.

კონსტანტინე წერეთელს ზემოაღნიშნული პრემიების გარდა, ცალკეც სამეცნიერო შრომებში მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო ებრაისტიკაში გაწეული ღვაწლისათვის მას გადაეცა ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო – ალბერტ აინშტაინის მედალი.

აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი არის საზღვარგარეთის არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრი. იგი არჩეულია გერმანიის ორიენტალისტთა საზოგადოების (1971 წ.), გერმანიის აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების (1971 წ.), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციების შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1975 წ.) წევრად და ამერიკის ორიენტალისტური საზოგადოების საპატიო წევრად (1978 წ.). მეცნიერს ხშირად იწვევენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხავად (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ფინეთი, პოლონეთი, რუსეთი, ერაყი), ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად (ინგლისი, ინდოეთი, ავსტრალია, გერმანია, ფინეთი, ისრაელი, იაპონია).

1993 წელს ტურინში გამოვიდა კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი კრებული, რომელსაც ლათინური სახელწოდების ქვემოთ ქართულად აწერია: „სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად“.

კრებულში მონაწილეობენ იუბილარის მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები მრავალი ქვეყნიდან (საქართველო, რუსეთი, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია, აშშ, ფინეთი). კრებულში მოცემულია ვრცელი წერილი კ. წერეთლის მოღვაწეობის შესახებ და მისი შრომების ბიბლიოგრაფია.

აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი დღესაც აქტიურად განაგრძობს მოღვაწეობას სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. მიუხედავად განცდილი დიდი ტრაგედიისა, ერთგულად ემსახურება მეცნიერებას და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ვუსურვებთ ღვაწლმოსილ მეცნიერს, ქართული ორიენტალისტიკის უხუცეს წარმომადგენელს, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთელს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

**თამაზ გამყრელიძე,**
აკადემიკოსი.

**გიორგი ჩიქოვანი,**
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლინტონები საჩუქრების საფასურს გადაიხდიან

**შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი და მისი ცოლი ჰილარი აანაზღაურებენ იმ საჩუქრების ნახევრის ღირებულებას, რომლებიც მიიღეს მათ თეთრ სახლში ცხოვრების ბოლო წელს.**

კლინტონები გადაიხდიან 86 ათას დოლარს, მათ მიერ 2000 წელს მიღებული საჩუქრების ღირებულების ნახევარზე ოდნავ ნაკლებს, რადგან საჩუქრები შეფასებულია 190 ათას დოლარად.

საჩუქრების ასეთმა შთამბეჭდავმა ღირებულებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია რესპუბლიკელებს, და აგრეთვე ზოგიერთ დემოკრატს შორის, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი ყოფილი პრეზიდენტის მიმართ. მაგალითად, კლინტონებმა დენიზა რიჩისაგან მიიღეს ორი ყავის გარნიტური, რომელთა ღირებულებაა 7375 დოლარი.

დენიზა რიჩი ერთ-ერთი წამყვანი დემოკრატი, რომელიც პასუხისმგებელი იყო პარტიის მხარდასაჭერად სახსრების შეგროვებისათვის, მთელი გასული წლის განმავლობაში ცდილობდა მიეღწია თავისი ყოფილი ქმრის შეწყალებისათვის, რომელმაც 1983 წელს დატოვა ქვეყანა, რადგან ბრალად ედებოდა გადასახადების დამალვა და გამომძალველობა.

როდესაც კლინტონი ტოვებდა თეთრ სახლს, მან ხელი მოაწერა თხოვნას მარკ რიჩის შეწყალების შესახებ.

კლინტონებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც იუწყებიან, რომ გადაიხდიან საჩუქრების საფასურს, რათა „გაფანტონ ყველა ეჭვი“.

ბილ კლინტონმა დასძინა: „ისევე, როგორც სხვა პრეზიდენტები და მათი ოჯახები, ჩვენც ვიღებდით საჩუქრებს და ამასთანავე ვიცავდით ყველა საჭირო წესს“.

ყოფილმა პირველმა ლედიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა სიტუაციას: „ვფიქრობ, ნაბიჯი, რომელიც გადავდგით, ადასტურებს ჩემს გადაწყვეტილებას, გავხდე ყველაზე კარგი სენატორი ნიუ-იორკის შტატის ხალხისათვის“. კლინტონები, კერძოდ, გადაიხდიან ავეჯის, ტელევიზორების, ტანსაცმლის, ფაიფურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა საფასურს.

მათ მოუწევთ ფულის დაბრუნება კინომაგნატ სტივენ სტილბერგის, მსახიობების კეიტ კეპშოუს, ტედ დენსონისა და მერი სტინბურგერისათვის.

ფიქრობენ, რომ ჯეკ ნიკოლსონს დაუბრუნებენ 350 დოლარს გოლფის ჯოხისათვის, რომელიც მან აჩუქა შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს.

ბრაიან რედი, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჩაპაკუას მცხოვრები მიიღებს სამას დოლარს მის მიერ დახატული პრეზიდენტის ძაღლის ბადის პორტრეტისათვის.

დიუკ ელინგტონის ფოტოსურათს, რომელიც კლინტონებს მიართვა დოკუმენტალისტმა კენ ბერნსმა, გადასცემენ ვაშინგტონის დიუკ ელინგტონის სახელობის სკოლას.

# შეხვედრა ეროსთან

**პარასკევს ცნობილი გახდა, რომ აშშ აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს ინჟინრები აპირებენ, როგორმე კოსმოსური აპარატი დასვან ასტეროიდ ეროსის ზედაპირზე.**

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, მაშინ 12 თებერვალს ნახევარტონიანი ხომალდი თავისი ახლანდელი ორბიტიდან დაიძვრება, თანდათან დაიწევს ქვევით, ოთხი საათის განმავლობაში მიაღწევს მზის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ასტეროიდს.

პრობლემა ის არის, რომ ამ კოსმოსური აპარატის შემქმნელებს არ გაუთვალისწინებიათ მცირე ზომის კოსმოსურ სხეულებზე მისი დაშვების შესაძლებლობები. უფრო მეტიც, მეცნიერებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რისგან შედგება ან როგორ გამოიყურება ეროსის ზედაპირი.

მაგრამ თუ კოსმოსური აპარატი დაიმსხვრევა კიდეც ასტეროიდის ზედაპირზე, ეროვნული სააგენტოს მეცნიერები კმაყოფილი დარჩებიან ამ აპარატის მუშაობის შედეგებით. „ასტეროიდზე დაშვება ჩვენთვის უკვე ერთგვარი პრიზია. ეს არის პრემია კარგი მუშაობისათვის“, – თქვა კოსმოსური აპარატის მისიის ხელმძღვანელმა რობერტ ფარკუხარმა. მან თქვა, რომ კოსმოსური აპარატი, ალბათ, რამდენიმე მეტრს გაცურდება ასტეროიდის ზედაპირზე, შემდეგ კი გაჩერდება. მისი ანტენები, როგორც მეცნიერები იმედოვნებენ, მიმართული იქნება დედამიწისკენ, მზის ბატარეების ენერგია კი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნულ სააგენტოს გადასცეს რადიოსიგნალი. უარეს შემთხვევაში კი კოსმოსური აპარატი ეროსის ზედაპირს დაასკდება საათში 30 კილომეტრის სიჩქარით და რამდენიმე ნაწილად დაიშლება.



ამ კოსმოსურმა ხომალდმა სტარტი აიღო 1996 წლის 17 თებერვალს. მისი მიზანი იყო შეეგროვებინა მაქსიმალური ინფორმაცია დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი კოსმოსური ობიექტების შესახებ. 1998 წელს მან მიაღწია ასტეროიდ ეროსის ორბიტას. ხომალდმა უკვე გადასცა სააგენტოს ამ ასტეროიდის დაახლოებით 160 ათასი ფოტოსურათი. მათი ანალიზის საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეროსი, შესაძლოა, დედამიწაზე მეტი ხნის არის და უჩვეულოდ შემჭიდროებული გეოლოგიური წარმონაქმნია. დეტალები შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს კოსმოსური აპარატის ასტეროიდზე დაშვების შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება.

# საპროტესტო აქციები ოსლოში

**ხუთშაბათ საღამოს ოსლოს დაახლოებით 30 ათასი მცხოვრები გამოვიდა საპროტესტო მარშით ქალაქის ქუჩებში, რომლის მსგავსი ნორვეგიის დედაქალაქს არ ახსოვს თანამედროვე ისტორიის მანძილზე.**

ქალაქის მცხოვრებლებმა ასე გამოხატეს თაიანთი აღშფოთება, რომელიც გამოიწვია აფრიკული წარმოშობის ახალგაზრდა ნორვეგიელის მკვლელობამ. ეს იყო რასობრივ ნიადაგზე პირველი მკვლელობა სკანდინავიის ამ ქვეყანაში. თხუთმეტი წლის ბენჯამინ ჰერმანსონი გასულ პარასკევს მოკლეს დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში. მკვლელობაში ადანაშაულებენ ნეონაცისტებს.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა იენს სტოლტერბერგმა განაცხადა: „მკვლელის დანამ სიცოცხლე მოუსპო ახალგაზრდას, მაგრამ მან სხვა რამეც გააკეთა: ლახვარი ჩასცა ჩვენს ძირითად ღირებულებებს“.

სამეფო ოჯახის წევრებმა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა თავიანთი ხმა შეუერთეს პროტესტანტთა საყოველთაო აღშფოთებას, რომლის მსგავსი თანამედროვე ნორვეგიას ჯერ არ უნახავს. მეფე ჰარალდმა და მემკვიდრე უფლისწულმა ჰაკონმა განაცხადეს, რომ შეძრწუნებული არიან ამ ინციდენტით და მოუწოდეს თავიანთ თანამემამულეებს, მოაწყონ რასიზმის წინააღმდეგ საზოგადოებრივი პროტესტის კამპანია.

# საინფორმაციო მოზაიკა

## BBC, CNN, საქინფორმი.

### სერბეთის ხელისუფლება ემზადება მილოშევიჩის სასამართლოსათვის გადასაცემად

სერბეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ახორციელებს ღონისძიებებს იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის სასამართლოსათვის გადასაცემად. სერბეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ლორან ჯინჯიჩმა, რომელიც ვიზიტად იმყოფება ვაშინგტონში, ჟურნალისტებს უთხრა, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში შეიქმნება საგამოძიებო ჯგუფი. როგორც ჯინჯიჩმა აღნიშნა, სერბეთის მთავრობას სურს გააფართოოს თანამშრომლობა ჰააგის სამხედრო დანაშაულობათა საერთაშორისო ტრიბუნალთან. ამერიკის კონგრესმა განაცხადა, რომ ბელგრადი ამერიკის დაგეგმილ დახმარებას მიიღებს მხოლოდ მაშინ, თუ სერბეთის მთავრობა რაიმეს იღონებს მილოშევიჩის გადასაცემად. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტმა თქვა, ბელგრადის ხელმძღვანელობაში მკვიდრდება აზრი, რომ საჭიროა მილოშევიჩის გადაცემა.

### შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა დიალოგი

ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი შეხვდა დასავლეთევროპელ კოლეგებს. ეს პირველი ასეთი შეხვედრაა მას შემდეგ, რაც საქმიანობა დაიწყო ბუშის ადმინისტრაციამ. შეხვედრა გაიმართება უშიშროების საკითხისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ კონფერენციაზე მიუნხენში. ფიქრობენ, რომ დღის წესრიგის ცენტრში იქნება პოტენციურად სადავო საკითხები, მათ შორის ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემის შექმნის საკითხი. რუსეთი და ჩინეთი ილაშქრებენ ამ გეგმის წინააღმდეგ და როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იტყობინება, დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებიც არ იწონებენ ამას.

### ბარაკი შარონს ექსტრემიზმში ადანაშაულებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა მომავალ არჩევნებში თავის მეტოქეს, მემარჯვენე ფრთის ლიდერს არიელ შარონს ბრალად დასდო ის, რომ იგი აპირებს ექსტრემისტთა მთავრობის შექმნას. როგორც ბარაკმა თქვა, შარონის გამარჯვებას მოჰყვება საერთაშორისო ასპარეზზე ისრაელის იზოლაცია და ისრაელებსა და პალესტინელებს შორის შემდგომი კონფრონტაცია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ბარაკი ჩამორჩება შარონს. კორესპონდენტები ამას ხსნიან იმით, რომ ისრაელები უკმაყოფილო არიან პალესტინელებთან მშვიდობის მიღწევის წარუმატებელი ცდებით. ბოლო შეტაკებების დროს ისრაელებმა დაჭრეს 10 პალესტინელი მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში. ისრაელმა კვლავ შეზღუდა გადაადგილების თავისუფლება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მას შემდეგ, რაც გასულ ხუთშაბათს მოკლეს ორი ისრაელელი. შეზღუდვა ვრცელდება პალესტინელების კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა ქალაქზე, კალკილიისა და იერიქონის გამოკლებით.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

*ლია გოგიჩაიშვილი, ლევან გოჭორიშვილი.*

აფრა



**კოზმა პრუტკოვი**

ხან, მართლაც, უცნაური რამ ამბები ხდება ლიტერატურაში! შუაგული XIX საუკუნის ერთ მშვენიერ დილას ოთხმა კაცმა — ძმებმა ჟემჩუჟნიკოვებმა თავიანთ ბიძაშვილთან პოეტ ალექსეი კონსტანტინეს ძე ტოლსტოისთან ერთად — კაცი გამოიგონა. „მშობლებმა“ შვილობილს გვარ-სახელად კოზმა პრუტკოვი შეურჩიეს. კოზმა უსაზღვროდ თავდაჯერებული კაცია. ისე, ალა-ალა კი არა, საკაცობრიოდ სჯის. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თუკი ვინმე პოეტი და მოაზროვნე ყოფილა, ერთ-ერთი მეცა ვარო. ტრაბახი იქით იყოს, თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე კოზმამ უამრავი ლექსი, იგავი, კომედია და, ის კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური პროექტიც დაწერა: „რუსეთში თანამოაზრეობის შემოღებისდა თაობაზე“ ბოლოსა და ბოლოს კოზმა პრუტკოვის თხზულებათა მთელი კრებული შედგა. გამოგონილმა „შვილმა“ ხელოვნებაში ბევრად აჯობა თავის „მშობლებს“. კოზმა პირდაპირ შეხანატრად აზროვნებს. ნახეთ, ქებას ნახვა სჯობს.

# ცვილი გამოადნე, მაგრამ თაფლი შეინარჩუნე...

## რჩეული აზრები და აფორიზმები

1.

ვერცვინ შემოსწვდება შემოუწვდენელს.

2.

უკეთუ შადრევანი გაქვს, დაახშე, შადრევანსაც შეუღავათე.

3.

ეგოისტი ჭამი კარგა ხნის ჩამჯდარსა ჰგავს.

4.

ახალფეხადგმული ყრმის პირველი ნაბიჯი სიკვდილისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

5.

სიკვდილი იმიტომ გველოდება სიცოცხლის ბოლოში, რომ უფრო მოხერხებულად მომზადებულნი ჩავბარდეთ.

6.

უკეთუ გკითხონ, რა უფრო სასარგებლოა, მზე თუ მთვარე? – მიუგე: მთვარეო. რამეთუ მზე დღისით ანათებს, როცა უიმისოდაც შუქია; მთვარე კი ღამეს აშუქებს.

7.

ყველაფერს ნუ შეიკვეც, რაც გეზრდება.

8.

ერთხელ თუ იცრუებ, ვინღა გერწმუნება?

9.

სიცილში ჩაბჟირება უფრო ადვილია, ვიდრე გაჩერება.

10.

სად არის დასაბამი იმ დაბოლოებისა, რომლითაც დასაბამი ბოლოვდება?

11.

უკეთუ მორჭმა და ბედნიერად ყოფნა გსურს, იყავი.

12.

რაცა გვაქვს, ვერ ვინახავთ; დამკარგავნი კი ვტირით.

13.

მაგნიტი ჩრდილოეთსაც გვიჩვენებს და სამხრეთსაც; კაცს ისღა დარჩენია, ცხოვრების კარგი ან უხეირო გზა აირჩიოს.

14.

კაცთაგან ბევრნი ძეხვეულსა ჰგვანან: რითაც გამოტენიან თუ გამოჩურთავენ, მთელი ცხოვრება ის დააქვთ.

15.

გულჩვილი, მგრძნობიარე კაცი ლოლუასავით არი: ცოტას გაათბობ თუ არა, დნება.

16.

ბევრი სახელმწიფო მოხელე კაცი ფოლადის ფრთა-კალმის მსგავსია.

17.

კბილის ტკივილი რომ ყბას გაასივებს, ოდენ ერთი საქმის მცოდნე კაციც ისეა: ცალმხრივი სისავსე სჭირს.

18.

ადამიანის ბედნიერების შენობაში მეგობრობას კედლები ამოჰყავს, სიყვარული კი გუმბათსა ქმნის.

19.

თუ მაღალ კაცთ და მაღალ საგანთ უცქერი, წინაფრიანი ქუდი შეიბრუნე.

20.

უკეთუ სპილოს გალიას „კამბეჩი“ აწერია, ნუ დაუჯერებ საკუთარ თვალებს.

21.

დედამიწის ზურგის სუყოველ ნაწილს თავისი, ხან ძალზე თავისებური, სხვა ნაწილი აქვს.

22.

ამ ქვეყანას გაუოცებლად ვერ უმზერ!

23.

დედამიწის ზურგის ყველაზე შორეული ადგილი რაღაცასთან ძალზე ახლოა, ყველაზე ახლო ადგილი კი რაღაცისგან ძალზე შორია.

24.

სათნოება ისევე შეიცავს უკეთურებას, როგორც საკურნებელი წამალი სიმწარეს ბალღამისას.

25.

გასათხოვარნი ქალნი საერთოდ სათამაშო კოჭთ ჰგვანან: სუყველა ვერ ახერხებს, მაგრამ გაღედღოფლება სუყველას სწადს.

26.

სუყოველი ადამიანის თავი კუჭს ჩამოჰგავს: ზოგი თუ რაგინდარა საზრდოს ინელებს, ზოგს იგივ საზრდო სწყენს და შლის.

27.

ესა თუ ის საგანი არა ოდენ ბედისა და მდგომარეობისდა გამოა დიდი ან მცირე, არამედ თითოეული ჩვენგანის გაგებისდა გამო.

28.

წახალისება ისევე აუცილებელია გენიალური მწერლისთვის, როგორც კოლოფონი ვირტუოზის ქამან-ხემისთვის.

29.

მაინცდამაინც კარგად ვერა ვარ ჩახვედრილი: რატომ არის, რომ ზოგნი ბედს ინდაურს ეძახიან, და არა სხვა რომელიმე ფრინველის სახელს, რომელიც უფრო წააგავს ბედსა და იღბალს?

30.

თითოეულ ჩვენგანს ყოვლის უკეთესად ის გვეჩვენება, რის წადილიც გვაქვს, რაც გვენიაზება.

31.

წყალში კენჭებს თუ ისვრი, თან იმ კენჭთაგან გაჩენილ წრეებს უცქირე, თორემ ისე უაზრო გართობა გამოგივა.

32.

კვლავაც ვიტყვი: ვერცვინ შემოსწვდება შემოუწვდენელს!

33.

ფერები რომ არ იყოს, სუყველას ერთი ფერის ტანისამოსი გვეცმეოდა.

34.

ბრიყვი მარჩიელობს, ბრძენი კი, იმისგან განსხვავებით, როგორც ბოსტანს, ისე განვლის ცხოვრებას, თანაც წინასწარ იცის, ადგილ თალგამი ექნება მოსათხრელი, ადგილ კი – ბოლოკი.

35.

ფესვს ჩახედე!

36.

სწავლა სიბერემდეო! და ბოლოსა და ბოლოს, ბრძენი კაცისა არ იყოს, შენც გექნება იმის თქმის უფლება, რომ არაფერი იცი.

37.

ბედისგან გაწბილებული გულს მაინც ნუ გაიტეხ!

38.

შამპანურის საცობმა რომ იცის, ხმაურით ამოვარდება და უმალ ძირს დაეცემა, ზედგამოჭრილი სიყვარულის უტყუარი სურათია.

39.

საასპარეზოდ გამოსულო ჭაბუკო, ნუ დაკარგავ მთავარ დასაკარგავს! ძვირფასად ღირებულ დროს!

40.

სიყვარული თუგინდ კარებიდან გააგდო, ფანჯრიდან შემოფრინდება.

41.

ყველა თერძს ხელოვნების თავისი ხედვა აქვს!

42.

იმრომე ჭიანჭველასავით, უკეთუ გსურს, რომ ფუტკარს დაემგვანო.

43.

სამხედრო კაცნი მამულს იცავენ.

44.

ხალხი მაინც არ დაიშლიდა ერთად ცხოვრებას, სხვადასხვა მხარესაც რომ წასულწამოსულიყო.

45.

მეგობრობა სულს ათბობს, ტანსაცმელი სხეულს, მზე და ღუმელი კი – ჰაერს.

46.

სათნოება თავისთავად საჩუქარია, კაცი მაშინ სჭარბობს სათნოებას, როცა უსაჩუქროდ მსახურებს.

47.

ჯერ სურათი იყიდე, მერმე კი ჩარჩო.

48.

უკეთუ მშვიდად ყოფნა გინდა, არცრა მწუხარება და არცრა უსიამოვნება შენად არ ჩათვალო, სულ სახელმწიფო ხარჯს მიათვალე.

49.

არცთუ იშვიათად სიყვარული ყველაზე ცარიელ თავებშიც აჩენს მწარე-მწარე ჩანაფიქრს.

50.

უპოვე ყველაფერს დასაბამი და ბევრ რამეს მიხვდები.

51.

უკეთუ მთელი სამყარო ერთ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, განა ყველგან ერთნაირი კანონები არ უნდა შემოგვეღო!

52.

უკეთუ დამსახურებულ გულ-მკერდს ერთი ნამდვილი ვარსკვლავი დაეცემოდა, მაშინ აღარც ის კაცი გადარჩებოდა, აღარც ვინმე ყველაზე შორეული იმისი თანამოაზრე!

53.

კაცს თავი ზემოდან იმიტომ აბია, რომ თავდაყირა არ იაროს.

54.

დახუთულ ჰაერში ბევრიც რომ ეცადო, სულს მაინც ვერ მოითქვამ.

55.

მამალი ადრე იღვიძებს, ძვირისმოქმედი უადრე.

56.

უმჯობესია ცოტას თქმა, მაგრამ კარგად.

57.

გიყვარდეს მოყვასი, გარნა თავს ნუ მოატყუებინებ.

58.

სიდარბაისლე ჭაბუკსაც შვენის და მხცოვანსაც.

59.

დიოგენეს ცარიელ კასრსაც თავისი წონა აქვს კაცობრიულ ამბავში.

60.

ერთ კვერცხს ორჯერ ვერ გამოაჩეკინებ!

61.

ბერად ნუ აღიკვეცები, უკეთუ მოვალეობათა შენთა კეთილსინდისიერად შესრულება არ გეიმედება.

62.

სუყველა გენერალი ბუნებით კარგად ჩასხმული როდი იბადება.

63.

ახალი ჩექმები ყოველთვის გვიჭერს.

64.

მუცლისასაკრავი თუ არ გჭირდება და მაინც ატარებ, მავნებელია.

65.

რატომ არის, რომ სისვი ფერის ცხენს, ლურჯას, ყოველთვის შურს ჩალისფერი, ზერდაგი ცხენისა?

66.

იმღვიძარე!

67.

შენს გარდასულ ბედნიერ დღეებს რომ იგონებ, შეადარე ისინი ამჟამინდელთ და შეაჯამე!

68.

გულმოდგინება ყოველივეს ძლევს!



69.

ნიშნობის ბეჭედი პირველი რგოლია ცოლქმრული ცხოვრების ჯაჭვისა.

70.

სოკრატე სამართლიანად უწოდებს ოტებულ მეომარს ლაჩარს.

71.

სხვებმა რა უნდა თქვან შენზე, უკეთუ თავად ვერაფერი გითქვამს საკუთარ თავზე?

72.

ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთის გამოცემა ხელსაყრელია.

73.

ცვილი გამოადნე, მაგრამ თაფლი შეინარჩუნე.

74.

ცოლიანი ქარაფშუტა კაცი ბელურასა ჰგავს.

75.

ქარი ბუნების სუნთქვაა.

76.

უკეთუ ჭეშმარიტებას მეგობრებსაც უმალავ, ვიღას უნდა გაანდო?

77.

თავზე ბუზს ნუ დაისვამ!

თარგმნა და
პუბლიკაცია მოამზადა
გურამ გოგიაშვილმა.

ნახატები ჟურნალ „სატირიკონიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუმრად — უკრაინელი კლასიკოსი

პოეტმა და მთარგმნელმა ამირან ასანიძემ თხუთმეტი წლის თავჩარგული მუშაობის შემდეგ, კარგა ხანია, გაასრულა უკრაინელი კლასიკოსის, ახალი უკრაინული ენის ფუძემდებლის ივან კოტლიარევსკის (1769-1838) ვრცელი პოემის – „ენეადას“ თარგმნა, რომელიც ქველმოქმედს ელის გამოსაცემად.

პოემის ცალკეული თავები დაბეჭდილი იყო ჩვენს პრესაში, ალმანახ „საუნჯეში“, ბატონ მუხრან მაჭავარიანისა და ბატონ შოთა ნიშნიანიძის რედაქტორობით, დროდადრო გადაიცემოდა რადიო-ტელევიზიითაც.

ავტორმა პოემა სახელგანთქმული რომაელი პოეტის ვერგილიუსის ამავე სახელწოდების პოემის ქარგაზე ააგო და დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაწარმოები აალერა თავის თანამემამულეებზე – ზაპოროჟიის სიჩის კაზაკებზე. პოემის გმირები – ოლიმპიელები: ზევსი, ვენერა, იუნონა, ჰებე, ბახუსი სხვა ღმერთები თუ ქალღმერთები, სიჩის კაზაკები და კაზაკი ქალბატონები გახლავან.

ნაწარმოები მარილიანი, ხალხური იუმორითაა გაჟღენთილი, ისეთით, მკითხველი რომ არ მოიწყენს, ხოლო თარგმანის ღირსებას დრო შეაფასებს.

პოეტს დაბადებიდან 230 წელი შეუსრულდა, რაც სათანადოდ აღნიშნეს უკრაინაში, ჩვენ კი ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს პოემის მეექვსე თავიდან.

**ოთარ ბაქანიძე,**
პროფესორი.

### ივან კოტლიარევსკი

# „ენეადა“

## ნაწილი მეექვსე



ი. კოტლიარევსკი – ა. ბაზილევიჩის ნახატი.

ოლიმპოს მთაზე ზევსმა ულვაში,
ვითარცა ფრთები დაიქნია რა –
იელვა ელვამ, გავარდა მეხი,
მთა აძაგძაგდა ძირფესვიანად;
ღმერთი, ქალღმერთი თუ ისე ღმერთი
ოლიმპოს ცნობილ ქარვასლას ელტვის –
თმაგანძარცვული და ფეხშიშველი,
იქით დაძრულა ქალი თუ რძალი,
და პა, თავის მრეელს იუპიტერი
დასჭყივის, როგორც მწევრებს კურძალი:

„ – გველის წიწილნო და გარეწარნო,
სიმწრით როდემდე უნდა ვიცინო? –
ლაფში გსურთ, არა, სვაროთ ოლიმპო? –
მოკვდავს მოკვდავი რომ უსისინოთ!..
როდესაც ვუმზერ მაგ თქვენს ქმედებას,
ოხმე! სირცხვილის ცეცხლი მედება!..
თავადაც უღვთოდ რომ სჭამთ ერთმანეთს?!
რატომ თვალები არ დამევსება!..
ღმერთმანი, ყველას გიფრენთ ზეციდან
და გაგამწესებთ ღორის მწყემსებად!

არ გეყოთ უკანალის თამაში?
ამდენი ცოდო-ბრალის ტარება?..
ცხელ-ცხელ საფენებს გრეკავთ არყისას –
ერთხანს გეყოფათ დასაწყნარებლად!..
მოკვდავთა ჭირი გხოცავთ და გზარავთ? –
ღორმუცელებო! მოკვდავებს, – არა? –
ისე უყურებთ, ვით ძეხვს ბერძენი!..

ჯერ ამდენს ბოზობთ, ახლა სმა-ჭამა?! –
ვინ მაპატიებს მე, მამას, ამას! –
თქვენი ალაგმვა თუ ვერ შევძელი.
მუშებად გაგყრით!.. რომ მოკვდავებზე
კაი ხანს ასე აღარ გაცხარდეთ!
საგიჟეთებში სულ დასტა-დასტად
ჩაგყრით, ჩაგალპობთ შეურაცხადებს!
თუმცა... სასჯელსაც გეტყვით უარესს:
ქალღმერთი ვინმე საქმეს თუ არევს,
ზაპოროჟიის სიჩში მოვიფრენ!..
იქ კაზაკები დაუნანებლივ
დიაცს ერთ ჩიბუხ წეკოზე ცვლიან –
იქ უტირებენ ყოფას მთვრალები!

აქ ჩემი ხალხის შემქმნელი – მე ვარ!
თქვენ რა შექმენით? – ჩემი ფეხები!
რას ამიბუნტეთ ჩემი ნაგრამი,
სხვათა მონაგარს რატომ ეხებით!..
დასტურ ჭაღარა ჩემი თმა-წვერი,
ჰებეს გვირგვინი და ქვედაწელი:
უნდა ვუცადოთ რით დამთავრდება
რუტულ-ტროელთა ეს დაძგერებაც!..
თორემ სუყველას დავაქვევითებ,
იმათ საქმეში ვინც ჩაერევა!“

აფიცრებთან რომ გავას იქნევდა,
ვენერამ ხალხი მით გადარია,
ერთად ყმუყნიდნენ ბიუმტექსს დუქნებში,
მიაყოლებდნენ პუნშსაც, გვარიანს;
თივაზე ნათევს მათი მაზარით
დილით შესტრფოდა მთელი ბაზარი;
იმათ ფორნებზე ნათრევ-ნადაგსაც
ბევრის ურეცხავს მანჟეტ-საყელო,
იყს, წიწაკიანს, ჰყიდდა გზადაგზა,
დღისით ცხელოდა, ღამით გაყინულს.
და ახლა იგი ოფიცერივით
წელგამართული, ჩექმის ბრაგუნით,
მშობელს პირდაპირ რომ მოახსენოს,
ზევსს მიეახლა, როგორც დრაგუნი:
„– მამავ დიადო, მამავ კაცურო,
ვინ მოგატყუოს, ვინ გაგაცუროს!
ცალი თვალით რომ მიწას ხდარაჯობ,
გოლიათი და სხივთა მთოველი,
მეორეს შვილებს აღარ გვაშორებ –
სად, რა და როგორ – უწყი ყოველი!..

გახსოვთ, მამილო, ჩემი ტროელნი
ბერძენთა ხელით რომ დავამცირე?!
მაგრამ თუ ხედებით ზღვაზე ისინი,
რად არ გავწირე და არ დავძირე?
ყველაზე უკეთ თქვენ უწყით, მამი,
მიზეზი ნაღდი რა იყო ამის –
თქვენის ბრძანებით ჩემს ვაჟს, ენეასს,
ტიბროსზე ბჭენი უნდა ეხილა!..
და როს ეახლა მეფე ლათინუსს,
ტურნუსი რაღას გამოეხირა?

რომელი ღმერთის ეგ მყავს ბადალი?
გათავხედებულს ვეღარ ერევით? –
რა დავამავეთ, ეგრე სად არის,
სუყველამ სჯიჯგნოს ფრიგიელები?!
რომ არა თვითონ ოლიმპიელნი,
ის, რაც თქვენ ბრძანეთ მეფურ იერით,
დაუყოვნებლივ გასჭრიდა მაშინ!..
ყველა ტურნუსის მხარეზე დადგა! –
თურმე იმიტომ, იმიტომ რადგან
ტროელი ჩემი რომ გახლავთ ვაჟი.
ჩემი შვილი და მისი მოძმენი? –
არ გაჭრა მათმა ხვეწნა-მუდარამ –
პრომეთეოსზე მაგრა მით ეთქვეს,
მწეველებს ცეცხლი რომ მოუტანა!..
ეოლოსს, ნეპტუნს უნდათ დამხმარე?
მათ ბუთქეს ის, რაც სხვებმა აკმარეს –
ეგრე დაბეგვეს, სათქმელად მიჭირს,
სხვა ღმერთებზედაც რა გითხრათ, აბა? –
განა თქვენ უკეთ არ იცით, პაპამ? –
ლამის რომ ცოცხლად შესანსლეს ბიჭი.

მამი, მშობელო, შემოგევლები,
ზარი და გლოვა ჩვენი დიდია,
იხსენით თქვენი ფრიგიელები,
იმათი ბედი ბეწვზე ჰკიდია;
ხოლო თუ ვინმე მოელის სასჯელს,
ერთხელ კი არა – დამსაჯეთ ასჯერ!..
შვილებისათვის გავუძლებ იმას,
ბევრგზის ცოლვილმა რაც ვერ შევძელი;
ჰქმენ ყოველივე, რომ იულუსი
და ენეასი იყოს დღეგრძელი!“

„ – აქ იუნონამ წაისისინა –
ხმა გაიკმინდე, შე ვირიშვილო!
ისეთი მოგდო, ვერვინ გიშველოს,
ჩათლახო, ბოზო, გველის წიწილო!
გინდა დათესო ჩვენს შორის შუღლი? –
გესლს და სამსალას ამაოდ ნუ ღვრი!..
ვინა გგონივარ, შე ძუკნა, შენა!..
თუ შენნაირი – ცდები ძალიან!..
რად გავიწყდება, შე შობელძაღლო,
რომ ზევსი ჩემი ძმა და ქმარია!..
შენც, ზევსო, რატომ არა გრცხვენიან? –
მატრაბაზის სისხლს რატომ არ ღალევ! –
ასე სახალხოდ შენს მრეელზე ენას,
ეს ტარტაროზი რომ ატარტარებს!..
რა მეუღე ხარ, რა მბრძანებელი,
ა, ეს თახსირი, კახპა, რეგვენი,

ოლიმპიელთა ნათელ იურით
ჯერ კიდევ ღმერთებს შორის ბოგინობს?!
ერთი ოღრაში ციტერიელი
ნუთუ ჩვენ უნდა დაგვემჯობინო?

ვულკანმა მარსთან რო არ მიუსწრო? –
შემოაღღლიზა კალთა სამოსის,
კარგა გატყიპა და ძუკნასავით
ჯაჭვით დააბა კარ-მიდამოში!
ეს ყველაფერი არ იცით, არა?
კი იცით, მარა წმინდანის დარად
ამას ალმერთებთ მაინც უგონოდ...
მტრისას, ტროეს და დიდონას რო ჭირს!..
ვისგან? – ამისგან!.. წითელი კოჭი
ასეთებს სანამ უნდა უგორო?!

სადაც კი მიდგა ეს მაწანწალა,
გადაიფოფრა მხამის ხეიარა,
ასეთი უნდა ამოიძირკვოს,
ამოიშანთოს ძირფესვიანად,
როგორ ქიჩმაჩობს, რა გაგიჟებით!..

ამის ბარობით საძმო ბიჭები –
ტურნუსს, ენეას – მტრებად იზარდნენ!..

როგორა მუსრავს, ვერ ხედავთ, ნუთუ?!
რუტული ტროელს, ტროელი – რუტულს!..
რას სჩადის ცაში, წყალზე, მიწაზე!..

თავის ცოდვებით დამძიმებული
უყურებთ? – ახლა მე დამაფრინდა,
თან მიამიტად შენა გთხოვს შველას,
თითქოს ესაა იშვა ქაფიდან!..
ესეც ახლა და უკაც-უბიჭოდ,
ერთ ყრუ ხუტორში ქორფა, უბიწო
დაინაზება როგორც სუსანა;
ამის ვირგლამაც უნდა შეიგნოს,
ღმერთი ვარ, ის კი კაცად შეიქმნა,
შობელძაღლს ტვინი რამ შეუქანა!“

ახლა ვენერამ მიუშვა ალვირს
ვეღარ გაუძლო ამ შემოტევას,
შეიქმნა ერთი ალიაქოთი
და ერთმანეთზე მიწევ-მოწევა.
ქალღმერთი ჩხუბში მაინც ქალია –
დამუხრუჭება უჭირს ძალიან,
თუკი ერთურთი ამოიჩემეს,
ბოლო არ უჩანს ლანძღვა-გინებას,
მისხით-მისხამდე თხრიან ერთმანეთს,
მერე რა, მწარედ! – გეცოდინებათ.

„ – მოკეტეთ, თქვენი დედაც ვატირე!
– იუპიტერმა დაიღრიალა, –
ისე მოგიქცევთ ნაფუარ ლოყებს,
ჩარჩებო, ეშმას ჩარჩეთ მთლიანად!
რად მინდა მეხი, ამდენს რომ ღნავით,
ქუსლებს აგიწვავთ ჩიბუხის თავით,
ოლიმპოს ისე დაგახვეტინებთ;
მე თქვენ გაჩვენებთ, ვინ ვარ და რაც ვარ,
გაჩვენებთ, როგორ იცხოვროს კაცმა,
როგორ მისდიოს ჩემს გაკვეთილებს.

ახლა კი სმენა და გაგონება! –
აქეთ მომხედეთ, სად იყურებით!
კრინტს დაძრავთ? მყისვე მოვა ქოთები
და ზედაც კაი ალიყურები!
სუ-მეთქი! – ნაღდად ვანანებ მწარედ
ერთი თქვენგანიც ვისიმე მხარეს
ამ დამპალ ომში თუ ჩაერია!
მორჩით ოინებს! – ასე აჯობებს,
ვუყუროთ, ვინ ვის წამოაჩოქებს,
ომებს დიდი დღე არ უწერია!“

დადუმდა ზევსი, შეიკრა წარბი,
მყის გაიკრიფნენ ციდან ღმერთებიც,
აჰა, მეც ვტოვებ ციურ სარბიელს,
ისევ მიწას და ხალხს ვუერთდები.
უნდა ვეწვიო – უთუოდ! – შველურ
სამარხს, რადგანაც ისე უბედურს
წერა არ ძალმიძს ომზე – ძნელია!..
მუზავ, ჩემს კალამს კვლავ თუ მოხედე,
ვფიცავ, მოგართმევ, ფეშქაშს მოკეთეს,
რადგან, რითმებიც შემომელია.

ტურნუსმა ეშხით რომ იბანავა,
კვლავ სამნახადით შეხვდა დაფიონს,
სივრცეს გახედა, ციხე-გოდოლი
სექტემბრის ბინდში ჩანდა მკაფიოდ.
და აჰა, განგაშიც: რბიან, ყვირიან,
დიდი, პატარა გადაირია,
სიჩელთ ბრძოლისთვის უხმობს ნაღარა;
ტროელმა რუტულს მოსდო ჭახრაკი,
რუტულიც როდი გახლავთ ვაგლახი,
სისხლით დამძღარნი ღამემ გაყარა.

ენეასი კი ამ დროს ნავებით
უახლოვდება დარბეულ ქალაქს,
ჰურობს პალანტთან და სტარშინებთან,
მატებთ არაყი ხალისს და ძალას;
აბუქებს გმირი, სად რა გადახდა,
რომლის კარზე თუ რომლის ჩარდახთან,
ვით ღლიტა ღმერთი, კაცი თუ ქალი,
სად ვის აღინა ზურგიდან ბოლი...
არც პალანტს ჰქონდა ენაზე ძვალი –
ენეასს როდი დაუდო გოლი.

– ჰე მუზავ! ამდენს რო თელემ, რა იყო,
გამოილევიძო უნდა, ხო იცი...
ჩააქუშუნე, ჩემო დაიკო
და შენს მგოსანთან ახლოს მოიწი.
მარქვი: ტროელმა რა ვაჟკაცები
შეჰყარა, რათა ცქაფი დაცემით
აძგერონ ტურნუსს ბასრი მახვილი!
წარჩინებით გაქვს დამთავრებული
პოლტავის სკოლა, ჩვენი, ქებული,
და ალბათ, იცი ყველას სახელი.

„ – უპირველესად, – ბუტბუტებს მუზა, –
მას მასაკისმა აუბა მხარი.
ასეთი იყო – ლონდრე, მცონარა,
როგორც ტრამალზე ნასუქი ხარი;
მთებსაც კი შესძრავ ასეთ ბიჭებთან:
აგე, ტიგრენკოც, ყოჩი სიჩელთა –
მიკიტნის ძეა ის სტეხივკელის,
იქეთ ავნუსი მიუძლვის მხეცებს,
სერჟანტივით რომ სულ საბაბს ეძებს,
როგორმე სალდათს წაარტყას ხელი.

ტალღებზე მოჩანს ფრთაგამოსხმული
კანჯო სირაჯის – ჩვენი ასტურის;
ღორის ტყავი რომ მოუსხამს ტანზე –
მანტიაღ! – რაღად უნდა დასტური.
მის უკან აზილასის ნავია,
ის მნათეს ცოლის ნათესავია;
დახეთ ფორტუნას! – მძლეთამძლე ნებით
გადააქცია ჩურბინი პანად...
რო აღარ ხდება ამ ქვეყანაზე...
ამდაგვარს ცოტას იხილავ განა?

ა, ეს ვინაა, იმის ორჩხომელს ოქროს
თევზები რომ ალამაზებს?
გაღუღელია მკერდი კიჩოსთან,
თურქულ ჩიბუხით ურტყამს ნაფაზებს? –
კარტში გაქნილი ცინარისია!...
ახლა, არ იტყვით რა აქვს მისიად?
– თურმე ისა და მისი კვაჭები
საბრძოლოს კი არ ჰკრავენ კამარას: –
რატომ მოვკლათო? – ტურნუსს ბანქოთი
დავტოვებთ, ძმებო, ნიფხვის ამარა!..
დახეთ მაუდის ლაბად-ქუდიანს,
თავის სქელ-სქელი ფოლიანტებით,
ახლაც ლებულობს თურმე ხუთიანს
ბრანგვი აზრების კორიანტელით.
პა, იურისტი, ეს გლუხოველი,
სათნოების რომ გახლავთ მთოველი,
კანცელარისტი კუპავონია;
ერთ ხანს წიგნს ღრღნიდა და ისიც მერე
აჰყვა ტროელის ლეგიონერებს –
ზნაჩკოეობა სურს, ასე მგონია.

ეს ვიღა არის, კბილებდამღრძვალი,
ძვალი და ტყავი, სულ მთლად სნეული?
ჩია და ქოსა, როგორც მარცვალი...
ავენტუსს! – რჯულზე კვლავ მოქცეული!
ცოლი შეირთო, – ერთიც! – ახლახან!
მაგრამ ორივემ დაურახრახა;
რომ გაქცეოდა იმათ განაჩენს,
რომ გახლდათ მართლაც შეუპოვარი,
ისიც ტროელის ჯარში ალაჯებს,
ისე კი არა, – როგორ მსტოვარი!

კიდევ ვინ მოთვლის ენეასის ხალხს,
მდაბიოებს თუ სხვა წვრილფეხობას,
რომ დაწყდნენ, ძმაო, ისეც და ასეც,
თავზესაყრელად ყველას ეყოფა.
ფულა რომ არ ძალმიძს, მე ის მაწვალებს,
ვთვალე, ვთვალე და ვეღარ დავთვალე:
საანგარიშოც ტყვილა დავღალე
მოვიშველიე, საყეც, თითებიც –
ბლომად არიან, შენ გენაცვალე!
ვერ გადავთვალე ვერას-დიდებით!..“
ჰა, დილმა დათვმა ღამეულ ზეცას
ღრუნჩი ამოსდო, ხომლით დაბარღნილს,
ვინ ნავში ისე გაიშოტა და
ამოიხვია ვინ სხვამ ნაბადი,
ერთნი ფეხსახვევს რეცხენ, წვირიანს,
სხვა მასლაათით გადაილია,
ბეჯითნი კბენარს მიჰყვნენ ძირამდე...
უფროსებმა რომ კარგად დალიეს,
სიქა გააძვრეს მერმე ყალიონს
და სახვრინავად ამოყირაღნენ.

უკრაინულიდან თარგმნა
**ამირან ასანიძემ.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 28. კვირა. 4 თებერვალი. 2001 წელი.

ფიქრი და განსჯა

# „...უმალ მასვე დაამიწებს!“

(პირველი გვერდიდან)

ახლავე მოგახსენებთ, ვის როგორ გაჰყავს დრო და ვინ როგორ ექცევა დროს. ბატონი აკაკი ასათიანი ბრძანებს, ედუარდ შევარდნაძემ 1995 წელს ასე და ასე განაცხადაო... ბატონმა აკაკი ასათიანმა, უბრალოდ, ორწლიანი სეკვესტრი განახორციელა – სინამდვილეში ის, რაც განაცხადა, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა არა 1995 წელს, არამედ 1997 წელს. ბატონ აკაკის არ აინტერესებს ჩემი, როგორც პოლიტიკოსის აზრი. სამაგიეროდ, მე მაინტერესებს მისი, როგორც პოლიტიკოსის, აზრი ტყუილზე – მაინც, რა მოსაზრებით იცრუა მან, თითქოს ეს ამბავი მომხდარიყოს არა 1997 წელს, არამედ ორი წლით ადრე – 1995 წელს?

დავარქვათ ამ ტყუილს პირველი ტყუილი და მივხედოთ მეორე ტყუილს. მეორე ტყუილი ისაა, თითქოს მე მეთქვას ბატონ ედუარდ შევარდნაძისთვის, სამ წელიწადში კრიზისს დავძლევთ-მეთქი! რომელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მე ვიყავი, რატომ ვეტყოდი პრეზიდენტს ამ სისულელეს! ანდა სად, რა სიტუაციაში ვეტყოდი! – არასოდეს საქართველოს პრეზიდენტს არ შევხვედრივარ მარტო, და არასოდეს მისაუბრია მასთან, ასე ვთქვათ, „დახურულ კარს იქით“ (ზოგიერთი გამოცდილი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, ამის ტყუილს ასე საჯაროდ ნამდვილად ვერ ვიტყვი). სინამდვილეში საქმე ასე გახლდათ.

1997 წლის აგვისტოში გაზეთ „კვირის ფოსტაში“ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ სათაურით: „საზოგადოებაც შეიცვალა და მწერალიც“, რომელიც ბატონ ედუარდ შევარდნაძის რჩევით გადაბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკამ“. მე გამოვტოვებ რამდენიმე კეთილ სიტყვას, რომელიც ბატონმა პრეზიდენტმა ჩემი მისამართით ბრძანა და რასაც, ეტყობა, გაუღიზიანებია ბატონი აკაკი. მეტი სინათლისათვის მოვიტან პრეზიდენტის ერთ ფრაზას: „ესე იგი, – 2002 წელი მართლაც აღორძინების ნიშანი იქნება“. აი, სულ ესაა ჩემი დანაშაული, – სწორედ ეს ოპტიმისტური აზრი, ეს რწმენა ქართველი პოეტისა მოსწონებია ბატონ პრეზიდენტს ჩემს ნაუბარში, როგორც ჩანს. სხვათა შორის, ეს აზრი მე სხვაგანაც მაქვს გამოთქმული, კერძოდ, ჩემს ერთ ერთიბეწო ესეიში („პალინდრამიდან პალინდრომამდე – 1991 წლიდან 2002 წლამდე“). ჩემთვის ამ რიცხვებში – პალინდრომებში მართლაც არის რაღაც საკრალური, და მე მართლა მჯერა, რომ 2002 წელს საქართველო იქნება კარგად! ჩემთვის გაუგებარია, რატომ აალელვა ამ ამბავმა ბატონი აკაკი ასათიანი, იგი უკვე მეორედ მამუნათებს ამ „მკრეხელური“ აზრის გამო! – ცნობილი ანეკდოტის პერსონაჟისა არ იყოს, ჩემი ბიძაშვილი ბრძანდება თუ დათვის? რა, უკვე დადგა 2002 წელი და პრეზიდენტი და მისი ერთი ამომრჩეველი გამტყუნდნენ? ნუ გეშინიათ, ბატონო აკაკი! ალბათ თქვენ იქნებით მართალი და 2002 წლისათვის საქართველო ვერ იქნება კარგად! ალბათ, დაიქცევა ეს ქვეყანა! კიდევ უფრო გაპარტახდება! რას მოითხოვთ ქართველი პოეტისაგან – თავზე უნდა დასჩხაოდეს თავის ხალხს, არაფერი გამოვა, უსათუოდ დავიქცევითო?

ვერ გეტყვით, რა აზრისა ბრძანდება ბატონი ა. ასათიანი დასალუპავად გამეტებული საქართველოს აკაკისეულ მეტაფორაზე: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს! ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!“

მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დაამიწებს! და ეს მოხდება ჩემი და ბატონი აკაკის ჩაურევლად და დაუხმარებლად, ასე ვთქვათ, ჩვენი სურვილის გარეშეც!

**P. S. სხვათა შორის, სულ ტყუილად ჰგონია ბატონ აკაკის თავი ჩემზე კარგი პოლიტიკოსი. დარწმუნებული ვარ, მალე მას ბოდიში ექნება მოსახდელი ჩემს ოპტიმიზმთან. კიდევ ერთი რამ: ბატონ აკაკის არ უნდა ეგონოს, რომ საქართველოს ამჟამინდელ უკიდურეს სიდუხჭირეს ვერ ვხედავ მე – ღარიბი პოეტი და ხედავს ის – მდიდარი პოლიტიკოსი!**

**ტარიელ ჭანტურია**

# დინოზავრიდან დიზაინამდე

## სისონა დარჩია, ჯულიანო და მამაპაპათა ტრადიციები

5 აპრილს ტერორისტ გოჩა ესებუას გასვენებაში ტერორისტის „მეგობრებმა“ ჩახოცეს თავიანთი გუშინდელი „მეგობრები“ – ყოფილი ტერორისტები, რომელთაც თავი დაანებეს უაზრო სისხლისღვრას და სცადეს პატიოსანი ცხოვრებისკენ შემობრუნება.

ეს ფრაზები თითქო ჩვენს პრესაში ამ თემაზე დაბეჭდილი ინფორმაციების რეზიუმეა, ჩემი სათქმელი სხვაა...

სისონა დარჩია, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, – ქებნილი ფირალი, არ შეშინდა იმდონ ჯარში – შევიდა და ძმა დაიტირა:

სისონაი დარჩიაი
განთქმულია
ბიჭობაში,
შევიდა და ძმა
იტირა,
არ შეშინდა იმდონ
ჯარში...

ჩვენ ვიცით, რატომაც არ შეშინდა ფირალი: ვინ, რომელი პოლიციელი, რომელი სტრაჟნიკი გაბედავდა, წასულიყო ხალხის ნების წინააღმდეგ ასე აშკარად. წასულიყო ტრადიციების, ადათწესების, ჩვეულებების წინააღმდეგ! ამით ხომ ყოველგვარ დასაყრდენს თვითონ გამოიცლიდა ხალხში, ამის მერე ხომ მას იმქვეყნად აღარ ედგომებოდა!

სხვათა შორის, არც იტალიელ კარაბინერებს გაუჭირდებოდათ დის ქორწილში მისული განთქმული ყაჩაღის – ჯულიანოს – მოკვლა, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს! – კარაბინერებმა პატივი სცეს იტალიელთა ტრადიციებს...

ახლა რა მოხდა, რომ ქართველმა კაცმა ხელი აღმართა წმიდათა წმიდაზე – საკუთარი ხალხის ტრადიციებზე, წესზე, ჩვეულებაზე, ძმაკაცის საფლავზე! აქ საუბარი იმაზე არაა, კაცმა კაცი რომ მოკლა! – მკვლელობა დღეს აღარავის უკვირს, ყოველ მკვლელობას რაღაცით ამართლებენ! – ვინ პოლიტიკური მოტივით, ვინ – ვენდეტას კანონით, ვინ რით და ვინ რით...

5 აპრილს ტერორისტების მიერ ჩადენილი აქტი თვითმკვლელობის ყველაზე საზიზღარი და სამარცხვინო სახეა, ხარაკირია, რომელიც თანალმობის ნაცვლად იწვევს ზიზღს, ამორალური ქმედებაა, რაღაცით კანიბალიზმზეც მეტი! მისი შედეგი იმის საპირისპიროა, რაც, ერთი მხრივ, ამ ბარბაროსული აქტის ინსპირატორებს და, მეორე მხრივ, მის ველურ შემსრულებლებს სურდათ! – ეს არის მძაფრი ფსიქოლოგიური იმპულსი, რომელიც ძირძველი ტრადიციების ერთგულ კოლხეთში ფორსირებული ტემპებით დააჩქარებს შერიგების პროცესს...

## თბილისობა

გული მეუბნება: როგორც ოდესღაც ხდებოდა ეს ჩვენს დედაქალაქში, გაისადაც, თბილისობის დღეს, ჯერ ვირზე უკუღმა შესვამენ და ისე ჩამოატარებენ ქუჩა-ქუჩა თბილისის საპატიო მოქალაქესა და აწ თბილისის საპატიო მოღალატეს ბატონ ევგენი პრიმაკოვს, მერე კი საჯაროდ დაწვავენ მის ლაბაბიან ფიტულს და მტკვარს გაატანენ მის ფერფლს.

ეტყობა, ასაკი თავისას შვრება: ბატონ პრიმაკოვს, რაკი მსოფლიოს მრავალი ქალაქი მოიარა, თბილისი ალბათ რომელიღაც ქალაქში აერია!

მოკლედ, ცხოვრებაში პირველად, მოუთმენლად მოველი თბილისობას. რიტუალში მონაწილეობას უსათუოდ მივიღებ!

(„სად არიიის სხვაგან ასეთი ევგენიიიი“ და სხვ.)...

**ჟურნალი „ომეგა“, 2001 წლის №2.**

იბეჭდება ჟურნალის რედაქციის თავაზიანი ნებართვით.

პალიტრა



კოტე ამირეჯიბი. „ნაკადული“.

ნატურიდან

# დედა გზის პირას

დედა კვლავ ფეხით გაჰყოლოდა გზას. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მანგლისის მიმართულებით მიმავალი ავტობუსები თბილისიდან განრიგის მიხედვით ზუსტად დანიშნულ დროს გადიოდა. მაშინ ხალხი სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობდა. ახლა შპს „ავტოსადგური-91“ გაერთიანების მესაკუთრე თავად წყვეტს რეისში წასვლა-არწასვლის საკითხს: თუ რეისი მოგებას არ მისცემს – არ წავა და ვერავინ მოსთხოვს პასუხს... არადა, დღეში ერთხელ მაინც ხომ უნდა ემსახურებოდეს საწყალ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) მგზავრს ავტობუსი შედარებით ხელმისაწვდომ ფასად?

– ასეთია საბაზრო ეკონომიკა, – იტყვის მავანი.

– არა! – ასეთია მაძღართა განუკითხაობა.

ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა მგზავრობა ამ მიმართულებით – ჩაცხრა ზაფხულის ცხელი დღეები, დაცარიელდა აგარაკები და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკები – ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა. დღენიადაგ მხოლოდ წყნეთში დადის ავტობუსი. ზუსტად ერთ მათგანს გაჰყვა დედა და შემდეგ, ზემო წყნეთიდან ფეხით გაუდგა გზას – შარა გზით პანტიანამდე თითქმის რვა კილომეტრი ჰქონდა გასავლელი, მაგრამ დედამ ბილიკზე გადაუხვია და მოკლეზე ოთხი ან... ხუთი კილომეტრით შეამცირა მანძილი.

ტყეში საკმაოდ გრილოდა. სიჩუმე იდგა, ბუნება დუმდა, თითქოს თვლემდა ზამთრის ძილის წინ. დროდადრო ქარი აამრიალებდა ხეებზე შემორჩენილ გაყვითლებულ ფოთლებს და ძირს ჩამოყრიდა. ხანდახან სადღაც ჩიტიც აჭიკჭიკდებოდა.

მძიმე ფიქრებით დატვირთული დედა დინჯად მიაბიჯებდა. ვერა და ვერ დაითანხმა რძალი, რომ შვილიშვილი მასთან, საქართველოში დაეტოვებინა. ბიჭს აქ ქართულ სკოლაში მიაბარებდა. უყიდა კიდეც ზურგჩანთა, ფერადი ფანქრები და დედაენა. რძალი ვერ შეელია შვილს, ზურგჩანთა თბილისში დატოვა (უკეთეს დროს დაველოდოთო) და უკრაინაში, მინისკენ გასწია. „მითომ თავისით მოვა ეს უკეთესი დრო?“... დაღლილი დედა კუნძზე ჩამოჯდა.

შუა ტყეში მწვანე მდელოზე მწყემსმა ნახირი შემორეკა. მოწყურებული ნახირი ნაკადულს დაეწაფა. მენახირე მიესალმა დედას, ძროხებს თვალი შეავლო და... შეწუხდა. ერთი ძროხა (მელიქიშვილიანთ კოხტა) მაკლიაო. მწყემსმა უბიდან სალამური ამოიღო, დაუსტვინა და უმალვე ძროხის გამოძახილი მოესმა.

– მუუუუ!

ცოტა ხანში გამოჩნდა კიდეც, კოჭლობდა. მენახირემ შუბლზე ხელი გადაუსვა, დაზიანებული ფეხის კოჭს რაღაც ბალახი შემოახვია. მენახირემ გარეკა დარწყულებული საქონელი. დედა კი გააფრთხილა, შინ წასვლა ეჩქარა, წვიმამ არ მოგისწროსო.

ჩრდილოეთიდან ცის კამარას შავი ღრუბელი ეფინებოდა.

... მწემსის შეძახილი ესმის ლაბას. მას ზარი ჰკიდია კისერზე, ღირსებით სავსე ხარი მიუძღვის ნახირს. წკრიალა ზარის ხმას მიჰყვებიან ჯიქანსავსე ძროხები (სწორედ ამათ უნდა გადაწყვიტონ, – და წყვეტენ კიდეც, – ჩვენი სასურსათო პრობლემა). დინჯად, საქმიანად, უხმოდ მიაბიჯებს ლაბა. მწყემსი კი მისდევს ნახირს და ყველაზე სუსტს უსწორებს ნაბიჯს. ჭეშმარიტი ლიდერი უკან უნდა მისდევდეს თავის ჯოგს, ფარას, ნახირს, რათა სათითაოდ ხედავდეს ყველას გასაჭირს და შველოდეს მათ ვითარცა მწყემსი კეთილი.

„მწყემსმან, კეთილმან სული თვისი დალევის ცხოვართათვის“, – დედამ პირჯვარი გადაიწერა და ტყიდან შარაზე გავიდა. უცებ მანქანის ძრავის ხმა მოესმა. ვერც კი მოასწრო ხელის აწევა, რომ დამგზავრებოდა, შავმა „ვოლგამ“ დიდი სიჩქარით ჩაუქროლა... დედამ ფეხს აუჩქარა – ცოტაღა დარჩა გასავლელი, ალბათ, ორიოდე კილომეტრი... ისევ მანქანის ხმა მოესმა. ამჯერად „ნივა“ მორიხრიხებდა მოხრეშილ გზატკეცილზე (აქ ხომ თბილისში ჩამავალი „აბრეშუმის გზის“ შეკეთება მიმდინარეობს).

დედამ ცას ახედა – წვიმის მოახლოება იგრძნობოდა ჰაერში და ხელი დაუქნია მანქანაში მჯდომ მძღოლს. მანქანამ ნახევარწრე შემოხაზა დედის ირგვლივ და განაგრძო გზა. მტვერში გახვეული იდგა დედა ღვთის ანაბარა. არა, იგი არ ტიროდა. არანაირი სიდუხჭირის გამო ცრემლი არ დასცდენია. მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, როცა მეუღლე მიწას მიაბარა...

ისევ მანქანის ხმა გაიგონა: უკანსვლით მიუახლოვდა დედას „ნივა“. მძღოლმა კარები გაუღო და სალონში მიიპატიჟა. ეს ის „ნივა“ იყო, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ ჩაუქროლა. დედამ მძღოლს აუწყა, რომ პანტიანში მიდიოდა. გაირკვა, რომ ახალგაზრდა შავგვრემანი მამაკაცი წალკაში მიისწრაფოდა დედის წლისთავზე.

– მე ბერძენი ვარ. აქ დავიბადე – საქართველოში, აქ დავქორწინდი, შვილებიც მყავანან. ამჯერად საბერძნეთში ვცხოვრობ. გადავბარგდით. დედა არ წამოვიდა, არ დატოვა თავისი კარ-მიდამო, და, რაც მთავარია, მამის საფლავი.

– საბერძნეთში როგორ მოეწყვეთ, რას საქმიანობთ, რა პროფესიის ხართ? – ჰკითხა დედამ.

– თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე. ინჟინერი ვარ. საბერძნეთის მთავრობა ზრუნავს თავის რეპატრიანტების ყოფაზე და კეთილმოწყობაზე. აბა როგორ? საკუთარი შვილები დაიბრუნა ქვეყანამ...

აი პანტიანიც, დროზე მოვასწარით, საცაა იწვიმებს, – თქვა ქართულად ბერძენმა.

დედა არ ჩქარობდა მანქანიდან გადმოსვლას.

– გეთაყვა, ძალიან გთხოვთ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: ამ ათიოდე წუთის წინ თქვენ გვერდი ამიარეთ, – ეტყობა გეჩქარებოდათ, მაგრამ მერე დაბრუნდით, რატომ?

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ვაჟი თვალებს ვერ უსწორებდა დედას, თავდახრილი იჯდა. მერე კი მოკლედ ჩაილაპარაკა:

– რა თქმა უნდა, დაგინახეთ და... არ გაგიჩერეთ მანქანა. მერე კი თითქოს ვიღაცამ ჩამჩურჩულა: „გერა (მე გერასიმე მქვია), ეგებ გზის პირას მდგარი მოხუცი ქალი დედა იყო შენი?“

**ვერა გიუნაშვილი.**

## წიგნი

**ჩინგიზ აბდულაევი**

# „გუშინდელი დღე მოდის ხვალეს“

— ჩვენ მოსკოვში არ დავბრუნდებით, — გამოწვევით თქვა საველიევმა, სემიონოვი ოდნავ შეირხა, პოტაპჩუკმა კი პისტოლეტი იძრო.

— წყნარად, — დაიყვირა საველიევმა, — თორემ ერთმანეთს დავხოცავთ. მე არ ვაპირებდი ასეთი კარდინალური გადაწყვეტილების მიღებას. — ავად შენიშნა პოლკოვნიკმა, — პირიქით, მიმაჩნდა, რომ თქვენ გამოგიყენებდით ჩვენი გაქრობის საფარველად.

— გაქრობის? — განმეორებით ჰკითხა პოტაპჩუკმა: თან იარაღი შეინახა.

— ჩვენ დაბრუნებას არ ვაპირებთ, — აუხსნა საველიევმა, უკვე ნათქვამი რომ გაუმეორა — თქვენ კი ნამდვილად დაბრუნებას ამჯობინებთ, არა? მართალი ვარ?

ისინი დუმდნენ.

— გეკითხებით, — ხმა აიმაღლა პოლკოვნიკმა, — მართალი ვარ? გინდათ დაბრუნება?

კვლავ დუმილი.

— ლოზინსკი?

— დიახ, — მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ლოზინსკიმ.

— პოტაპჩუკო?

— დიახ, — მაშინვე უპასუხა პოტაპჩუკმა. ის, უწინარეს ყოვლისა, ავადმყოფ ცოლზე ფიქრობდა.

— სემიონოვ?

— არა, — ისევე სწრაფად უპასუხა უკვე გადაწყვეტილებამიღებულმა სემიონოვმა.

— მაშასადამე, მე მართალი ვარ, — საკუთარ თავს დაუდასტურა საველიევმა. — მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენ ერთ-ერთ მანქანას ხევში გადავჩეხავთ. მასში ორი გვამი იქნება. რასაკვირველია, ჩემი და სემიონოვისა კი არა. გვამები დაიწვება და მათ, როგორც შეტაკებაში დაღუპულ ჩვენთვის უცნობ ადამიანებს, ლოზინსკი და პოტაპჩუკი დამარხავენ. ყველა დოკუმენტი ამავე მანქანაში დაიწვება. ჩვენი გვამების შესახებ თქვენ მხოლოდ მაშინ გაიხსენებთ, როცა დაკითხვას დაგიწყებენ. იგივე ბანდამ, მესაზღვრეები რომ დახოცა, ესროლა ჩვენს მანქანასაც, მე და სემიონოვი მოგვკლეს. ვფიქრობ, ამის შემოწმებას განსაკუთრებით არავინ დაიწყებს. საკმარისი იქნება თქვენი ჩვენებები.

— გვამები რომ შეამოწმონ, — ჰკითხა ფრთხილმა პოტაპჩუკმა.

— ვერ შეძლებენ. იქ, მოსკოვში, ისეთი რამ ხდება, რომ შემოწმებას არ დაიწყებენ. ორ დღეში სუკის სამი თავმჯდომარე გამოიცვალეს. ასეთი რამ ოცდაჩვიდმეტ წელსაც კი არ ყოფილა.

— თქვენ დოკუმენტების წაღება გინდათ? — მიუხვდა ლოზინსკი.

— მინდა. ეს დოკუმენტები ჩვენი მთავარი სიმდიდრეა. ჩვენ მათ თან წავიღებთ და საზღვარგარეთ წავალთ. ვფიქრობ, ორ-სამ წელიწადში ყველაფერი დაწყნარდება და მაშინ კიდევ დასჭირდებათ ჩვენისთანა პროფესიონალებიც და ჩვენი დოკუმენტებიც. აი, სწორედ მაშინ დაგვიძახებენ, რომ დავბრუნდეთ დოკუმენტებიანად, რასაც ჩვენ გონივრულად გამოვიყენებთ. ახლა ეს ქაღალდები ტუალეტის ქაღალდზე ძვირი არა ღირს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ოქროს ფასი ექნება.

— თქვენ საკუთარი დაღუპვის გათამაშება გინდათ? — მიხვდა პოტაპჩუკი, — რათა ყველამ მკვდრებად მიგვიჩნიოთ.

— კი, — დაეთანხმა საველიევი, — ეს ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია, რომლის დროს არავინ დაუწყებს ძებნას ჩვენთან ერთად გამქრალ დოკუმენტებს. გვამები კი უკვე გვაქვს, — მეორე ავტომანქანაზე აჩვენა.

— ეს საინტერესო გადაწყვეტილებაა, — ფრთხილად თქვა ლოზინსკიმ, — თანაც, ჩემი აზრით, კარგად მოფიქრებული.

— მადლობა ღმერთს, — გაიღიმა საველიევმა, — ვფიქრობ, პირველად გამოვნახეთ საერთო ენა.

— მოსკოვში დაბრუნება არ გინდათ? — ჰკითხა პოტაპჩუკმა.

— არ მინდა, მე, უკეთეს შემთხვევაში, ან ციხეში ჩამსვამენ ან ლიტველებს გადამცემენ. მე კი ერთფეროვანი ცხოვრება არ მიყვარს. ციხე ჩემზე ცუდად მოქმედებს, — იხუმრა საველიევმა, — ამას გარდა, სწორედ ახლა შეიძლება სახელმწიფო საზღვრის მშვიდად გადალახვა. რამდენიმე დღის შემდეგ ამის იოლად გაკეთება ალბათ აღარ შეგვეძლება.

ლოზინსკიმ შეხედა პოტაპჩუკს და თავი დაუქნია. პოლკოვნიკმა საველიევმა, როგორც ყოველთვის, თავისი გეგმა იდეალურად მოიფიქრა, ყოველი წვრილმანი გაითვალისწინა.

საველიევი შებრუნდა და სემიონოვს მეორე მანქანაზე მიუთითა, იმანაც, მანქანასთან რომ მივიდა, საბარგულიდან ორივე გვამი ამოიღო, წინა სავარძელზე გადაიტანა, ისე განალაგა, როგორც მძღოლი და მგზავრი სხედან ხოლმე. მხოლოდ ამის შემდეგ აიღო ავტომატი, რითაც თავის კოლეგებში ერთგვარი დაძაბულობა შეიტანა. მაგრამ მან სწრაფად შეაბრუნა ავტომატი და გრძელი ჯერი მიუშვა მანქანას, ცდილობდა ბენზინის ავზში მოეხვედრებინა, ავტომანქანას კი ცეცხლი არ ეკიდებოდა. მაშინ პოტაპჩუკმა ამოიღო თავისი პისტოლეტი და ბენზინის ავზს დამიზნებით რამდენჯერმე ესროლა.

მანქანას ცეცხლი წაეკიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ყრუ აფეთქებაც გაისმა. ისინი იდგნენ და უყურებდნენ, ავტომანქანასთან ერთად როგორ იწვოდა მძღოლთა გვამები.

— მორჩა, — დაასკვნა საველიევმა, — ჩანს, ეს-ესაა მოვკვდი.

სემიონოვი მასთან მივიდა.

— ჩემოდნები საბარგულში ჩავაწყვე, მაგრამ ის აღარ იკეტება, — შესჩივლა ლიკვიდატორმა.

— არაფერია, — შებრუნდა მისკენ საველიევი, — თოკით დააბი. გაუშვი, იფიქრონ, რომ მოაგარაკენი ვართ, საზაფხულო სეზონის შემდეგ რომ ვბრუნდებით.

— გაგიჭირდებათ, პოლკოვნიკო, — შენიშნა ლოზინსკიმ, — უფულოდ და უსაბუთოდ საით წახვალთ?

— რაიმეს მოვიფიქრებთ, — გაიღიმა საველიევმა, — მოვიცადოთ, სანამ მანქანა დაიწვება და ნეშტი კი მიწას მივაბაროთ. კიდევ შევძლებთ ამ თემაზე მოსაუბრებას.

— ჩვენ ყველაფერზე გულდასმით უნდა მოვილაპარაკოთ, — უცებ თქვა ლოზინსკიმ, პოტაპჩუკს რომ მიმართავდა, ისიც მიხვდა, რომ ამხანაგმა საბოლოოდ მიიღო იგნატი საველიევის გეგმა.

## თავი XXXIV

დილით დრონგო ტელეფონის ზარმა გააღვიძა, თვალები რომ გაახილა, მოიღუშა და ყურმილი აიღო.

— შენ ისევ გძინავს? — მოესმა მაირის ხმა.

— ღმერთო ჩემო, — უკმაყოფილოდ თქვა დრონგომ, — აქაც არ მაძლევ მშვიდად გამოძინების საშუალებას, რა გინდა? კიდევ რა მოხდა?

— აბა, საათს დახედე, — ურჩია მაირმა, — უკვე მეთერთმეტე საათია, ჩემი აზრით, დიდი ხანია, საუზმის დროა.

— კარგ მადას გისურვებ, — უთხრა დრონგომ, ყურმილის დადებას რომ აპირებდა.

— არ გათიშო! — მოასწრო გაფრთხილება მაირმა.

— კიდევ რა გინდა? — თავს ძალა დაატანა, რომ არ ჩასძინებოდა.

— ახლა დაბლა, განთავსების სამსახურში, ვიღაც შენ გკითხულობდა. მე დავიმახსოვრე ის კაცი, მაღალი, გამხდარი. ინგლისურად ლაპარაკობდა. თქვენ გიკითხათ, დაინტერესდა, თუ ვინ გაჩერდა თქვენს ნომრებში.

ახლა ძილი შეუძლებელი იყო. დრონგო წამოდგა, ყურმილი ხელიდან არ გაუშვია.

— აღმიწერე ის.

— ხომ გითხარი, მაღალი, გამხდარი, კარგად ჩაცმული, ჩემი აზრით, სპორტსმენია, კარგად გამოიყურება. იკითხა თქვენზე, შემდეგ წავიდა. მე საგანგებოდ ვუყურებდი, თუ საით წავიდოდა. ქალაქში წავიდა, დაახლოებით ვაგზლის მიმართულებით.

— მადლობთ, — ჩაიბუზღუნა დრონგომ, — ჩანს, ჩემი ფარული თანაშემწე ხდები.

— მაგრამ ეს ხომ კარგია, — გაუხარდა მაირს, — მუდამ ვოცნებობდი, მენახა, თუ როგორ მიგყავს შენი ცნობილი გამოძიებები.

— უნდა გაწყენინო, — წაუგესლა დრონგომ, — საყურებელი სამუშაო არ არის. ის ჩემს თავში მიმდინარეობს, შემდეგ კი შედეგებს ვაცხადებ. შენ თუ მიგაჩნია, რომ ვიღაცას ყბებს ვუნგრევ ან სახურავიდან ვხტები, ამთავითვე უნდა გაგიცრუო იმედი, ასეთი რამ, დიდი ხანია, არ გამიკეთებია.

— ამას უკვე მივხვდი, — ჩაიცინა მაირმა, — არაუშავს. შენი ტვინის მუშაობასაც დავაკვირდები. ესეც მნიშვნელოვანია ჩემი განვითარებისათვის. ისე კი, უკეთესი იყო, ყველაფრისათვის მიგეფურთხებინა და აქ ერთხელ დასასვენებლად ჩამოსულიყავი. გეფიცები, ეს გაცილებით სჯობს.

— გავითვალისწინებ შენს წინადადებებს. მორჩი?

— ცოტა მაინც დაგეხმარე?

— რასაკვირველია დიდი მადლობა.

დრონგომ ყურმილი დადო, ჩაფიქრებულმა ნიკაპი მოიფხანა. არ უყვარდა, როცა გაუპარსავს ხედავდნენ, ამიტომაც გულდასმით ზრუნავდა თავის სახეზე. თითებით ჩვეულებრივ დილის წვერი რომ იგრძნო, ამოიოხრა და დილის ტუალეტისათვის სააბაზანოსაკენ გასწია. ძალზე მალე, სუფთად გაპარსული და საბოლოოდ გონზე მოსული, ის მაირთან ერთად უკვე ვერანდაზე საუზმობდა. მათთან მოღუშული პოტაპჩუკი ჩაჯდა.

— დილა მშვიდობისა, — თავაზიანად მიესალმა მაირი.

პოტაპჩუკმა [illegible] მხოლოდ თავი დაუქნია. ის დილიდანვე უხასიათოდ იყო.

— ვიღაცა ჩვენ გვკითხულობდა, — მოღუშვით აცნობა დრონგოს, როცა წინ ყავიანი ფინჯნები დაუდგეს. — ჩაი მომიტანეთ, — უბრძანა მან ოფიციანტს, რომელმაც სტუმრის უხასიათობა რომ იგრძნო, სასწრაფოდ წაიღო ყავა.

— ვიცი, — უპასუხა დრონგომ, — როგორც ჩანს, თქვენი პოლკოვნიკი ამოქმედდა. თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ის არაკორექტულად ექცევა თავის ძველ მებრძოლ ამხანაგს?

— მის ამხანაგად თუ მიგაჩნივართ, ცდებით, როცა ჩვენ უკანასკნელად დავშორდით ლიტვა-ბელორუსიის საზღვარზე, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ცოცხალს არ გამიშვებდა, მაგრამ მან მე და ლოზინსკის სიცოცხლე შეგვინარჩუნა, რათა მისთვის ალიბი შეგვექმნა.

— რატომ არ გიამბიათ ამაზე?

— თქვენც არ გიკითხავთ. ეგ ის კაცი არ არის, რომელიც იმახსოვრებს, ჩვენ ერთად რომ ვმუშაობდით.

— მაშინ რატომ მოგვიწვია აქ?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა პოტაპჩუკმა, — მე საერთოდ მეჩვენება, რომ მან აქ შემოგვიტყუა, როგორც ხაფანგში.

მახლობლად საცურაო კოსტუმში გამოწყობილმა ორმა ქალიშვილმა ჩაუარათ. პლაჟი და სანაპიროს გზის გადაღმა იყო და ოტელიდან გამოსული სტუმრები ზედმეტი ტანსაცმლით თავს არ იწუხებდნენ.

— საგიჟეთია, — ჩაიჩურჩულა პოტაპჩუკმა, — ყველა შიშველი და ბედნიერია.

— იქნებ სამოთხეა? — შეახსენა საველიევის სიტყვები დრონგომ, — ის ხომ სამოთხეს დაგვპირდა.

— რა ლამაზები არიან, — ამოიოხრა მაირმა, — თქვენ თუ სულ მაგიდასთან ისხდებით და იხენეშებით, არაფერი გამოგივათ. ნახეთ, რა სილამაზეა ირგვლივ.

— შემდეგ ჩამოსვლაზე, — ავად დაპირდა პოტაპჩუკი, — აუცილებლად ვნახავ. თქვენს მეგობრებს დაურეკეთ? — ჰკითხა მან დრონგოს.

— დავურეკე და ვფიქრობ, რომ უკვე დღეს, საღამოს ისინი ნიცაში იქნებიან.

— ჯაშუშების ნამდვილი კონგრესია, — გაბრაზდა პოტაპჩუკი, — მას ასეთი ვარიანტის გათვალისწინებაც ხომ შეეძლო.

— ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ ჩვენს პოტენციურ კონკურენტებს, — შესთავაზა დრონგომ, — განა ჩვენი სიტუაცია სასაცილოდ არ გეჩვენებათ? მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ნიცაში ჩამოდიან მზვერავები, რათა საველიევისაგან დოკუმენტები იყიდონ. ცხადია, მას სწორედ ეს უნდა. აუქციონზე მუდამ მაღალი ფასებია, ვიდრე ჩვეულებრივი ვაჭრობისას. რაც ბევრი მუშტარია, იმდენად მაღალი ფასია. თქვენს პოლკოვნიკს პირდაპირ საბაზრო აზროვნება აქვს.

— ის ჩემი [illegible]? — ეწყინა პოტაპჩუკს, — მე მასთან მხოლოდ ლიტვაში ვმუშაობდი.

— თქვენ პირადად საზღვარზე რამდენი კაცი მოკალით? — უცებ ჰკითხა დრონგომ. — თქვენ ხომ საველიევთან ერთად ხოცავდით? ასეა?

პოტაპჩუკი შებრუნდა.

— ყველაფერი, რის მოყოლაც შეიძლებოდა, უკვე გიამბეთ, დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს, — ძლივს ამოღერღა მან.

მათ უცნობი მიუახლოვდათ. მას ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. მათ მაგიდაზე მეტრდოტელმა მიუთითა, ახალ სტუმარს რომ უღიმოდა.

— შეხედეთ, ჩანს, ჩვენსკენ ეგზოტიკური დასვენების კიდევ ერთი მოყვარული მოდის, — ჩაიბუზღუნა პოტაპჩუკმა.

— ისაა, ამ დილას ჩვენ რომ გვკითხულობდა? — სწრაფად დააზუსტა მაირთან დრონგომ.

— არა, ის ცოტა მაღალი იყო. თანაც სულ სხვა სახე აქვს.

უცნობმა, მათ მაგიდას რომ მიუახლოვდა, მკაცრად გადახედა მაგიდასთან მსხდომთ და შემდეგ რუსულად ჰკითხა:

— თქვენ დრონგო ბრძანდებით?

პოტაპჩუკს ჩაი გადასცდა და საშინელი წყევლა-გინება დაიწყო. მაირმა გაოცებით შეხედა უცნობს.

— არც მიფიქრია, რომ ისეთივე პოპულარული ვიყავი, როგორც პატრიცია კაასი, — იხუმრა დრონგომ, ისევ მშვიდად რომ იჯდა, — საიდან იცით ეს მეტსახელი?

ნაცრისფერკოსტუმიანმა ოდნავ გაიღიმა.

— მაშასადამე, არ შევცდი.

— ჯერ მაგიდასთან დაბრძანდით და გაგვეცანით, — რბილად შესთავაზა დრონგომ. უცნობმა სკამი მიიწია, დაჯდა და წარუდგათ.

— პოდპოლკოვნიკი იევლევი რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურიდან.

პოტაპჩუკს კვლავ გადასცდა ჩაი სასულეში. ამჯერად ის აღარ იგინებოდა, ყველაფერზე მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— მეც დაახლოებით ასე წარმოვიდგინე, — დაეთანხმა დრონგო, — გუშინ საღამოს ჩამოფრინდით?

— დიახ, საიდან იცით?

— მე ისიც კი ვიცი, თუ რომელ ოტელში ცხოვრობთ, — უთხრა დრონგომ.

— საველიევმა გითხრათ? — მიხვდა იევლევი, — ვფიცავარ, არ ვიცი, მას რისთვის დასჭირდა ყოველივე ეს.

— თქვენ ის ნახეთ?

— არა. თქვენ?

— ვნახე.

— მაშასადამე, ის ცოცხალია.

— უეჭველად.

— თქვენ საკმაოდ გულახდილი ბრძანდებით, — შენიშნა რუსული დაზვერვის წარმომადგენელმა, — მე ვფიქრობდი, რომ ჩემს კითხვებზე არც კი უპასუხებდით.

— როგორც თქვენ. მე არც მიფიქრია, რომ ჩვენ ასეთი საუბარი გამოგვივიდოდა.

— ინფორმაციების [illegible] გაცვლაა — დაეთანხმა იევლევი, იქნებ, თქვენი მეგობრებისათვის ხელი არ შეგვეშალა და ბულვარზე გაგვევლო.

თარგმნა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**
(გაგრძელება
7 თებერვლის ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ 2000 წ. № 313-321, 323-334, 337-339; 2001 წ. № 2-6, 8-27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც მეტი იცი...

### 7+40 საოცრება

## არტემიდას ტაძარი ეფესში



ეფესო დაარსდა ძვ. წ. მე-12 საუკუნეში კარიაში, მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. არტემიდას ტაძარი ეფესოდან 7 კილომეტრის დაშორებით, ხეობაში ააშენეს. არტემიდა იყო მთვარისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, აგრეთვე, ცხოველთა და მშობიარეთა მფარველი. მისი მშვენიერება ჩრდილავდა ზევსის მეუღლის ჰერას, ქალღმერთების — ათენასა და აფროდიტეს სილამაზეს.

ტაძრის აგება დაიწყო და თითქმის დაასრულა ცნობილმა კნოსელმა არქიტექტორმა ქერსიფრონმა. მისმა ვაჟმა მეტაგენემ მოაწყო ტაძრის ზემო ნაწილი, საბოლოო სახე კი ამ ბრწყინვალე ნაგებობას პეონიელმა და დემეტრიადელმა არქიტექტორებმა მისცეს. ეს მოხდა ძვ. წ. 550 წელს.

ტაძრის სიგრძე 110 მეტრი იყო, სიგანე — 55 მეტრი. გარს ერტყა 18 მეტრის სიმაღლის ქვის კოლონათა ორი მწკრივი, პლინიუს უფროსის ცნობით — 127 კოლონა. ორფერდა სახურავი კრამიტით კი არა, მარმარილოს ფილებით იყო დაფარული. სახურავის ოთხივე კუთხეში გიგანტური ზომის თითო მარმარილოს ხარი იდგა. მთავარი დარბაზის ცენტრში აღმართული იყო 15 მეტრის სიმაღლის არტემიდას ქანდაკება.

200 წლის შემდეგ ეფესოს მოქალაქე ჰეროსტრატემ, საკუთარი სახელის უკვდავყოფის მიზნით, გადაწვა არტემიდას ტაძარი. ეს მოხდა ძვ. წ. 356 წლის 21 ივლისს, ალექსანდრე მაკედონელის დაბადების ღამეს.

ტაძარი აღადგინეს. მაგრამ მერე იგი გუთებმა დაანგრიეს, ხოლო მიწისძვრამ საბოლოოდ გაასწორა მიწასთან.

## ოლიმპიელი ზევსი



პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაშენებული ქალაქი ოლიმპია ძველი ელადის უწმინდეს ადგილს წარმოადგენდა, ეს იყო მშვიდობის, თანხმობის, სპორტსმენთა, მხატვართა და პოეტთა უდიდესი ცენტრი.

ზევსის ტაძარი ამ ქალაქში არქიტექტორმა ლიბონ ელიდელმა ძვ. წ. 468-456 წლებში ააგო. ტაძრის ცენტრში დადგეს უზარმაზარი ქვის შავი ფილა. მომავალი ქანდაკების კვარცხლბეკი.

მე-5 საუკუნის 30-იან წლებში ელიდელებმა ზევსის ქანდაკების გასაკეთებლად მოიწვიეს სახელგანთქმული მოქანდაკე, მხატვარი და მოაზროვნე ფიდია, რომლის ქმნილებებიც (მირონისა და პრაქსიტელეს შედევრებთან ერთად) ხელოვნების მიუწვდომელ ნიმუშებად ითვლებოდა.

ფიდიას მიერ შექმნილი ზევსის ქანდაკების სიმაღლე 12,5 მეტრი იყო და ცნობილი გეოგრაფის სტრაბონის თქმით, ტაძარი მისთვის ვიწროც კი ჩანდა. „ტახტზე მჯდომი ზევსი, — წერს სტრაბონი, — რომ წამომდგარიყო, სახურავს გაანგრევდა". პლინიუსი კი წერდა: „ბევრია ხელთუქმნელი ძეგლი, მაგრამ ყველას ჩრდილავს ოლიმპიელი ზევსი, რომელიც ფიდიამ ოქროთი და სპილოს ძვლით გამოაქანდაკა".

მაღალზურგიან ტახტზე მჯდომი ზევსის თავი ოლიმპიადის გამარჯვებულის გვირგვინით იყო შემკული. მარჯვენა ხელში გამარჯვების ქალღმერთის — ფრთოსანი ნიკეს ქანდაკება ეჭირა, მარცხენაში — კვერთხი, რომლის თავიც წმიდა არწივით ბოლოვდებოდა. ტახტის რელიეფებზე ასახული იყო მითიური ეპიზოდები, მათ შორის — ჰერაკლესა და თესევსის გმირობანი.

ქანდაკების მხილველი თავს იმტვრევდა ფიქრით — ფიდია თავისი ფეხით ავიდა ოლიმპის მთაზე ზევსის სანახავად თუ თავად ზევსი ჩამოვიდაო, რათა მოქანდაკეს სჩვენებოდა?

მოგვიანებით ეს საოცარი ქმნილება კონსტანტინეპოლში, იმპერატორის სასახლეში გადაიტანეს, მაგრამ მე-5 საუკუნეში სასახლეც და ქანდაკებაც ხანძარმა გაანადგურა.

## ვიქტორინა ერუდიტებისათვის



1. ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში სპერის ზღვა ერქვა...

**ა — კასპიის ზღვას, ბ — შავ ზღვას; გ — ხმელთაშუა ზღვას.**

2. თუშურ დიალექტში — კატათკუდა, ზემორაჭულში — სიმჭლის ბალახი, მოხეურში — ყარტიმყრალაი ეწოდება მცენარეს, რომლის ლიტერატურული სახელწოდებაა...

**ა — აბზინდა; ბ — აბანოზი; გ — აბრეშუმი.**

3. სიონის, ანჩისხატის, კვირაცხოვლის ეკლესიები მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ უბანში...

**ა — ზემოუბანი; ბ — სალაყბო; გ — ზემო მოედანი.**

4. ტერიტორიას, რომლის ბუნებრივი სიმდიდრეები დაცულია სახელმწიფოს მიერ, ეწოდება...

**ა — რეზერვაცია; ბ — რეკონვერსია; გ — რეპატრიაცია.**

5. „ვეფხისტყაოსანში" ოქროს (ღირებულების საზომად) ჰქვია...

**ა — წითელი; ბ — ყვითელი; გ — ნარინჯი.**

6. „შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფარფატა თოლია, მაშ, თვალები თამარ ქალის როგორ გამოგყოლია?" — სტრიქონების ავტორია...

**ა — მურმან ლებანიძე; ბ — იოსებ ნონეშვილი; გ — მირზა გელოვანი.**

7. ავსტრალიის კონტინენტსა და კუნძულ ტასმანიას ერთმანეთისაგან გამოჰყოფს...

**ა — დრეიკის სრუტე; ბ — ლაპერუზის სრუტე; გ — ბასის სრუტე.**

8. „ოჯახში რაც კი ბინძური საქმე იყო, დედინაცვალი გერს აკეთებინებდა" — ეს წინადადება ამოღებულია შარლ პეროს ზღაპრიდან...

**ა — ლურჯწვერა; ბ — ნაცარქექია; გ — წითელქუდა.**

9. ბერძნულ მითოსში ცხრა მუზათაგან ისტორიის მფარველ მუზას ერქვა...

**ა — ერატო; ბ — თალია; გ — კლიო.**

10. დღევანდელი ბარათაშვილის ხიდის ადგილას არსებობდა 1911 წელს აგებული ლითონის ერთმალიანი ხიდი, რომელსაც ერქვა...

**ა — მუხრანის ხიდი; ბ — ავლაბრის ხიდი; გ — მეტეხის ხიდი.**

პასუხები:

*1. შავ ზღვას; 2. აბზინდა; 3. ზემო უბანი; 4. რეზერვაცია; 5. წითელი; 6. იოსებ ნონეშვილი; 7. ბასის სრუტე; 8. ნაცარქექია. 9. კლიო. 10. მუხრანის ხიდი.*

## სასარგებლო რჩევები

● ოთახის განიავება ამ სიცივეში სარისკო საქმეა. ამიტომ თუ ბინაში თამბაქოს კვამლი დაგროვდა, ღრუბელი დაასველეთ და ოთახის კუთხეში ან ფანჯრის რაფაზე ჩამოკიდეთ. კვამლი და სუნი მალე გაქრება.

● ახალი ლამპის შუშა მარილხსნარში „მოხარშეთ" და დიდხანს გასძლებს, აღარ გასკდება.

● ლამპის შუშა არ გაიმურება, თუ პატრუქს ნავთში ჩაშვებამდე მაგარ ძმარში დაასველებთ და კარგად გააშრობთ.

● დიდი ხნის ხმარებისაგან ლოგინის თეთრეული ყვითლდება. საპნით ან ფხვნილით გარეცხვისა და გავლების შემდეგ ასეთი თეთრეული ამოავლეთ ცივ წყალში, რომელშიც ჩაასხით ერთი სუფრის კოვზი სკიპიდარისა და სპირტის ნარევი (ერთი მეოთხედი ჭიქა სკიპიდარი და სამი მეოთხედი ჭიქა სპირტი), კარგად გაწურეთ და გაკიდეთ გასაშრობად, თეთრეული გაქათქათდება.

● ცოცხი რომ არ დაიმტვრეს და დიდხანს გაძლოს, ზედ კაპრონის ბადე ან ჩვეულებრივი კაპრონის წინდა ჩამოაცვით. თუ დანა-ჩანგალი დაიჟანგა, რამდენიმე წუთით მაგარ ძმარში ჩააწყვეთ და მერე ტილოთი კარგად გაამშრალეთ.

● თუ ფეხსაცმელს ხშირად გაწმენდთ სასაქმებელი ზეთით, იგი ნაკლებად დატენიანდება, წყალი არ მიეკარება, ტყავიც დარბილდება. ზეთის წასმამდე ფეხსაცმელი კარგად უნდა გაწმინდოთ და გააშროთ.

## საოჯახო სპორტდარბაზი





**ვარჯიშსაც დრო უნდა. თუ დროის ნაკლებობას განიცდი, გამოიყენე ეს ორი სავარჯიშო კომპლექსი და მერწმუნე, შედეგით კმაყოფილი დარჩები.**

1. დადექი მარჯვენა ფეხზე, მარცხენა ისე მოხარე, რომ ფეხის გული მარჯვენა მუხლის დონეზე აღმოჩნდეს. აიღე 1,5 კგ-იანი ჰანტელები, ხელები ზემოთ ასწიე ისე, რომ მარჯვენა 45-გრადუსიან კუთხეს ქმნიდეს, მარცხენა კი ოდნავ ეხებოდეს მარჯვენას.

2. მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი უკან გადადგი, ხელები ირიბად გადაიტანე მარცხენა თეძოსკენ. იყავი ყურადღებით: ბოლო პოზიციაში ორივე ფეხი მუხლში მოხრილი უნდა იყოს. დაყოვნდი ამ პოზიციაში 5 წამს, მერე დაუბრუნდი საწყის პოზიციას. ვარჯიში კიდევ ერთხელ გაიმეორე, შემდეგ — ისევ, ოღონდ მარჯვენა თეძოს მხარეს. გაიმეორე თითო მხარეს 8-ჯერ, მერე კი მოძრაობის რაოდენობა თანდათან 12-მდე გაზარდე.

თუ ამ ვარჯიშებს კვირაში 3-4-ჯერ შეასრულებ, 3-4 კვირის შემდეგ თავად დარწმუნდები მათ ეფექტიანობაში — ფეხები, მხრები, მუცელი და დუნდულები სიმკვრივესა და მოქნილობას შეიძენენ.

## თუ გახდომა გსურს, ნუ იშიმშილებ!

**დიახ, შიმშილობა აუცილებელი არ არის, არც — მომაბეზრებელი დიეტა. უნდა იკვებო გონივრულად. ჭამე (ცოტ-ცოტა) დღეში 3-4-ჯერ, უკანასკნელად — არა უგვიანეს საღამოს 6-7 საათისა. შეზღუდე სითხის მიღება (ამაში სუპები და წვნებიც შედის) დღეში 1-1,5 ლიტრამდე.**

მეორე რჩევა: მიირთვი ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები — სტაფილო, პამიდორი, ისპანახი, მჟაუნა, გარგარი, მწვანე ხახვი, ლობიო, მწვანე ბარდა, კომბოსტო, ჭინჭარი, ასკილის ნაყოფი, ვაშლი, ლიმონი და შენ მიიღებ ორგანიზმისათვის აუცილებელ „ა" ვიტამინს (ამაღლებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს მხედველობას), აგრეთვე, „ბ" (ხსნის დაღლილობას, განამტკიცებს ნერვულ სისტემას) და „ც" ვიტამინებს.

მესამე რჩევა: მთლიანად ბოსტნეულსა და ხილზე ნუ გადახვალ. მცირე რაოდენობით მიიღე ხორცი (მჭლე), კვერცხი (თოხლოდ მოხარშული), თევზი, ჭვავის პური. ტკბილეული საერთოდ დაივიწყე.

მეოთხე რჩევა: ნუ იჩქარებ გახდომას. ორგანიზმისთვის სასარგებლოა თანდათანობით დაკლება წონაში, დაახლოებით — თვეში 2 კილოგრამი, ამაში მოგეხმარება კომბოსტო, სალათები, კიტრი, მწვანილეული. სითხე 1 ლიტრზე მეტი არ უნდა მიიღო. ხოლო მარილი — მესამედ ჩაის კოვზზე მეტი. ერიდე ტკბილეულს, ხოლო ალკოჰოლი საერთოდ გამორიცხე შენი კვების რაციონიდან. ამ დიეტის ეფექტურობას, რა თქმა უნდა, აამაღლებს ფიზიკური ვარჯიში და წყლის პროცედურები.

## კოსმეტიკური ნიღბის 5 „ოქროს წესი"

**ალბათ, იცი — ნიღბის დადების წინ სახე კარგად უნდა გაიწმინდო ან ცხელი შხაპი მიიღო, ხოლო როცა ნიღაბი გიკეთია, სახის ნაკვთები სრულიად მოსვენებულ, მშვიდ მდგომარეობაში უნდა გქონდეს და გახსოვდეს:**

1. თუ მშრალი ან ნორმალური კანი გაქვს, ნიღაბი 10 დღეში ერთხელ უნდა დაიდო, თუ ცხიმიანი — კვირაში 1-2-ჯერ.

2. კანის დასატენიანებელი ნიღაბი გაიკეთე დილით, მკვებავი — საღამოს.

3. ნიღაბს ძალიან დიდხანს ნუ გაიჩერებ.

4. ნიღბის მასალა არ უნდა მოხვდეს პირსა და თვალებში.

5. კარგი იქნება, თუ ნიღბებს დროგამოშვებით შეცვლი, რადგან ისინი შეიცავენ სხვადასხვა ელემენტებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ შენი ტიპის სახის კანზე.

## თამბაქო — საღებავი

**ძველად, ვიდრე სპეციალური ქიმიური ნაერთები არ არსებობდა, ჩვენი წინაპრები მშვენივრად იყენებდნენ საღებავად ამა თუ იმ მცენარის ფოთლებს, ფესვებს, ქერქს, ნაყოფს...**

საინტერესოა, რომ, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, წინათ საღებავად თამბაქოსაც იყენებდნენ.

თამბაქოს ფოთლების ნაყენით შეიძლება თეთრი ქსოვილი ნაზ ყავისფრად შეღებო. თუ ყავისფერისა და შავის განახლება-აღდგენა გინდა, სუფთა ქსოვილი თამბაქოს ნაყენში ან ნახარშში დასველებული ჯაგრისით გაწმინდე. თუ ყავისფერი ნივთის „გამოცოცხლება" გსურს, თამბაქოს სუსტი ნაყენი გამოიყენე. თამბაქოს ნაყენი (15 გრამ ფოთოლზე — 1 ლიტრი მდუღარე წყალი) შესანიშნავად აღადგენს შავ ფერს.

**მოამზადა ლალი ცქვიტიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორშაბათი
## 5 თებერვალი

08.00 ალიონი 09.30, 16.50 უთუოდ 09.35-დან 16.45-მდე პროფილაქტიკა 17.00 50-50 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი „სენ-ტროპე" 19.05, 01.45 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.00 მოამბე 20.50 სერიალი „ქამელეონი" 21.40 XX საუკუნე 22.00 ჩვენი ფეხბურთი 22.40 ტელესერიალი „ქილის წინ„ 23.50 კომუნიკატორი 00.25 ქართ. მხ.ფილმი „მალე გაზაფხული მოვა"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი„ 20.30 საუკუნის პიტები 20.40 მოკლ. მხ. ფილმი 21.50 კინოს ისტორიები 22.00 ინფორმაცია 22.15 სუპერ-მატჩი 22.45 მხ.ფ. „მე, კვლავ მე და ირენი"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, შავი მეკობრე 08.00 60 წუთი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი„ 09.50 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 10.40 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 11.10 სერიალი „სამანტა„ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 01.55 კურიერი 18.20 „ჯუნგლების წიგნი„ 18.50 სერიალი „ჰერაკლე" 20.05 სერიალი „სამანტა„ 22.00 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. „ტრიუმფალური თაღი". რეჟ. უორის ხუსეინი. მთ. როლებში ენტონი ჰოპკინსი, ლესლი ენ-აუნი 02.05 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00, მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „სამართლიანი დადლი" 21.45 მუს. ტალღა 22.00 მხ.ფ. „კანონის დამცველნი„

**ევრიკა**

09.30 რენერ ვერნერის „ხარება" 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი" 10.15 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 8 სერია 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.45, 15.20 ძველი კინო კლასიკა მხ. ფილმი „თუნუქის ვარსკვლავი" 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 დოკფილმი „ფანჯარა ევროპაში" 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სერიალი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 9 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 ექსტრაორდინალური 23.30, 00.15 მხ.ფ. „ვიტრინა„

**IST**

08.00 „ბისი". მხ.ფ. „ცოდვების ზღვაზე„ 09.40, 17.45, 20.00, 21.40, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.30 მულტფილმები 18.00 „Co.მედია" მხ.ფ. „საკალათბურთო ციებ-ცხელება" 20.10 პროგრამა „F" მხ.ფ. „ოგოგები„ მთ. როლებში ლანა პარილა, ჯოშ გრინი 21.55 „ბრავო" მხ.ფ. „თავისუფლების სიმაღლე" მთ. როლში ედრიან ბროდი, ბებე ნიუირტი 00.15 „ლამურა" მხ.ფ. „ძვლების შემგროვებელი" 01.45 ნონ-სტოპი

09.00, 10.40, 13.35, 15.50, 21.00, 21.35, 23.40 მუსიკა 09.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი" 09.50 სერიალი „დუბროვსკის დოსიე„ 10.55 ინტელექტუალები „რა? სად? როდის?" 11.45 მხ.ფ. „სახიფათო კავშირები„ 13.50 მხ.ფ. „მგელი" მთ. როლში ჯეკ ნიკოლსონი 16.05 მხ.ფ. „ბრალდების მოწმე". მთ. როლში მარლენ დიტრიხი 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 18.15 მულტფილმი „მელია და მონადირე ძაღლი„ 18.35 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.20 მაგიური სალამოები: „სპირიტიზმი" 21.50 მხ.ფ. „ველური, ველური დასავლეთი„ მთ. როლებში უილ სმიტი, კევინ კლაინი 23.00 ტელემილიონი 00.15 მხ. ფილმი „გმადლობთ, სიცოცხლევ„ მთ. როლში ანი ჟირარდო

19.00, 01.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 19.50 სპორტული პროგრამა „მსოფლიოს სტადიონებზე" 20.30 ქართ. მხ.ფილმი „ორი ოჯახი" 21.35 დოკ. ფილმი „სათავეებთან" 22.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 22.40 მხ.ფ. „სამთა ტანგო" 01.30 მხ.ფ. „გზაჯვარედინი"

## სამშაბათი
## 6 თებერვალი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ქილის წინ„ 09.45, 17.50 უთუოდ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი„ 10.25 ფორტუნა 11.05 სერიალი „სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 რამპა 14.10 მოსკოვი-თბილისი 14.30 სპა 15.15 ქართული მხ.ფ. „მალე გაზაფხული მოვა" 16.35 კინოდარბაზი „შემოდგომა" 17.15 ბელკანტო 17.35 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი „სენ-ტროპე" 19.05, 02.00 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.50 ჩვენი ენა ქართული 22.00 „100 გრადუსი„ 22.40 ტელესერიალი „ქილის წინ„ 23.50 „ჯეოპოპი" 00.25 მხ.ფილმი „ეროვნული ნადირობის თავისებურებანი"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი„ 20.30 სტუდია „რე" 21.30 ციდან დანახული საფრანგეთი 22.00 ინფორმაცია 22.15 კინომონატრებ 22.30 მხ.ფ. „ახალი კინოთეატრი „პარადიზო""

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, შავი მეკობრე 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 11.10 სერიალი „სამანტა„ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 18.50 სერიალი „ბურმანთა მეგზური„ 19.15 „პერეკრესტოკი„ 19.50 სერიალი „სამანტა„ 22.00 სერიალი „სამნი". 00.05 მხ.ფ. „ლაბირინთი და ურჩხულები". რეჟ. სტივენ სტერნი. მთ. როლში ტომ ჰენქსი 02.15 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „პლანკეტი და მაკლეინი" 22.00 მუს. ტალღა 22.15 მხ.ფ. „ბატონი შეცდომა„

**ევრიკა**

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45, 12.15 მხ.ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 9 სერია 12.40 პროგრამა „სალონი" 14.10, 15.15 ინდური მხ.ფილმი 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მუსიკალური კოლაჟი 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 10 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 პროგრამა „სალონი" 23.00, 00.15 მხ.ფ. „ტელმა და ლუიზა"

**IST**

08.00 „ბისი". მხ.ფ. „თავისუფლების სიმაღლე" 10.05, 17.35, 20.00, 22.10, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.30 „სამყარო" დოკ. ფილმი 17.50 „Co.მედია" მხ.ფ. „როგორ გახდე მოთამაშე„ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.15 პროგრამა „F" მხ.ფ. „მანჰეტენის პროექტი„ 22.25 „ბრავო". მხ.ფ. „ლამაზი ჯო„ მთ. როლში შარონ სტოუნი 00.15 „ლამურა" მხ.ფ. „მოკლა მისის ტინგლი„ მთ. როლში კეტი ჰოლმსი 01.50 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი „მელია და მონადირე ძაღლი„ 09.40 მხ.ფ. „ველური, ველური დასავლეთი„ 11.20 მაგიური სალამოები: „სპირიტიზმი" 11.35 მხ. ფილმი „გმადლობთ, სიცოცხლევ„ 13.25, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 15.35 მხ.ფ. „12 ბინძური მამაკაცი" 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „პიგმეებს შორის" 21.30 მხ. ფილმი „აღმოსავლეთი-დასავლეთი„ მთ. როლში ოლეგ მანშიკოვი 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი" 23.45 მუსიკა 00.15 მხ. ფილმი „მკვლელობის დრო„ მთ. როლში სამუელ ჯექსონი

19.00, 01.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ.მხ.ფილმი „კეთილი ადამიანები" 21.35 დოკ. ფილმი „ქუბური" 22.00 „დღეს" 22.40 მხ.ფ. „პატრიოტი" 01.30 მხ.ფილმი „იმპერია ცეცხლში"

## ოთხშაბათი
## 7 თებერვალი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ქილის წინ„ 09.45, 17.50 უთუოდ 09.50, 20.45 სერიალი „ქამელეონი„ 10.25 „100 გრადუსი" 11.05 სერიალი „სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 აბდა-უბდა 13.00 ნაშუადღევს 14.05 დიდების ზღაპარი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. „ჟენგის კვირა" 17.00 50-50 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი „სენ-ტროპე" 19.05, 02.00 ვიდეოპატრული-02 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „XX საუკუნე„ 22.00 მაესტრო 22.20 საქმე 22.40 ტელესერიალი „ქილის წინ„ 23.50 მე ქალი ვარ 00.25 კომუნიკატორი 00.40 მხ.ფ. „ძაღლი მოჩვენება - სამურაის გზა"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი„ 20.30 მოკლ.მხ.ფილმი 20.45 საუკუნის პიტები 21.00 საქმემან შენმან გამოგაჩინოს 21.30 ოპტიმისტები 22.00 ინფორმაცია 22.15 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 22.45 მხ.ფ. „არ დაიდარდო„

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, შავი მეკობრე 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი „სამნი" 10.40 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 11.10 სერიალი „სამანტა„ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 სერიალი „ჯუნგლების წიგნი" 18.50 სერიალი „ჰერაკლე" 20.05 სერიალი „სამანტა" 22.00 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. „იჩქარებ, ხალხი დაგცინებს". რეჟ. ენდი ტენანტი. მთ. როლებში სელმა ჰაიეკი, მეთიუ პერი. 02.15 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „ტვინის გადაბრუნება" 21.50 მუს. ტალღა 22.05 მხ.ფ. „დამიბრუნდი„

**ევრიკა**

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 10 სერია 13.00 პროგრამა „სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. „ტელმა და ლუიზა" 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 ზღაპრის ტელედარბაზი 18.30 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 11 სერია 19.45 მუსიკალური კოლაჟი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 თინეიჯერი 22.30 თეატრალური შეხვედრები 00.15 მხ.ფ. „ოჯახი" 1 ნაწილი

**IST**

08.00 „ბისი". მხ.ფ. „ლამაზი ჯო„ 09.35, 17.15, 19.15, 20.00, 21.45, 23.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.00 მულტფილმები 17.30 „Co.მედია" მხ.ფ. „არამკითხე„ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.15 პროგრამა „F" მხ.ფილმი „კომოდო - საშინელების კუნძული„ 22.00 „ბრავო" მხ.ფ. „მოწინააღმდეგეები„ 00.15 „ლამურა" მხ.ფ. „ბოროტი ქალი„ მთ. როლში ჯონ ვერნონი 01.40 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი „მელია და მონადირე ძაღლი„ 09.40 მხ.ფ. „აღმოსავლეთი-დასავლეთი„ 11.40 დოკ. ფილმი „პიგმეებს შორის" 12.10 მხ. ფილმი „მკვლელობის დრო„ 14.35 ევროპის სტადიონებზე 14.55, 23.45 მუსიკა 16.10 მხ.ფ. „ილგლიანი" მთ. როლში მალკომ მაკდაუელი 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 20.00 „ევროპის სტადიონებზე„ 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „სისხლის კვალდაკვალ„ 21.30 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი" მთ. როლში ბრიუს უილისი 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი„ 00.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი იმპერატორი" მთ. როლში ჯონ ლოუნი

19.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ. მხ.ფ. „ბატონი ავანტიურისტები" 21.40 დოკ. ფილმი 22.00 „დღეს" 22.40 მხ.ფ. „მომლაპარაკებელი" 01.30 მხ.ფ. „მგრძნობიარე გული"

## ხუთშაბათი
## 8 თებერვალი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ქილის წინ„ 09.45, 17.50 უთუოდ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი„ 10.25 საქმე 10.50 ენერგია 11.05, 18.15 სერიალი „სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.10 მე ქალი ვარ 12.40 რეალური სამყარო 13.00 ნაშუადღევს 14.05 დავით ალმაშენებელი 14.45 სტუდია „ზუმი" 15.15 „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" 15.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 15.55 მხ.ფ. „სერაფინო" 17.30 მესაკუთრე 17.45 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.05, 01.35 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „თბილისის დროით„ 22.05 ტელე-სინე-ვიდეო. ჯუდი ფოსტერი 22.40 ტელესერიალი „ქილის წინ„ 23.50 მხ.ფ. „საკანი"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი„ 20.30 კონტაქტი 21.00 საუკუნის პიტები 21.10 რაგბის მოყვარულთათვის 21.35 ესკიზი 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 მხ.ფ. „შეშლილი სესილ ბ".

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, შავი მეკობრე 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 11.10 სერიალი „სამანტა„ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 „ჯუნგლების წიგნი„ 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 20.05 სერიალი „სამანტა" 22.00 სერიალი „სამნი" 00.05 მხ.ფ. „მოგზაურობა ქვეყნის დასაწყისისკენ" რეჟ. მანოელ დე ოლივეირა. მთ. როლში მარჩელო მასტროიანი 02.15 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „იდეალური მკვლელობა" 22.05 მუს. ტალღა 22.20 მხ.ფ. „დოყლაპია„

**ევრიკა**

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 11 სერია 12.15 პროგრამა „სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. „ოჯახი„ 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 12 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 „სალონი" 23.00, 00.15 მხ.ფ. „ოჯახი„ 2 ნაწილი

**IST**

08.00 „ბისი". მხ.ფ. „მოწინააღმდეგეები„ 09.55, 17.30, 20.00, 21.55, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.30 „სამყარო" დოკ. ფილმი 17.45 „Co.მედია" მხ.ფ. „რომელი პლანეტიდან ხარ?„ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.15 პროგრამა „F" მხ.ფ. „ადამიანები„ 22.05 „ბრავო". მხ.ფ. „მეისრე„ მთ. როლში კიანუ რივზი 00.15 „ლამურა„ მხ.ფ. „სასიკვდილო შეპყრობა„. მთ. როლში დევიდ კარუზო 01.45 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი „მელია და მონადირე ძაღლი„ 09.40 მხ.ფ. „მეხუთე ელემენტი" 11.40 ევროპის სტადიონებზე 12.05 დოკ. ფილმი „სისხლის კვალდაკვალ„ 12.30 მხ.ფ. „უკანასკნელი იმპერატორი" 15.10, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 16.15 მხ.ფ. „სასაკლაო 5" მთ. როლში მაიკლ საქსი 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 „საუბრები სტუდიაში„ 21.55 მხ. ფილმი „ღამე მანჰეტენის თავზე„ მთ. როლში ენდი გარსია. 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი" 00.15 მხ. ფილმი „სინათლე ბნელეთში" მთ. როლში მაიკლ დუგლასი

19.00, 01.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ. მხ.ფ. „ხევსურული ბალადა" 21.45 მუსიკალური კოლაჟი 22.00 „დღეს" 22.40 მხ.ფ. „არაფერი საერთო" 01.30 მხ.ფ. „ფანტომასი"

## პარასკევი
## 9 თებერვალი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ქილის წინ„ 09.45, 17.50 უთუოდ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი„ 10.25 ტელე-სინე-ვიდეო. ჯუდი ფოსტერი 11.05, 18.15 სერიალი „სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.10 თბილისის დროით 12.30 პირველად იყო სიტყვა 13.00 ნაშუადღევს 14.05 ეკო-დაიჯესტი 14.25 ციხე-ქალაქი სიღნაღი 15.15 მხ.ფ. „საკანი" 17.00 50-50 18.00 ვესტნიკი 19.05, 01.55 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 XX საუკუნე 22.00 მოსკოვი-თბილისი 22.20 მრავალსახეობა 22.40 ტელესერიალი „ქილის წინ„ 23.50 მხ.ფ. „რომანის საყვარლები"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 20.00 360 გრადუსი 20.10 ექსტრა 20.30 შარდენი „სკაროსი" 21.00 მღერის ირმა სოხაძე 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 ინფორმაცია 22.15 საუკუნის პიტები 22.30 მხ.ფ. „რომეო უნდა მოკვდეს"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, შავი მეკობრე 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი „სამნი" 10.40 სერიალი „ჯუნგლების წიგნი„ 11.10 სერიალი „სამანტა„ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 18.00, 21.00, 23.00, 03.00 კურიერი 18.20 „ჯუნგლების წიგნი„ 19.00 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა„ 20.05 სერიალი „სამანტა" 22.00 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფილმი 01.55 სერიალი „წითელი ფეხსაცმლის დღიურები„ 02.30 სიმფსონები 03.10 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „ჩამოსულები" 21.55 მუს. ტალღა 22.10 მხ.ფ. „ვოროშილოველი მსროლელი„

**ევრიკა**

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 მხ.ფ. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" 12 სერია 12.15 პროგრამა „სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. „ოჯახი" 2 ნაწილი 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში" 19.30 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00, 00.15 ძველი კინოკლასიკა მხ.ფილმი

**IST**

08.00 „ბისი" მხ.ფ. „მეისრე„ 09.55, 17.05, 17.45, 20.00, 21.55, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.00 მულტფილმები 17.20 „მადიანი" 18.00 „Co.მედია" მხ.ფ. „გამაგიჟე„ მთ. როლში მელისა ჯონ ხარტი 19.30 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 20.15 პროგრამა „F" მხ.ფ. „დაე, ყველაფერი ცეცხლმა შთანთქოს". მთ. როლში ჯინა გერშონი 22.05 „ბრავო". მხ.ფ. „რომეო უნდა მოკვდეს". მთ. როლში ჯეტ ლი 00.15 „ლამურა" მხ.ფ. „ამერიკელი ფსიქოპათი„ მთ. როლში ქრისტიან ბეილი 02.00 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15 მულტფილმი „მელია და მონადირე ძაღლი„ 09.45 მხ.ფ. „ღამე მანჰეტენის თავზე„ 11.35 გადაცემა „საუბრები სტუდიაში" 12.30 მხ. ფილმი „სინათლე ბნელეთში" 14.40, 18.50 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 16.15 მხ.ფ. „მოჩვენება და ბნელეთი" მთ. როლში მაიკლ დუგლასი 18.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი" 21.00 ქართ.მხ.ფ. „ოქროს თევზი" 21.20 გადაცემა „ლიმონი და ლიმონათი" 21.35 მხ. ფილმი „შორეული ქვეყანა„ მთ. როლში ტომ კრუზი 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი" 00.15 მხ. ფილმი „დამაბი„ მთ. როლებში ანტონიო ბანდერასი, ვიქტორია აბრილი 01.55 მუსიკა

19.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ. მხ.ფ. „მეტიჩარა" 21.35 დოკ. ფილმი 22.00 „დღეს" 22.40 მხ.ფ. „მკვდარი" 01.30 მხ.ფ. „ფანტომასი აბობოქრდა"

## შაბათი
## 10 თებერვალი

10.00 დილის პამანი 11.35 ერთი დღე მუსიკის სამყაროში 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.35 მხ.ფ. „დედა" 15.00, 00.00 „მოამბე„ 15.15 საქართველო, დრო, მოვლენები 15.40 „კვაზიმოდო" 16.05 მხ.ფ. „თავზე ნადირობა" 17.35 თბილისი და თბილისელები 18.00 მხიარული კარუსელი 18.20 საქართველო და გარე სამყარო 18.40 უკანასკნელი დღე 19.00 ვესტნიკი 19.40 ტელეზღაპარი „ტუტა კარლსონი" 20.00 ტაიმ-აუტი 20.45 აზრი 20.55 მაესტრო 22.05 მუსიკალური ოქტაგონი 22.55 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.25 მელომანია 00.10 ულტრა 00.30 „ილუზიონი". მხ.ფ. „სასაცილო სახე"

19.00 ინფორმაცია 19.30 სერიალი „საზღვაო პოლიცია„ 20.20 იყო და არა 20.50 დასაბამიდან 21.00 კონტრაქტი 21.30 მღერის ირმა სოხაძე 22.00 ინფორმაცია 22.15 ახლო ხედი 23.15 მხ.ფილმი „მე ვოცნებობდი აფრიკაზე"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი „კოლომბო„ 13.40 სიმფსონები 14.05 სერიალი „ნაზი შხამი„ 15.00 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 ტექს ავერი 18.30 სერიალი „ოკეანის მარგალიტი„ 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი „ნაზი შხამი" 22.00 ფსიქო. მხ.ფ. „მუსიკალური ოთახი" რეჟ. სატიაჯიტ რეი 01.10 სერიალი „წითელი ფეხსაცმლის დღიური„ 01.40 ღამის ჯაზი

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „თქვენს სახელზე წერილია" 22.15 მუს. ტალღა 22.30 მხ.ფ. „ნიჭიერი მოსწავლე„

**ევრიკა**

10.00 მხ.ფ. „ხუჭუჭა სიუ„ 12.00 პროგრამა „სალონი" 13.30 მხ.ფ. „არასოდეს არ არის გვიან" 15.00, 21.00 ვესტი 15.20 მხ.ფილმი „სიჩქარის ტყვეობაში" 16.50 მხ.ფ. „ახალი მსოფლიო უწესრიგობა" 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 თინეიჯერები 21.30 ცეროდენა 22.00 მსოფლიო სპორტი 23.00 მენიუ 23.15 ინდური მხ.ფილმი

**IST**

07.30 ცხოვრება სიტყვაში 08.00 „ბისი". მხ.ფ. „რომეო უნდა მოკვდეს" 09.55, 13.10, 18.45, 20.30, 22.05, 00.00 კლიპ-მიქსი 10.20 მულტფილმი 11.40 მხ.ფ. „ქალები არ გაანაწყენოთ„ 17.30 მულტფილმი 19.00 „Co.მედია" მხ.ფ. „უმანკოების საფასური„ 20.45 პროგრამა „F" მხ.ფ. „ლეიკ-პლესიდი - შიშის ტბა". მთ. როლში ბილი ფულმანი 22.20 „ბრავო" მხ.ფ. „ღამე და ქალაქი". მთ. როლებში: ჯესიკა ლანჟი, რობერტ დე ნირო 00.15 „ლამურა" მხ.ფ. „დაკარგული სულები„. მთ. როლში ვაინონა რაიდერი 01.55 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი„ 09.50 მხ.ფ. „შორეული ქვეყანა„ 12.05 „ლიმონი და ლიმონათი" 12.20 ქართ.მხ.ფ. „ოქროს თევზი" 12.40 მხ.ფ. „ტარზანი ადამიანი - მაიმუნი" მთ. როლში რალფ რიჩარდსონი 14.50, 18.45 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 15.30 მხ.ფ. „ფარვანა" მთ. როლში სტივ მაკუინი 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.00 გადაცემა „ბელისიმო" 21.25 ქართ. დოკ.ფ. „მარადისობის მძევალი„ 22.00 მხ. ფილმი „მარტოხელა" მთ. როლში ბრიუს უილისი 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი" 00.15 მხ.ფ. „უკანასკნელი ტანგო პარიზში" მთ. როლში მარლონ ბრანდო

19.00, 01.00 დღეს 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ. მხ.ფ. „მოკვეთილი" 21.45 მუსიკა 22.00 „დღეს" 22.40 მხ.ფ. „შეუსრულებელი მისია-2" 01.30 მხ.ფ. „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"

## კვირა
## 11 თებერვალი

10.00 „მეტრონომი" 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 11.45 სტუდია „ზუმი" 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.35 მხ.ფ. „პეპი გრძელი წინდა" 14.40 ზღვარი 15.00 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 „კვაზიმოდო" 16.10 მუსიკალური ოქტაგონი 16.55 ეძიე ქალი 17.15 გლობუსი 17.45 „პირველად იყო სიტყვა" 18.40 კომუნიკატორი 18.50 ფუტბოლ-მუნდიალი 19.15 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 00.00 მოამბე 20.25 ეკო-დაიჯესტი 20.45 ფორტუნა 21.25 მრავალჟამიერი 21.45 დიდების ზღაპარი 22.10 ცისანა ტატიშვილის ბენეფისი 22.50 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.20 მთელი ეს ტელევიზია 23.40 2X2 00.15 მხ. ფილმი „ჰანა და მისი დები"

19.00 იყო და არა 19.30 სერიალი „საზღვაო პოლიცია„ 20.20 ძველი აფიშა 20.50 შვიდეული 22.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.10 მხ.ფ. „რექვიემი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი „კოლომბო„ 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი „ნაზი შხამი„ 13.15 მხ.ფილმი 18.00, 00.30 კურიერი 18.20 „კოლომბო„ 19.20 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი „ნაზი შხამი" 21.00 60 წუთი 21.50 ჯეოსელის კინოკლუბი 00.00 სიმფსონები 00.40 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი 20.15 ალსავალი 20.20 მხ.ფ. „დანაშაულებრივი ჩანაფიქრი„ 22.00 მუს.ტალღა 22.15 მხ.ფ. „თავისუფალი ფული„

**ევრიკა**

11.00 ცისკრის ზარები 11.05 ზღაპრის ტელედარბაზი 11.25 დოკ. ფილმები „ფრესკა", „საწნახები" 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 ფედერაცია 14.00 მხ. ფილმი „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" 15.00 ვესტი 15.20 მხ.ფ. „მე ვხედავ მზეს" 17.00 ლოცვა 17.05 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 „ზე კალო" 20.20 გვარიშვილობა 20.50 საბავშვო გადაცემა „ნიკორა" 21.15 ის, სადაც სიყვარულია 21.30 მრავალსერიანი მხ.ფ. „ოქროს ოზოგა" 22.30 სტუდია „ეკონომისტი„ 23.30 პროგრამა „მსოფლიო სპორტი"

**IST**

07.30 რელიგიური გადაცემა 08.00 „ბისი". მხ.ფ. „ღამე და ქალაქი" 09.40, 12.50, 17.30, 19.55, 21.50, 00.00 კლიპ-მიქსი 10.15 მულტფილმები 11.30 მხ.ფ. „ვიტრინა" 16.30 მულტფილმი 17.45 „Co.მედია" მხ.ფ. „მეთორმეტე ღამე" 20.10 პროგრამა „F" მხ.ფ. „დანიშნულების პუნქტი" მთ. როლში დევონ სავა 22.05 „ბრავო" მხ.ფ. „ჰარი - მეგობარი, რომელიც თქვენთვის სიკეთე სურს" მთ. როლში სერხი ლოპესი 00.15 „ლამურა" მხ.ფილმი დასასრულს ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები" 09.15, 18.00 მულტფილმი „ტომი და ჯერი„ 09.50 მხ.ფ. „მარტოხელა" 11.40 გადაცემა „ბელისიმო" 12.00 ქართ. დოკ.ფ. „მარადისობის მძევალი„ 12.25 მხ. ფილმი „განგსტერები" მთ. როლში ენდი გარსია 14.30 გადაცემა „საუბრები სტუდიაში" 15.20, 18.50 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი" 16.00 სერიალი „ზულთან ახლოს" მთ. როლში რობერტ ტედფორდი 18.30, 21.45, 00.55 მუსიკა 20.00 ინტელექტუალები: „რა, სად, როდის?" 20.50 გადაცემა მაგიური სალამოები: „თაღლითურები" 21.20 ევროკომისიის ყოველთვიური ჟურნალი „კონტაქტი" 22.00 მხ.ფ. „შერკინება" მთ. როლში ალ პაჩინო 23.00 ტელევიქტორინა „ტელე-მილიონი" 01.20 მხ.ფ. „აპოკალიფსი" მთ. როლში მარლონ ბრანდო

19.00, 01.00 „დღეს" 19.30 მულტფილმები 20.15 ქართ. მხ.ფ. „იავნანა" 21.30 დოკ. ფილმი 22.00 „აქცენტი" 23.00 მხ.ფ. „ანტონიუსი და კლეოპატრა" 01.00 მხ.ფ. „ვირუსი"

## რაგბი

# პირველი მეტოქე — ტიტების ქვეყანაში

**დღეს, 4 თებერვალს, იწყება „ევროპის ერთა თასის" მეორე გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს, ჰოლანდიის, ესპანეთის, რუსეთის, რუმინეთისა და პორტუგალიის მორაგბეთა ეროვნული გუნდები. იგი იმავდროულად 2003 წლის მსოფლიო თასის (ჩემპიონატის) შესარჩევი შეჯიბრების ნაწილიცაა (1987 წელს დაწესებული მსოფლიო თასის V ფინალურ ეტაპს 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალია და ახალი ზელანდია უმასპინძლებენ).**

ევროპის თასი სიძლიერით ელიტარული „ექვსი ერის" მომდევნო პაექრობა გახლავთ. შარშანდელ ტურნირშიც, ფაქტობრივად, ეს გუნდები მონაწილეობდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაროკო რუსეთმა შეცვალა. თასის პირველი მფლობელი გახდა რუმინეთის ნაკრები, რომელმაც ბოლო ტურში საქართველოს ეროვნულ გუნდს სძლია თბილისში (23:20). თასის მეორე გათამაშება ორწრიანია. პირველი წრე წლეულს თებერვალ-აპრილში გაიმართება, მეორე – გაისად გაზაფხულზე.

**დღეს ქართული ბორჯღალოსნები ამსტერდამში ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ. მადრიდში ესპანელები რუსებს უმასპინძლებენ, ხოლო ლისაბონში პორტუგალიელები – რუმინელებს.**

პირველი წრის დანარჩენი კალენდარი ასეთია:

**II ტური. 17 თებერვალი.**

საქართველო – პორტუგალია, ჰოლანდია – რუსეთი, ესპანეთი – რუმინეთი.

**III ტური. 4 მარტი.**

რუსეთი – საქართველო, რუმინეთი – ჰოლანდია, ესპანეთი – პორტუგალია.

**IV ტური. 18 მარტი.**

საქართველო – ესპანეთი, რუმინეთი – რუსეთი, პორტუგალია – ჰოლანდია.

**V ტური. 8 აპრილი.**

რუმინეთი – საქართველო, რუსეთი – პორტუგალია, ჰოლანდია – ესპანეთი.

სპეციალისტთა აზრით, ევროპის თასის გათამაშებას სამი ფავორიტი ჰყავს – შარშანდელი გამარჯვებული რუმინეთის, საქართველოს და რუსეთის გუნდები. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა შარშან სინზე ზედიზედ დაამარცხეს უკრაინის (71:5), გერმანიის (89:6), დანიის (104:7) მორაგბეები და დაუბრუნდნენ იმ ლიგას, რომელიც 1998 წელს ქართველებთან მარცხის შემდეგ დატოვეს. მართალია, რუსეთს ტრადიციულად ძლიერი გუნდები ჰყავდა, მაგრამ დღეს მათი დონე შორს დგას იდეალურისგან, ამიტომაც აქაური მორაგბეები ფრანგულ კლუბებში მიდიან ოსტატობის ასამაღლებლად. ქართველებმა კი კარგა ხანია ეს გზა გაკვალეს და კლოდ სორელის დახმარებით ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატში 40-მდე ჩვენი მორაგბე თამაშობს. რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ მას პრობლემები შეუქმნა – ეროვნული ნაკრები, ფაქტობრივად, ახალგაზრდების იმედად დარჩა. ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრებს დიდი გარჯა მოუწევს პირველი-მეორე ადგილის მოსაპოვებლად. ეს აუცილებელია, თუ გვინდა 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩახლართული შესარჩევი სისტემის ურთულეს ლაბირინთებს განვერიდოთ და გათამაშებაში მეოთხე სტადიიდან ჩავერთოთ. არადა, შესაძლოა, დამატებით 10 მატჩის გამართვა მოგვიწიოს. იმედია, აქამდე არ მიიყვანენ საქმეს ქართველი ბორჯღალოსნები, რომლებიც დღეს ამსტერდამში ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: **დამწყებები** – გოდერძი შველიძე, აქსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, სოსო პარწიკანაშვილი, ვასილ კაცაძე, გია ლაბაძე, ილო ზედგენიძე, შოთა მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, კახა ალანია, გიო ბუგიანიშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე; **სათადარიგოები** – ტარიელ რატიანიძე, სოსო ნიკოლაენკო, ვანო ნადირაძე, დათო ბოლღაშვილი, დათო ცხვედიანი, ირაკლი აბუსერიძე, თედო ზიბზიბაძე, ვასილ აბაშიძე.

შარშან ევროპის ერთა თასის პირველ გათამაშებაში საქართველოს მორაგბეებმა შინ დიდი ანგარიშით – 41:6 დაამარცხეს ჰოლანდიელები. იმედია, ისინი არც დღეს შეირცხვენენ თავს ტიტების ქვეყანაში.

ბოლოს ერთი კურიოზის შესახებაც: შარშან რუმინელებმა ევროპის თასი დიდის ამბით ჩაიტანეს თბილისიდან ბუქარესტში. ჯილდო გუნდის კაპიტანს კეტელინ დრაგუჩანუს მიაბარეს. ის კი, სამშობლოზე გულაცრუებული, შორეულ ავსტრალიაში გადაიხვეწა და იქაურ კლუბ „ვესტსში" დაიწყო თამაში.

ამას წინათ რუმინეთის რაგბის ფედერაციამ ჯილდო მოიკითხა, მაგრამ ვერსად მიაკვლია, ვერც კაპიტნის სახლში – კეტელინის მშობლებმა არაფერი იცოდნენ.

ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრუ მიხალაკე მზად იყო, თანხა გაეღო, ახალი თასის დასამზადებლად. ტელეჟურნალისტებმა ელექტრონული ფოსტით ხმა მიაწვდინეს ემიგრანტ თანამემამულეს ავსტრალიაში და გაიგეს, რომ დრაგუჩანუს ჯილდო თურმე თან წაუღია. ყოფილი კაპიტანი თასს ამანათით გამოაგზავნის მწვანე კონტინენტიდან და ევროპაში იგი ერთი თვის შემდეგ ჩამოაღწევს.

**ვაჟა დანელია.**

## ცინცხალი ამბები

საკალათბურთო კლუბ „მინესოტა ტიმბერვულვზის" მწვრთნელი ფილიპ სანდერსი იანვრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მისმა გუნდმა 12 შეხვედრაში გაიმარჯვა და მხოლოდ 4-ჯერ დამარცხდა.

ტოკიოში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები ჩოგბურთში ქალთა შორის, რომელმაც ფინალისტები გამოავლინა. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მარტინა ჰინგისი და ლინდსეი დევენპორტი.

ბიატლონისტთა შეჯიბრებაზე სენსაცია მოხდა, ყველასთვის მოულოდნელად გაიმარჯვა ახალგაზრდა გერმანელმა კატი ვილჰელმმა, რომელმაც ასპარეზობა მესამე ნომრით დაიწყო. მას ფავორიტებში არავინ თვლიდა. მთავარი პრეტენდენტები ფრანგი ნიუგრე და შვედი ფორბერგი მეხუთე-მეექვსე ადგილებს დასჯერდნენ.

## კაშკაშა ვარსკვლავები

# მუჰამედ ალი

ვინ იცის, იქნებ ამითაც აიხსნება, რომ დიდ რინგზე გასული კასიუს კლეი ხშირად ისე ასრულებდა ბრძოლებს, რომ ერთი მუშტიც კი არ ხვდებოდა სახეში.

მაგრამ იქამდე დიდი გზა იყო გასავლელი. თუმცა, იმ ზღაპრისა არ იყოს, სხვები თუ წლობით იზრდებოდნენ, კასიუსი თვეობითა და დღეობითაც იზრდებოდა. სულ მალე, თხუთმეტი წლისამ, პირველი ბრძოლა მოიგო. თექვსმეტიც კი არ შესრულებოდა და კასიუსს აშშ-ს სამოყვარულო კრივის მთავარი პრიზი – „ოქროს ხელთათმანი" გადასცეს. მერე ალი კიდევ ხუთჯერ გახდა აშშ-ის ჩემპიონი. კიდევ ხუთჯერ დაიმსახურა „ოქროს ხელთათმანი". თვრამეტისა უკვე ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონი ხდება მარადიულ ქალაქში. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „1960 წელს, როცა ლუისვილში ოლიმპიური ოქროს მედლით დავბრუნდი, ჯილდო კისერზე ჩამოვიკიდე და ქუჩაში გამოვედი", – იხსენებდა კასიუს კლეი.

ძილის წინ იმ მედალს თურმე ბალიშის ქვეშ ინახავდა.

რომის ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ორი წლით ადრე კასიუსმა დაურეკა გამოცდილ მწვრთნელ ანჯელო დანდის, ვინც ლუისვილში ჩასულიყო. მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

„– მისტერ დანდი, მე კასიუს კლეი მქვია. ვიმედოვნებ, რომ ორი წლის მერე ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები.

– ვა, მართლა?

– დიახ, მაგრამ ყველაფერი არ მითქვამს. ამას გარდა, მე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონიც გავხდები. აი, სწორედ ამის შესახებ მინდოდა თქვენთან საუბარი. შეგიძლიათ, რამდენიმე წუთი დამითმოთ?

– კი მაგრამ, რამდენი წლისა ხარ?

– თექვსმეტის.

– მოდი".

„ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასე ვუპასუხე, – იხსენებდა მერე ანჯელო დანდი – ამ ბიჭის ვარჯიში ერთი სიამოვნება იყო. იგი ყველაზე ნიჭიერი მოკრივეა მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. კასიუსი კრივის ტექნიკას საოცარი სიმსუბუქითა და სისწრაფით ფლობდა. კაცმა რომ თქვას, ერთადერთი, რაც მართლა ვასწავლე, მარცხენა აპერკოტი იყო. კლეის აქვს ჩვეულება, იწინასწარმეტყველოს, თუ რომელ რაუნდში დაანოკაუტებს მეტოქეს და ძალზე იშვიათად ცდება. იგი არც თავის პირველ წინასწარმეტყველებაში შემცდარა".

კასიუსი არც თავის მეორე წინასწარმეტყველებაში შეცდა. რომიდან დაბრუნებული მალე გამოეთხოვა სამოყვარულო რინგს, სადაც 87 ბრძოლა ჩაატარა და 87-ივე მოიგო, მერე კი გაპროფესიონალდა და სწორედ მაშინ ჩააბარეს მისი თავი ახალ მწვრთნელ ანჯელო დანდის, რითაც კასიუსმა ძლიერ გაიხარა.

კონტრაქტზე ხელმოწერიდან სამიოდე კვირის მერე კასიუსმა პროფესიულ რინგზე პირველი ბრძოლა გამართა და პირველი გამარჯვება იზეიმა. ამის მერე ერთიომეორის მიყოლებით გამართა ბრძოლები, ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა და 22 წლისა უკვე პროფესიონალთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა, როცა 1964 წლის 25 თებერვალს მაიამი ბიჩში თვით სონი ლისტონი დაალილავა და ბოლოს, მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია. ამის მერე იყო, კასიუს კლეი მუჰამედ ალი რომ გახდა, როცა „შავი მუსულმანების" სექტას დაუკავშირდა და ზანგთა უფლებების დაცვის სამსახურშიც ჩადგა (ამ საქმეში აქტიური მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა მარტინ ლუთერ კინგის პრემიით „მამაცობისთვის"). სამხედრო-სავალდებულო სამსახურზე კი უარი თქვა, რისთვისაც ხუთი წლის პატიმრობა და 10 000 დოლარის ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს. ამასთან, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც ჩამოართვეს. უფრო სწორედ, სასამართლომდე ჩამოართვეს ტიტული. პროფესიული კრივის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა ბობ ევანსმა განაცხადა: ტიტულს სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ვართმევთო. მოკრივის ვექილები კი ირწმუნებოდნენ „შავი მუსულმანების" სექტის წევრები რელიგიური მოსაზრებების გამო კანონით სამხედრო სამსახურიდან უნდა გათავისუფლდნენო.

– ეგეც არ იყოს, რატომ უნდა ვიომო ვიეტნამში, რატომ უნდა ვხოცო ხალხი, ვისაც არაფერი დაუშავებია? – კითხულობდა მსოფლიოს ჩემპიონი, უფრო სწორედ ექს-ჩემპიონი, ვისაც ეს ტიტული რინგზე დაუკარგავად მეორედ ჩამოართვეს.

პირველადაც მას ტიტული პროფესიული კრივის მსოფლიო ასოციაციამ ჩამოართვა, რადგან მისი ნებართვის გარეშე მატჩ-რევანშში სონი ლისტონს შეხვდა და კვლავ გაიმარჯვა. და რაკი მუჰამედ ალის ტიტული რინგზე არ დაუკარგავს, ნიუ-იორკის, პენსილვანიის, მენის, მასაჩუსეტსისა და ილინოისის შტატების მოკრივეთა კომისიებმა „მსოფლიოს ჩემპიონად კასიუს კლეის არყოფნის პერიოდში" გამოაცხადეს ჯო ფრეზერი, ვინც ამბობდა, ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონად კლეი რჩებაო. კრივის სხვა ასოციაციები, კრივის სპეციალისტები და მცოდნენი ჩემპიონად კვლავ მას თვლიდნენ, ვბა-ს ვერსიით კი ასეთად უბრძოლველად ერნი ტერელი გამოცხადდა. აი, პირველად ასე გაჩნდა აშშ-ში ერთდროულად ორი თუ სამი მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში.

მაგრამ მუჰამედ ალიმ 1967 წელს ტერელის სძლია და ვბა-ს ვერსიითაც დაიბრუნა ჩემპიონობა, რომელიც შემდგომ რინგს მიღმა ჩამოართვეს. მუჰამედ ალიმ მაშინაც დაიბრუნა ჩემპიონობა, როცა ჯიმ ფორმენს მერვე რაუნდში ნოკაუტით სძლია 1974 წელს. 1978 წლის 15 თებერვალს მუჰამედმა უკვე რინგზე დაკარგა ტიტული, როცა მეთხუთმეტე რაუნდში ქულებით დამარცხდა ლეონ სფინკსთან, მაგრამ 15 სექტემბერს ისევ მასთან ბრძოლაში უკვე 36 წლისამ დაიბრუნა ტიტული.

მას შემდეგ მისი სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა, მოზარდმა თაობამ კი მუჰამედ ალის შესახებ ატლანტამდე არაფერი ან თითქმის არაფერი იცოდა. და აი, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა მისი სახელი გაიხსენეს და მთელ მსოფლიოსაც შეახსენეს. მეორედაც სწორედ მაშინ ვნახეთ მუჰამედ ალი, ამჯერად სულ ახლოდან, სადაც იგი კალათბურთელთა ფინალურ შეხვედრაზე მოვიდა, უფრო სწორედ მოიყვანეს. ტაიმის დამთავრების მერე მოედნის ცენტრში გამოიყვანეს ეს მთასავით, მაგრამ ხელებაცახცახებული კაცი, რომელიც ერთ დროს მუშტებიდან საშინელ ძალას აფრქვევდა. ახლა მის თვალებში სევდას დაესადგურებინა.

სევდას დაესადგურებინა მის საპატივცემულოდ ფეხზე წამომდგარი 40 ათასი მაყურებლის თვალებშიც. მერე სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი კრძალვით მივიდა მასთან და კისერზე ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი ჩამოკიდა.

ეს იყო „ის" მედალი, რომელიც განრისხებულმა კასიუს მარცელიუს კლეიმ მდინარეში მოისროლა, მაგრამ სადღა იყო ის „შავი ელვა" და „მოფარფატე პეპელა".

ახლა მამის კვალს მუჰამედ ალის ქალიშვილი მიჰყვება...

**ავთანდილ გურასაშვილი.**

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 26-27.**

## ფეხბურთი

### შეირჩა ღირსეული მეტოქეები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პრაქტიკულად მიაღწია შეთანხმებას გერმანიის „კიოლნისა“ და ესპანეთის „მალიორკას“ ხელმძღვანელებთან, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 27 თებერვალს კიოლნში ადგილობრივ კლუბთან, ხოლო 1 მარტს ესპანეთში „მალიორკასთან“ ამხანაგური მატჩები ჩაატაროს, - აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ მამუკა კვარაცხელიამ.

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში 28 მარტს რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთან სათამაშოდ ემზადება.

„კიოლნთან“ და „მალიორკასთან“ მატჩებამდე საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში 14 თებერვალს ამხანაგურ მატჩს გამართავს ასევე უკრაინის ნაკრებთან.

### უყურეთ პირველ არხს

შვეიცარიულმა ტელეკომპანიამ „CWL TELESPORT“, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, უფლება მისცა ქართულ მხარეს გამოესყიდა 14 თებერვალს დანიშნული საქართველო-უკრაინის ამხანაგური და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში 28 მარტს რუმინეთთან მატჩების პირდაპირი ტრანსლირების უფლება, - აცნობა პრაიმ-ნიუსს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ მამუკა კვარაცხელიამ.

მისი თქმით, აღნიშნული მატჩები სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხით გადაიცემა.

კვარაცხელიას თქმით, მატჩების ტრანსლირების გამოსასყიდი თანხა ფეხბურთის ფედერაციამ გადაიხადა, თუმცა მან თავი შეიკავა თანხის ოდენობის დაკონკრეტებისაგან.

„CWL TELESPORT“ ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს.

პრაიმ-ნიუსი.

## XXI საუკუნე

# ცნობილ წინაპართა კვალს გაჰყვება

ჩვენს ქვეყანაში აღიზარდა, ცხოვრობდა არაერთი სხვა ეროვნების ადამიანი, რომელთათვის საქართველო მათ სამშობლოდ იქცა. ასეთმა პიროვნებებმა ბევრი ლამაზი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სპორტის, კერძოდ, კრივის ისტორიაში. საქართველოს სპორტულ ღირსებას, მართლაც რომ, ღირსეულად იცავდნენ ანდრო ნავასარდოვი, თადეოზ მიქაელიანი, გიორგი შახსუვარიანი, ერიკ პეჩონკინი და სხვანი.

ჩვენთან ახლაც იზრდებიან წარმოშობით არაქართველი, აქ დაბადებული და აღზრდილი სპორტსმენები, რომლებიც მიჰყვებიან თავიანთ დიდ წინაპართა კვალს. ერთ-ერთი ასეთი სპორტსმენია მოკრივე **იური მეხტიევი**, ნოდარ ქიქავას მოწაფე, რომელიც კრივს აზიარა მისმა ბიძამ ტახირმა – რუსეთის ჩემპიონმა კრივში.

იური ტექნიკურად ძლიერი მოკრივეა, რაც საერთო დამახასიათებელია ნოდარ ქიქავას აღზრდილთათვის. იგი საქართველოს ჩემპიონია 48 კგ. წონით კატეგორიაში, აგრეთვე, გახლავთ დავით კვაჭაძის სახელობის ტურნირში გამარჯვებული. ამ ყმაწვილს დიდ ასპარეზზე გასვლის ყველა მონაცემი აქვს. შეუპოვარი შრომით, თავდადებული წვრთნით იური, იმედია, შეძლებს კრივის ნამდვილ ოსტატად, მომავალ დიდ ჩემპიონად ჩამოყალიბებას.

ედიშერ გიორგიძე.

## ქრონიკა

# წოდების მინიჭება

გაიმართა საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის მასობრივი სახეობების ეროვნული ფედერაციის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ „პოლიატლონში“ ეროვნული კატეგორიის მსაჯის წოდების მოთხოვნების შესრულებისათვის ეროვნული კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭოთ **ნუხა გაგოშიძეს, მერაბ მაისურაძეს, ტარიელ ორდინიძეს და ანზორ ახალკაცს.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. აღწარმოება, კვლავწარმოება; 9. კლავიატურის მქონე საბერვლიანი საკრავი; 10. საფრანგეთში მოღვაწე იტალიელი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „მონპარნასი 19“; 11. იგივეა რაც ფირი; 12. პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით, ფასიანი ქაღალდების შემოსავლით; 14. თავადაზნაურული ტიტული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში; 15. საგნების (მანქანის, ვაგონის, გემის, შენობის და სხვ.) ზღვრული გარემოხაზულობა; 16. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა; 18. ერთგვარი ცეკვა: 20. სოფელი დუშეთის რაიონში; 22. მოწინააღმდეგის ხელის გაკავება ჭიდაობისას; 24. საორკესტრო პიესის, ოპერისა და მისთ. გადაღება ფორტეპიანოსათვის. 25. პროტესტანტების მღვდელი; 26. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

**შვეულად:** 1. ბატონი (ესპანეთში); 2. სინარნარე, მოხდენილობა მიხვრა-მოხვრაში, მოძრაობაში; 3. მონა, მსახური ქალი ჰარამხანაში; 4. რაიმე ორგანიზაციის, კოლექტივის ყველაზე მოწინავე და მოქმედი ნაწილი; 5. დესპოტიზმი; 7. ქართველი პოეტი; 8. ნახევარგამტარიანი ხელსაწყო, რომელიც აძლიერებს ელექტრულ სიგნალებს; 13. მთავრის, მმართველის ტიტული ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში; 14. ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული დატოტვილი ბალახ-მცენარე, იძლევა სართავ მასალას; 17. ხანმოკლე თათბირი ან პრესკონფერენცია ჟურნალისტთა ვიწრო წრეში; 19. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 21. საბჭოთა მფრინავი ქალი, მონაწილეობდა შორეულ ძირსდაუშვებელ გადაფრენებში; 22. ფისიანი ქვანახშირის სახეობა, შავი და მკვრივი, მისგან აკეთებენ მძივებს და სხვა სამკაულებს; 23. მდგოვის სუნის მქონე მომწამვლელი ნივთიერება.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.

**21 იანვარს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. პრესტიჟი. 8. პარიტეტი. 9. შტორი. 11. ენოტი. 12. ანტონიონი. 15. ეკრანი. 18. კრისტი. 19. კაპრონი. 20. ალეგრო. 21. სუნელი. 24. პლანეტა. 26. პარტია. 27. ნილოსი. 31. არგენტინა. 33. ასაკი. 34. ბადრო. 35. სტადიონი. 36. პროგნოზი.

**შვეულად:** 1. გროტესკი. 2. ისარი. 3. ეჟვანი. 4. სალონი. 5. ატონი. 6. სტატუეტი. 10. ანჩარი. 13. ანდალუსია. 14. არტილერია. 16. კადრილი. 17. ინცუხტი. 22. ანტენა. 23. სარასატე. 25. ასპარეზი. 28. არდანი. 29. ანგარი. 30. აკიდო. 32. ვაზნა.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

### ფიცარნაგზეა ჭაბუკთუხუცესი

დღეს ვამთავრებთ ვარჯიშების სერიას თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზიდან. ამჯერად წარმოგიდგენთ ამ უმაღლესი სასწავლებლის ჭაბუკთა ნაკრების ლიდერს 16 წლის **ზურაბ დოლიძეს.**

როგორც წესი, ვარჯიშის დასაწყისში სრულდება ძალისმიერი ტიპის მოძრაობები, აღნიშნულ შემთხვევაში – ჩაჯდომი.

**1) ფეხის კუნთების ვარჯიში (სურ. 1).** შტანგა თავსდება ზურგზე, მხრებიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით, იღლიებს ზემოთ. ათლეტი ასრულებს ჩაჯდომებს. ვარჯიშის მოცულობაა 4-6 მისვლა 6-6 გამეორებით.

**2) ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში (სურ. 2).** მიიზიდეთ ლერძთან მკერდის შეხებამდე. საკმარისია 4-6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**3. მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში.**

ა) შტანგით, საშუალო ჭიდით და შებრუნებული ტაცით **(სურ. 3).** ვარჯიშს ეთმობა 4-6 მისვლა 10-10 გამეორებით.

ბ) პანტელით, ნახევრადშებრუნებული მკლავით და პირდაპირი ტაცით **(სურ. 4).** სრულდება 4-4 მისვლა და 10-10 გამეორება თითოეული ხელისთვის.

გ) პანტელით და იდაყვის დვირზე დაყრდნობით **(სურ. 5).** თითოეული ხელისთვის რეკომენდებულია 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით.

ზურაბ ჭავჭანიძე.
ნაზი გოგიშვილის ფოტო.











სპორტის რედაქცია.

## კრიმინალი

### მარნეულის პოლიციამ აბდურახმანოვი დააკავა

ადამიანის მკვლელობის ბრალდებით, მარნეულის რაიონის პოლიციამ 2 თებერვალს დააკავა ამავე რაიონის სოფელ ხოჯორნში მცხოვრები 17 წლის მოვლად აბდურახმანოვი.

როგორც პრაიმ-ნიუსს შსს პრესსამსახურში აცნობეს, წინასწარი ინფორმაციით, აბდურახმანოვმა 2 თებერვალს სოფელ ხოჯორნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნადირობისას სანადირო თოფით მუცელში დაჭრა თანასოფლელი, 17 წლის არმენ ოგანესიანი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

სანადირო თოფი ამოღებულია, გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

### ავტომფლობელებს ძარცვავდნენ

მოსკოვში საქართველოდან ჩასული ძმები გიორგი, ზურაბ, რამაზ ბოლოთაშვილები და მათი თანამზრახველი ანდრეი კაპუსტინი დააკავეს რუსეთის დედაქალაქის სამართალდამცავებმა ძვირადღირებული ავტომობილების ქურდობის ბრალდებით.

როგორც პრაიმ-ნიუსის მოსკოველი კორესპონდენტი გაზეთ „სეგოდნიაზე“ დაყრდნობით იტყობინება, უკვე დადგინდა, რომ ბანდის ანგარიშზეა ავტომფლობელებისთვის წართმეული „მერსედესი“, „ფოლკსვაგენ-პასატი“, „ტოიოტა-ლექსუსი“ და „ტოიოტა-ლენდკრუზერი“.

პრაიმ-ნიუსი.

## ღიმილის დოზა

შვედეთის არმიის ჯარისკაცის შენიღბვის წესები:

1. თუ ჯარისკაცი ტყეში აღმოჩნდება, მან უნდა მოტეხოს ხის ტოტები და მუზარადზე დაიმაგროს;

2. თუ ჯარისკაცი სიმინდის ყანაში აღმოჩნდება, მან უნდა მოტეხოს სიმინდის ღეროები და მუზარადზე დაიმაგროს.

3. თუ ჯარისკაცი აღმოჩნდება ბოსტანში, სადაც კომბოსტოა დარგული, მან უნდა მოიხადოს მუზარადი.

* * *

სამღებროში შედის ქალი და ოსტატს ეუბნება:

– იცით, რამდენიმე წელიწადია, ნორმალური მამაკაცი არ გამიცვნია. მე მგონი იმიტომ, რომ ჩემი ნაცრისფერი კაბით ვაფრთხობ ნორმალურ მამაკაცებს. შემიღებეთ, გეთაყვა, წითლად!

აწვდის კაბას და მიდის. ერთი საათის შემდეგ გახარებული ბრუნდება:

– წითლად არ შემიღებოთ! თეთრად შეღებეთ!

კიდევ ერთი საათის შემდეგ აქვითინებული შეაღებს სამღებროს კარებს:

– შავად გადაღებეთ...

ოსტატი თავისთვის ჩაილაპარაკებს:

– აი, რა შეიძლება მოხდეს ორი საათის განმავლობაში, თუ უკაბოდ გავა ქალი ქუჩაში.


„სიკვდილი ცოტას მოიცდის“...

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სახელგანთქმულ ქართველ და რუს მწერალთა ერთი ჯგუფი: – სერგეი სმირნოვი, გრიგოლ აბაშიძე, ს. ვასილევი, ლ. სობოლევი, გალაკტიონ ტაბიძე.

მოსკოვი. 1954 წელი.

მოგვაწოდა ეკა გოგიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ – მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ხელოვნება

### გიორგი შიოლაშვილი

გარდაიცვალა **გიორგი შიოლაშვილი** – მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

უფალმა ინება ამ ქვეყნიდან მისი ნაადრევი წასვლა. იგი აუნაზღაურებლად დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს. წავიდა და სინანულის გრძნობა გაიყოლა იმიტომ, რომ ვერ გააკეთა იმდენი, რამდენის გაკეთებაც შეეძლო ამ ლაღი ბუნების, ვაჟკაცური შემართებისა და კეთილი ხასიათის ადამიანს.

გიორგი შიოლაშვილს ქვეყნისათვის ურთულეს დროს მოუხდა მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორად მუშაობა. მისი მოღვაწეობის ბოლო 10 წელი დაემთხვა ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებას, რამაც არ მისცა საშუალება, უფრო ფართოდ გაეშალა საქმიანობა. მუზეუმ-ნაკრძალი მოკლებული იყო ელემენტარულ პირობებს, და მაინც, გიორგიმ თავის კოლეგებთან ერთად მოახერხა საქართველოს უნიკალური საგანძურის დაცვა, მცხეთის ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობის მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება.

გიორგი შიოლაშვილის სახით ჩვენ ვეთხოვებით კაცს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მცხეთისა და მისი შემოგარენის მოვლა-პატრონობის მამულიშვილურ საქმეში, პიროვნებას, რომელმაც იცოდა მეგობრობის ყადრი და სათუთად უფრთხილდებოდა ამ გრძნობას, ადამიანს, რომელშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული ვაჟკაცობა, ფაქიზი სულიერება და მრავალრიცხოვანი შესაძლებლობები.

მასთან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნო იყო, როგორც გულღია, ხალისიან პიროვნებასთან, რომლის გულწრფელობასა და კეთილმოსურნეობაში არავის შეპარვია ეჭვი.

მსუბუქი იყოს მისთვის მცხეთის მადლიანი მიწა და ნათელში ამყოფოს უფალმა მისი კეთილი სული.

მშვიდობით, ჩვენო გიორგი!

**საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი.**

### ვალერიან ცომაია

დღევანდელობის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ ნახსენები მხატვრების რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მოქანდაკე **ვალერიან (ალექსანდრე) შარვანის ძე ცომაია.** მან განვლო 82 წელი და ცხოვრების ყველა ეტაპზე გამოირჩეოდა დაუცხრომელი ენერგიით, ნიჭით და შრომისმოყვარეობით. მასზე იტყოდნენ, „რკინის კაციაო“. იგი გატაცებული იყო მხატვრობით. მისი ნახატები ამშვენებდა ბევრი ოჯახისა და დაწესებულების კედლებს. იყო მაღალი კლასის მოქანდაკე, ყოფილი სსრკ-ს მხატვართა კავშირის წევრი, მრავალი სამხატვრო გამოფენის მონაწილე ქანდაკებაში, ჭედურობაში, 83 შრომის ავტორი. მათი რეპროდუქციები ასახულია საქართველოს, რუსეთის და უკრაინის ჟურნალ-გაზეთებში, მისი შედევრები ამშვენებს მუზეუმებს, პარკებს, კულტურის სახლებს, დაწესებულებებს. ცომაიას მიერ გამოძერწილი პორტრეტები ნამდვილი რაინდებია, მათ სხეულში არაჩვეულებრივი ძალა და მოძრაობა იგრძნობა.

ახალი საუკუნის მიჯნაზე სულ ორნახევარი დღე იყავი, ყველას ეკითხებოდი – „ვასო როდის ჩამოვაო“. ასე გულდაწყვეტილი გაუყევი მარადისობის ვიწრო ბილიკს და დაიმკვიდრე სასუფეველი. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მუხლი მოვიყაროთ შენს საფლავთან. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

**შენი ძმა ვასო.**

---

დედა ალა, მამა იოსები, მეუღლე ქეთევან სეიმონიშვილი, შვილი თინიკო, ცოლისძმა რამაზი, ლათო სალარიძე, მიშიკო, მერაბი, ზურიკო სეიმონიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლათო იოსების ძე თურძა

პანაშვიდი 4, 5 II, გამოსვენება 6 II, 2 სთ. თამარ მეფის № 7.

---

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის რეზო ჭიჭინაძის შვილის

ელიზბარის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის მეომართა კავშირი სამძიმარს უცხადებს ამავე კავშირის მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარეს ელგუჯა (ბუთხუზი) თოხაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

### 31 იანვარი, 2001 წელი

91-დღიანი სახაზინო ვალდებულებები 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2001 წლის 9 მაისს, გამოტანილ იქნება აუქციონზე, რომელიც შედგება 2001 წლის 7 თებერვალს 10 საათზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2001 წლის 7 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი:**

**ა. გეგენავა**
**ქ. გულედანი**
**ნ. მერაბიშვილი.**

## ტელევიზია

### კვირა. 4 თებერვალი

10.00 "მეტრონომი" 11.05 მხიარული კარუსელი 11.25 მულტფილმი 11.55 მსოფლიოს ახალი ამბები 12.05 სპა 12.30 ფრანგული პროგრამა "ცირკი" 13.30 მხ.ფ. "**ჯადოქრის მეშვიდე ბეჭედი**" 15.00 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 "კვაზიმოდო" 16.05 "ბავშვები უპირველეს ყოვლისა" 16.20 მუსპაუზა 16.25 მთელი ტელევიზია 16.50 მუსიკალური ოქტაგონი 17.40 "პირველად იყო სიტყვა" 18.10 კომუნიკატორი 18.50 ფეხბოლ-მუნდიალი 19.10 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 23.50 მოამბე 20.30 ეკო-დაიჯესტი 20.55 ფორტუნა 21.40 სატელევიზიო კინოდარბაზი "შემოდგომა" 22.20 დიდების ზღაპარი 22.50 სერიალი "**ვარსკვლავთა ღამე**" 23.25 2X2 00.05 მხ. ფილმი "**სერაფინო**"

19.00 იყო და არა 19.30 სერიალი "**საზღვაო პოლიცია**" 20.20 დუ-შაში 20.45 შვიდეული 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 მხ.ფ. "**აფრიკიდან**"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი "**კოლომბო**" 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი "**ნაზი შხამი**" 13.15 მხ.ფილმი 18.00, 00.30 კურიერი 18.20 "**კოლომბო**" 19.20 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი "**ნაზი შხამი**" 21.00 **60 წუთი** 21.50 **ჯეოსელის კინოკლუბი** 00.00 სიმფსონები 00.40 კლასიკა

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლეკიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი:
380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET